სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე ციკლს. აღნიშნულზეა დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგია, მოსწავლეთა გამოვლენილი საჭიროებების მართვა (რემედიაცია), მასწავლებელთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობის მექანიზმი, სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმების მონიტორინგი და შეფასება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესები წარმოდგენილია სკოლის რეგულაციებში: სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, ვერიფიკაციის წესი, მმართველობითი პროცესები რეგულირდება სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით. პერსონალის მართვა და განვითარება რეგულირდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, კათედრების საქმიანობის წესით (წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში), ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი დებულებით, მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და მომსახურების მექანიზმებით (სასკოლო სასწავლე გეგმა, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი), ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი და ასევე საჩივრის განხილვის სისტემა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი მუხლებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესაბამისად და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448 ბრძანებით (15.09.2005წ).
სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და შესაბამისი დისციპლინური სახდელები. დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე, ხოლო სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, წესდებით გათვალისწინებული წესით დისციპლინური გადაწყვეტილებების შესახებ საჩივრები თავად განიხილოს ან შექმნას სააპელაციო კომიტეტი.
სკოლასა და მშობელს შორის წარმოქმნილი დავის რეგულირება განხილულია სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასაქმებულის კანონიერი უფლებები დამატებით რეგულირდება ასევე სკოლასა და დასაქმებულს შორის დადებული ხელშეკრულებით მოსწავლის მიერ გასაჩივრების უფლება და პროცედურები სკოლას გაწერილი აქვს დირექტორის N2-203 ბრძანებით დამტკიცებულ მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების, მობილობის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისა და გასაჩივრების წესში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში არსებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ სკოლის მიერ დეკლარირებული პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები მოქმედებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის წესი;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი დებულება;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- შინაგანაწესი;
- სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულება;
- სამეურვო საბჭს ოქმი დისციპლინური კომიტეტის არჩევაზე;
- ბრძანება N2-203 მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების, მობილობის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისა და გასაჩივრების წესი
- სკოლასა და დასაქმებულს შორის დადებული ხელშეკრულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას აქვს ვებგვერდი და სოციალური ქსელი, სადაც პერიოდულად განათავსებს სკოლაში დაგეგმილი და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას. თითოეული კლასის დამრიგებელს შექმნილი აქვს ფეისბუქ ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანებული არიან მოსწავლეთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები. ამ ჯგუფების დახმარებით ხდება მშობლების ინფორმირება, გამოკითხვა და სხვა საჭირო აქტივობების განხორციელება. სკოლის ადმინისტრაცია აწყობს მიზნობრივ შეხვედრებს მშობლებთან სკოლაში მიმდინარე სიახლეების გაცნობის მიზნით და ასევე ამ შეხვედრაზე ხდება მშობლების ინიციატივებისა და წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და ერთობლივად გადაჭრის გზების დასახვა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობა სკოლის მართვის ორგანოებში უზრუნველყოფილია მათი წარმომადგენლებით სამეურვეო საბჭოში, რომელიც არის უმაღლესი არჩევითი ორგანო და რომელთანაც ხდება ფაქტობრივად სკოლისათვის ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების წარდგენა დასამტკიცებლად და/ან შესათანხმებლად.

მოსწავლეთა არჩევითი ორგანოს, სკოლის სტრუქტურული ერთეულის, მოსწავლეთა თვითმმართველობის საშუალებით უზრუნველყოფილია მოსწავლის ჩართვა სკოლის მართვაში, ხოლო მასწავლებელთა გაერთიანება - პედაგოგიური საბჭო მონაწილეობს სასკოლო ცხოვრების მთელ რიგ გადაწყვეტილებების მიღებაში, კათედრები - კათედრის დონზე გადაწყვეტილებები მიღების პროცესში არიან ჩართული, დისციპლინური კომიტეტი კი განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში/მართვის ორგანოებში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი;
- სოციალური ქსელი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- პდაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- კათედრის სხდომის ოქმები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლის მიმდებარე გზაზე არის სიჩქარის შემამცირებელი ნიშანი და საფეხმავლო გადასასვლელი ,,ზებრა''. სკოლის ტერიტორია შემოღობილია და შეზღუდულია სკოლის ეზოში ავტომობილების გადაადგილება. სკოლას აქვს 2 ძირითადი და ერთი სათადარიგო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესასვლელი. სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური წარმოდგენილი - 3 მანდატურით. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, სკოლას განსაზღვრული ჰყავს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირები (ბრძანება N2-369) სკოლის პრაქტიკაა მასწავლებელთა მორიგეობა სართულების მიხედვით. სკოლის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი.

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლის პრაქტიკაა პრევენციული აქტივობების/ღონისძიებების საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის აქტივობების მოწყობა. 2022 წლის 11 ნოემბრი ბრძანებით N2-501 დამტკიცებულია სკოლის მიერ შემუშვებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი.

სკოლას სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული აქვს სკოლის საგანგებო მართვის გეგმა, დამტკიცებული აქვს საგანგებო შტაბი და საგანგებო მართვის გეგმა.

სკოლამ წარმოადგინა 2019 წლის 17 ივნისის სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხვედლობის მიწერილობა N825 , რომლის თანახმადაც სკოლას ესაჭიროება სახანძრო სიგნალიზაციის დამონტაჟება. სკოლას ჩატარებული აქვს ბაზრის კვლევა და **ვიზიტის პერიოდში გააგზავნა წერილი MES 9 23 0000691670 სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში ფინანსური მხარდაჭერის მოთხოვნით.**

სკოლას ჰყავს ექიმი და შესაბამისად აღჭურვილი ექიმის კაბინეტი. ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ-ით (2022 წლის 21 მარტი) განსაზღვრულ მოთხოვნებს თუმცა სკოლას გამომდინარე მისი კონტიგენტიდან **სჭირდება 2 ექიმის მომსახურება, სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 1 ექიმთან.**

სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებს 6 ვიდეო კამერა, ხოლო შიდა პერიმეტრს 14.

სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში (12/06/2023) სკოლის შენობის **კონსტრუქციის მდგრადობის შესწავლისა და შესაბამისი დოკუმენტის გაცემისთვის საჭირო პროცედურების დაწყების თხოვნით.**

ინდიკატორის მოთხოვნებს არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 10 თვის ვადაში (30 ივლისი, 2023 წ დან -30 მაისი 2024 წ. მდე) უზრუნველყოფს ექიმის შტატის დამატებას და ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კადრის აყვანას
სკოლა 1 წლის ვადაში გეგმავს სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას, ხოლო შენობის მდგრადობის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მოკვლევას 6 თვის ვადაში
აღნიშნული შესაბამისობის გეგმის შესწავლის, განსახორციელებელი აქტივობებისა და რესურსების, ვადების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა როგორც მეტწილი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაიცვას ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კადრის აყვანის, შენობის მდგრადობის მოკვლევისა და სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება შესაბამისობის გეგმით განაზღრულ ვადებში

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლას - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. ბრძანების საფუძველზე შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქმიანობას. საშვთა სისტემით კონტროლდება შენობაში უცხო პირთა შესვლა-გასვლა. უცხო პირთა/ვიზიტორთა რეგისტრაცია ხორციელდება სპეციალურ ჟურნალში, სკოლაში გამოვლენილ დარღვევებზე ხდება შესაბამისი რეაგირება, სკოლას ემსახურება 3 მანდატური. სართულების მიხედვით სკოლის პრაქტიკაა მასწავლებელთა მორიგეობა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლას შემუშავებული აქვს ძალადობის იდენტიფიცირებისა და რეაგირების მექანიზმი, შიდა ინსტრუქცია (სკოლის დირექტორის 2016 წლის 20 ოქტომბრი ბრძანება N2-388, ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით სსიპ ქალაქ თბილისის N45 საჯარო სკოლის შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ), რომლითაც განსაზღვრულია რეფერირების პროცედურები ბავშვზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად. აღნიშნული ინსტრუქციით სკოლას განსაზღვრული აქვს ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციის რეგულირების სფერო, სკოლის უფლებამოსილებები, ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის და ბავშვზე ძალადობის ფაქტის გამოვლენის მექანიზმები, ბავშვზე ძალადობის შემთხვევის ადგილზე შეფასება, ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.
სკოლის შენობაში (ფოიე, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა) და სკოლის ეზოში არსებული სივრცეები (განსაკუთრებით სკოლის შიდა ეზო), გამოიყენება სხვადასხვა აქტივობებისთვის/არაფორმალური თუ ფორმალური ღონისძიებებისთვის რაც მოსწავლეებში სოციალური ურთიერთობების გამყარებას უწყობს ხელს.

ფსიქოლოგიურად და ემოცუურად უსაფრთო გარემოს შექმნას ემსახურება სკოლის ფსიქოლოგი და ასევე სადამრიგებლო პროგრამები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას მიეწოდება სუფთა წყალი, დერეფნებში განთავსებულია წყლის დისპენსერები, ხოლო სველ წერტილებში დაცულია პირადი ჰიგიენის დაცვისთვის შესაფერისი პირობები. პირადი ჰიგიენის საშუალებები განთავსებულია იზოლირებულ საცავებში, რომელიც ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციით. ჰიგიენური პირობების დაცვა მიმდინარეობს, როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე.
სკოლაში არის 23 სველი წერტილი (13 გოგონებისა და 12 ვაჟებისათვის) და 1 ადაპტირებული სველი წერტილი. სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენური ნორმები.
სკოლის ინფრასტრუქტურის დასუფთავებას ემსახურება 1 მეეზოვე და 6 დამლაგებელი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები (ბრძანება N2-16), რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დაცვის, პერსონალური მონაცემთა დამუშავების და დაცვის პრინციპებს, გამოყენების მიზნებს და სხვა. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ პერსონალური მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმების მე-17 მუხლით (მონაცემთა დაცვის მონიტორინგი) განსაზღვრული ვალდებულებები.

მოსწავლეთა პირადი საქმეები განთავსებულია სპეციალურად გამოყოფილ, დაცულ სივრცეში და მათზე წვდომა აქვთ საქმეთა მმართველსა და დამრიგებლებს. ხოლო, მოსწავლის მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე ფოსტით გადაეგზავნება მიმღებ სკოლას. სკოლაში დაცულია სკოლის პერონალის პირადი საქმეები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

6.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, მუდმივად ახორციელებს დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. სკოლაში გამოიყნება მხოლოდ ლიცენზირებული პროგრამები, სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში, გარდა წინასწარ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეთანხმებული ინფორმაციისა. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

7.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლამ ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების სრულყოფის მიზნით შეიმუშავა უსაფრთხო გარემოს მახასიათებლების შეფასებისთვის შესაბამისი კითხვარი, რომლის მიხედვითაც განახორციელებს მონიტორინგს და მიღებული მონაცემების მიხედვით შეფასებას. შეფასების შედეგად დანახული მიგნებებს დაეფუძნება სასკოლო გარემოს უსაფრთხოების გაუმჯობესება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი ;
  MIA 4 22 03540445 სკოლის საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ;
- ბრძანება N2-519 (12 დეკემბერი 2022 წ) სსიპ ქალაქ თბილისის N45 საჯარო სკოლაში საგანგეებო შტაბის შექმნისა და საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ;
- საგანგებო მართვის გეგმა;
- უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება N2-369);
- ექიმის პირადი საქმე;
- ძალადობის იდენტიფიცირებისა და რეაგირების მექანიზმი, შიდა ინსტრუქცია (სკოლის დირექტორის 2016 წლის 20 ოქტომბრი ბრძანება N2-388, ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით სსიპ ქალაქ თბილისის N45 საჯარო სკოლის შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ)
- პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები (ბრძანება N2-16)
- ბრძანება მოსწავლეთა უკონტაქტო დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა მდებარეობს თბილისში. სარაჯიშვილის გამზირი N25-ში. დაზუსტებული ფართობი - 9274 კვ. შენობის საერთო ფართობი- 6921.1კვ.მ. სკოლის შენობა 4 სართულიანია. სკოლაში არის სულ 38 საკლასო ოთახი, სველი წერტილი -13 ერთეული გოგონებისთვის და 12-ვაჟებისთვის, 1 ადაპტირებული სველი წერტილი სამასწავლებლო, დირექტორის და მისი მოადგილის სამუშაო ოთახები, 2 კომპიუტერული კლასი მათგან 1 განკუთვნილია საგაკვეთილო პროცესისათვის, ხოლო მეორე-სამუშაოდ მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, რესურსოთახი, ბუღალტრის, ფსიქოლოგისა და მეტყველების თერაპევტის ოთახები, ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორია (სადაც განთავსებულია შესაბამისი აღჭურვილობა) და ბიოლოგიის ლაბორატორია, რობოტექნიკის ოთახი, ხელოვნების სახელოსნო, ოთახი მოსწავლეთა თვითმმართველობისთვის, სააქტო დარბაზი, მანდატურის ოთახი, ექიმის ოთახი, ბიბლიოთეკა, ბუფეტი, მინი სპორტული დარბაზი დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის და სპორტული დარბაზი გასახდელებით, გარე სპორტული მოედანი.1214 მერხი და სკამი, 40 დაფა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

   დაწესებულების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლიათ არა მარტო მოსწავლეებს და მასწავლებლებს, არამედ მშობლებსაც. (ბიბლიოთეკაში ცალ-ცალკეა განთავსებული მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ფორმულარები).

   სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები: სკოლის შიდა ეზო, ეზო, ფოიე, დერეფნები, კომპიუტერული კლასი, სააქტო დარბაზი, სპორტული მოედნები (ღია და დახურული) სადაც მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის კომუნიკაციისა და სოციალიზაციისათვის კარგი გარემოა. სკოლაში მდებარე სხვადასხვა დანიშნულების ოთახები (რობოტექნიკის, ხელოვნების, მოსწავლეთა თვითმმართველობის და სხვა) გამოყენებულია მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისათვის. საკლასო ოთახების სივრცეები საშუალებას იძლევა მასწავლებლებმა დაგეგმონ და წარმართონ ჯგუფური სამუშაოები, რაც ასევე მოსწავლეებში სოციალური უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

   რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სკოლას შემუშავებული აქვს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები: მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლაში არსებული რესურსების გამოყენების თანაბარ ხელმისაწვდომობას და უსაფრთხოებას, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (რეგულირდება საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად). სასკოლო საზოგადოების წევრებს შეუძლიათ ბიბლიოთეკიდან რესურსების გატანა/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაბრუნება სკოლის მიერ შემუშავებული წესების შესაბამისად. შემუშავებულია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებს და პედაგოგებს კომპიუტერული რესურსებით. სამედიცინო კაბინეტში არის პირველადი დახმარებისთვის საჭირო ყველა რესურსი და მედიკამენტი. ასევე, შემუშავებულია პირველადი სამედიცინო დახმარების პროცედურები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლა ოთხსართულიანია. სკოლს შესასვლელში მოწყობილია პანდუსი, პირველ სართულზე განთავსებული სველი წერტილი კეთილმოწყობილია სპეციალური საჭირობის (შშმ) მქონე მოსწავლეებისათვის. სკოლას არ აქვს ლიფტი და ასევე არ აქვს მოძრავი პანდუსები, რაც შშმ პირს სკოლის მთელ ტერიტორიაზე გადაადგილების საშუალებას მისცემდა.

სტანდარტის მოთხოვნასთან შეუსაბამოა

<u>დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2023 წლის ივლისიდან 2024 წლის მაისამდე (10 თვეში) უზრუნველყოფს ლიფტის მონტაჟს. გეგმაში განსაზღვრულია დაფინანსების წყარო და პროცესში ჩართული მხარეები. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა როგორც მეტწილი</u>

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადებში უზრუნველყოს აღებული ვალდებულების/ლიფტის დამონტაჟების უზრუნველყოფა

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას** .

სკოლის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა მოსწავლეებმა დააგროვონ ისეთი გამოცდილება, რომელიც ხელს შეუწყობს მათი სოციალიზაციის პროცესს. სკოლაში არსებული რეკრეაციული სივრცეები, სკოლის შიდა ინფრასტრუქტურა (ვრცელი და ნათელი ფოიე, დერეფნები, შიდა ეზო, დიდი ზომის საკლასო ოთახები, მოსწავლეთა პრაქტიკული საქმიანობისათვის გამოყოფილი ოთახები)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის მიერ დაგეგმილი საქმიანობა (პროექტები, კლუბებისა და წრეების ფუნქციონირება, საგაკვეთილო პროცესში ჯგუფური მუშაობა და მუშაობა წყვილებში) , საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პრაქტიკაში აითვისონ/განივითარონ სოციალური უნარები.
სკოლის ბიბლიოთეკა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებას (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი) ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განვითარებაში. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (5836-ერთეული მხატვრული ლიტერატურა, 1723 სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურა მასწავლებლებისათვის), ბიბლიოთეკაში განთავსებული 4 ლეპტოპი უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო ლიტერატურისა და მასალის ხელმსაწვდომობას როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონულად. სკოლაში ერთი საკლასო ოთხი აღჭურვილია 30 სტაციონარული და პერსონალური კომპიუტერით
სადაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შეუძლიათ მუშაობა საჭიროების შემთხვევაში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. **სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).**

სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა, რომელიც საჭიროა კურიკულუმით განსაზღვრული შედგების მისაღწევად, ელექტრონული რესურსები, 2 კომპიუტერული კლასი აღჭურვილი 30-30 კომპიუტერით, ბიბლიოთეკა მოწავლეებისათვის განკუთვნილი 4 კომპიუტერით, 24 პროექტორი, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები: პლაკატები, რუკები, საბუნებისმეეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვილობა. მოწყობილი ოთახი სსსმ მოსწავლეებისათვის, ღია და დახურული სპორტული მოედნები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბრძანება N2-500 სსიპ ქალაქ თბილისის N45 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესის (დებულების) დამტკიცების შესახებ 2022 წლის 11 ნოემბერი ნოემბერი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N45 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი ბრძანება N2-502 სსიპ ქალაქ თბილისის N45 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ 2022 წლის 11 ნოემბერი;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
- ინვენტარიზაციის უწყისი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას წარმოდგენილი აქვს ,,კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა“ რომლითაც დასტურდება, რომ სკოლას 113 კომპიუტერი აქვს, აქედან მუშა მდგომარეობაშია 85, ასევე აქვს 17 პროექტორი, ერთი ვებკამერა (გრანტით), 4 ფოტო აპარატი. სკოლის ადმინისტრაცია იყენებს 11 კომპიუტერს ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, მასწავლებლებისთვის გამოყოფილია 20 კომპიუტერი და 11 ლეპტოპი, დანარჩენი 43 კომპიუტერი გამოყოფილია მოსწავლეებისთვის. სკოლაში არსებული კომპიუტერების მახასიათებლებია: Fujitsu-ს პენტიუმ 4 მონაცემების სამაგიდო კომპიუტერი-7ც, HP ქსელური ტიპის 12 კომპიუტერი 12 მონიტორით, სამაგიდო კომპიუტერი პენტიუმ 4 -ის მონაცემებით 4ც, სამაგიდო კომპიუტერის სისტემური ბლოკი პენტიუმ 4 მონაცემებით17ც, სამაგიდო კომპიუტერი Case PS-370, MB Asus P8H61-M LX3 Soc.1155, CPU Core i3 3240 3,4GHz, Monitor Philips 22" 226V4LAB/00 LCD,KB Genius SlimStar 110 USB ,Mouse Genius NetScroll 120 USB Black-1 ც, პენტიუმ 4-2ც, პორტატული კომპიუტერი HP 650-1ც, NETBOOK PACKARD Bell-1ც,სამაგიდო კომპიუტერი ACER Veriton - X2631G-22ც, კომპიუტერიiLENOVO H50-55 DESCTOP-1ც, პორტ.კომპიუტერი Acer/AspireE5-573, ACER-ის სტანდარტული პერსონალურ კომპიუტერის კომპლექტის (სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი) სტანდარტული დესკტოპი-1ც, პორტაბელური კომპიუტერი LENOVO V310-15ISK Notebook PC.-22ც ACER-ის სტანდარტული პერსონალურ კომპიუტერის კომპლექტის (სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი) სტანდარტული დესკტოპი-3ც, HP-ის სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერი (სტანდარტული ლეპტოპი)-5ც, პორტაბელური კომპიუტერი Acer Extensa EX215-22-11ც, სტანდარტული პერსონალურ კომპიუტერის კომპლექტი(სისტემური ბლოკი Ventury21A2384-85 მონიტორი Acer EcoDisplay,კლავიატურა Genius USB;მაუსი)-2ც.

სკოლა მთლიანად უზრუნველყოფილია ინტერნეტით, კერძოდ ორ კომპიუტერული ლაბორატორიაში და ადმინისტრაციულ ოთახებში გაყვანილია Lan (საკაბელო) ტიპის ინტერნეტი, ასევე მთელი სკოლის სივრცე დაფარულია Wi-Fi ინტერნეტით.

სკოლას ინტერნეტი მიეწოდება მოცემული სიჩქარით: Lan (საკაბელო) - 40MGPS, ხოლოWi- Fi- 30 MBPS. სკოლას აქვს პროგრამულად გამართული ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესებისთვის საკმარისი რაოდენობის მქონე კომპიუტერები, სხვა ტექნიკა, რითაც უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესების შეუფერხებლად წარმართვა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

<u>**სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა**</u> <u>სსიპ - ქალაქ თბილისის N45 საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა (დაზუსტებული 21.07.2023 წ.). კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა დაზუსტებულია სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტის განხორციელების შემდგომ პერიოდში. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნის პროექტი ეფუძნებოდა სკოლის მიერ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ ,,კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმას'' რომელშიც, როგორც სკოლა განმარტავს არ იყო ასახული 2022-2023 წელს სკოლის მიერ შეძენილი</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

<u>პროექტორები და კომპიუტერები. ამავდროულად, სკოლამ ვიზიტის შემდგომ (ბრძანება N2-231, 27 ივნისი 2023 წ) განახორციელა კომპიუტერების ჩამოწერა და დღეის მდგომარეობით სკოლაში არის 103 კომპიუტერი , აქედან მუშა მდგომარეობაში - 66, და 28 პროექტორი.</u>

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

სკოლაში ვიზიტისას დათვალიერებულ იქნა მასწავლებლის მოსწავლის, ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები. მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისათვის გამოყოფილია ორი სივრცე ბიბლიოთეკაში და კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სადაც მათ შეუძლიათ მუშაობა საჭიროებისამებრ. კლასებში შექმნილია ყველა პირობა, რომ გამოყენებული იქნას ლეპტოპი და პროექტორი .

მოსწავლეები სარგებლობენ კომპიუტერული ლაბორატორიით, ასევე კომპიუტერული კლასით. განრიგით განაწილებულია სამუშაო დრო.

ინტერნეტთან წვდომა არის ყველგან, მთელ შენობაში.

კომპიუტერულ ტექნიკაზე გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი - სკოლის საინფორმაციო მენეჯერი

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის დოკუმენტაციით;
- ,,კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა“.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი
სკოლის მიერ წარმოდგენილია საქმის წარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. სკოლა ახდენს დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დაცულია დოკუმენტის ფორმები და ტიპები, რეგისტრირდება გასული და შემოსული დოკუმენტაცია, პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები იწარმოება დადგენილი წესის შესაბამისად, სკოლას აქვს საკადრო და საერთო ბრძანებების ჟურნალები, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები. ჟურნალები გადანომრილი და ზონარგაყრილია. საქმის წარმოების წესი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**
სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას Eflow, eschool, Office 365, Gmail, ელექტრონული ჟურნალი. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული აქვს სხვადასხვა ჯგუფები სოციალურ ქსელში და ვებგრდი http://45skola.ge/1/home. სკოლას აქვს მარტივი ნავიგაციის ვებ გვერდი, სადაც განთვსებულია ინფორმაცია სკოლის საქმიანობისა და სხვა აქტივობების შესახებ, რაც ლოგიკურადაა დაჯგუფებული და დასათაურებული.
სკოლას ციფრული განვითარების თვითშეფასების საფუძველზე შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების ერთწლიანიგეგმა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლა სარგებლობს ზოგადი განათლების მართვის ერთიანი სისტემით (eschool), რომელშიც აქვს სრულყოფილი პროფილი, სკოლა დადგენილ დროში და კანონმდებლობის შესაბამისად ასახავს ინფორმაციას. სკოლას გამოყოფილი ჰყავს შესაბამისი პირი ბაზებთან სამუშაოდ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლას საქმის წარმოების წესის შესაბამისად აქვს ანგარიშგების, შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდი და პროცედურა განსაზღვრული. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა სრულად, კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- სკოლის ვებგვერდი;
- ელექტრონული ჟურნალი;
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლა სასკოლო თემთან კომუნიკაციისთვის და თანამშრომლობისთვის იყენებს ოფიციალურ მარტივი ნავიგაციის ვებ გვერდს http://www.45skola.ge/1/home, სოციალურ ქსელში შექმნილ გვერდს https://www.facebook.com/N45sajaroskola და სხვადასხვა (კლასების მიხედვით) ჯგუფებს **Facebook-ში.**

სკოლას გამოყოფილი ჰყავს ვებგვერდის ინფორმაციის განთავსებასთან დაკავშირებით პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასკოლო პროექტების ფარგლებში შექმნილია ბლოგი (1. https://45schoolculture.blogspot.com/, 2.https://45newschool.blogspot.com/.სკოლის დერეფნებში განთავსებულია საინფორმაციო დაფები, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სკოლაში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის მიღება

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლის მიერ ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციების სანდოობა და უტყუარობა დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით (შესაბამისობით გავრცელებულ ინფორმაციასა და სკოლის დოკუმენტაციას შორის).

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლა სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებიდან მიღებულ უკუკავშირს იყენებს სასკოლო საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.მაგალითად, დისტანციური სწავლების დროს ელექტრონული კითხვარის გამოყენებით შესწავლილ იქნა მოსწავლეთა ტექნოლოგიური უზრუნველყოფის საკითხი, რომლის მიხედვითაც განხორციელდა მათ საჭიროებაზე რეაგირება. ასევე სასკოლო პროექტზე მუშაობის დაწყებამდე - პრიორიტეტული მიმართულების ასარჩევად ჩატარდა გამოკითხვა მშობლებსა და მასწავლებლებთან და მიღებული მონაცემების დამუშავების შემდგომ შეირჩა საპროექტო თემა, განიაზღვრა მშობელთა ჩართულობა პროექტში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში სწავლების ენა არის ქართული, სკოლას აქვს მარტივი ნავიგაციის ვებგვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

6. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებ გვერდი http://www.45skola.ge/1/home და ვებგერდზე შესაბამისი გვერდები,სადაც განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: სკოლის ისტორია, მისია, ხედვა, მიზნები, ღირებულებები, სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრატეგიული გეგმა, შინაგანაწესი, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა.
როგორც სკოლა აღნიშნავს, ვებ-გვერდის დიზაინი მოძველებულია და იგეგმება განახლება. სკოლის განახლებულ ვებ გვერდზე ხელმისაწვდომი იქნება სკოლის შესახებ სრულყოფილი საჯარო ინფორმაცია. განახლებისთვის სკოლამ მიმართა განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრს წერილით, რომ მოხდეს სკოლის ვებგვერდის ჩაშენება სკოლების ერთიან საინფორმაციო პორტალზე , რომლის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს განათლების საინფორმაციო სისტემა (EMIS) . სკოლამ წარმოადგინა რესურსცენტრიდან მიღებული წერილი MES 0 23 0000673491, რომლის თანახმადაც პორტალის გამოყენების შესახებ ინსტრუქციების გაცემა დაიწყება 30 ივნისიდან.
სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი (https://www.facebook.com/N45sajaroskola, სადაც მუდმივად განახლდებადი ინფორმაციაა და სასკოლო საზოგადოება საქმის კურსშია სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვბგვერდი http://www.45skola.ge/1/home ; https://www.facebook.com/N45sajaroskola;
- https://45schoolculture.blogspot.com/;
- https://45newschool.blogspot.com/.
- გლდანი-ნაძალადევის რესურსცენტრის წერილი MES 0 23 0000673491

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (2022 წლის9 დეკემბერს სამეურვეო საბჭოს N 9 ოქმი სკოლის 2023 წლის სავარაუდო (საპროგნოზო) ბიუჯეტის დამტკიცებაზე, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვების წესი, შესყიდვების გეგმა 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა) საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საოპერაციო ხარჯები გათვალისწინებული აქვს ბიუჯეტში. ამასთან, შესყიდვების გეგმის დამტკიცების წესში გაწერილია გეგმის შემუშავების პროცედურა კერძოდ, ტარდება ბაზრის კვლევა, რომელსაც ახორციელებს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი და ბუღალტერი. ბაზრის კვლევის მეთოდად გამოიყენება: ინტერნეტში პოტენციური მიმწოდებლის მოძიება, პოტენციური მიმწოდებლიდან ინვოისების გამოთხოვა, წინა წლების გამოცდილების ანალიზი (ხელშეკრულებების შესწავლა), სატელეფონო გამოკითხვები, სხვა ორგანიზაციების გამოცდილება. წარმოდგენილია ასევე მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათი, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლა იცავს რეგულაციებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

სსიპ- ქალაქ თბილისის N45 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის ბრძანება N 2-506-სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ, 2023 წლის 31 იანვრის ბრძანება N2-19 ადასტურებს, რომ შესყიდვების პროცესი დინამიურია, მორგებულია სკოლის საჭიროებებს. იკვეთება, რომ სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა. წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი (10 დეკემბრამდე წარსადგენი), რომელიც მოიცავს მონიტორინგის შედეგებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური ანგარიშისა და ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ბრძანება შესყიდვების გეგმის დამტკიცების წესის შესახებ;
- საპროგნოზო ბიუჯეტი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას სკოლა ახდენს შინაგანაწესში გაწერილი მე-11, მე-16, მე-17, მე-18, მე-19, მე-20 მუხლებით („მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი“, „მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები“ , „მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები“, სახდელის დაკისრება ერთზე მეტი გადაცდომის ჩადენის დროს“ , „ მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი“, „სკოლის მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები“)

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მისი მონიტორიგის მექანიზმები, რომელიც აყალიბებს დასაქმებულთა / მოსწავლეთა პერსონალურ ინფორმაციათა სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებს. სკოლას ასევე დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა რეფერირების პროცედურა.

ამრიგად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციებით: შინაგანაწესი, სკოლის წესდება, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, პერსონალურ ინფორმაციათა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაციები, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორს დადებული ხელშეკრულებები უზრუნველყოფს მოწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ და შესაბამისად ის გაზიარებულია სამეურველ საბჭოს წევრების (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) მიერ. დამტკიცებულ შინაგანაწესს მოსწავლეთა თვითმმართველობა მათ მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე აცნობს მოსწავლეებს. სკოლის შინაგანაწესის გაცნობა პედაგოგებისთვის ხდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

აღნიშნული დოკუმენტების გასაჯაროების მიზნით სკოლას:

- დოკუმენტები (შინაგანაწესი და წესდება) ატვირთული აქვს სკოლის ვებგვერდზე ;
- სკოლის შინაგანაწესი გამოკრული აქვს სკოლის შენობაში თვალსაჩინოდ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- დაგეგმილი აქვს კლასის დამრიგებლების საშუალებით მოსწავლეებსა და მშობლებს მიაწოდებს ინფორმაციას აღნიშნული დოკუმენტების შინაარსზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. სკოლას მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. ხელშეკრულებები შემთხვევითი შერჩევის პრინციპით იქნა გადამოწმებული. ხელშეკრულებებში კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენება, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, დამატებითი პირობები, მხარეთა ხელმოწერები. ხელშეკრულებაში გაწერილი მუხლები მკაფიოა და გამჭვირვალე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლი ვებგვერდი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის წესდება;
- სკოლის თვითმმართველობის დებულება;
- კლასის დამრიგებლის მოვალეობები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების, მობილობის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების და გასაჩივრების წესი (დამტკიცებული ბრძანება N2-203, 2023 წლის 12 ივნისი) წარმოდგენილი წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვას, მოსწავლის პარალელურ კლასში გადაყვანას, მოსწავლის სტატუსის შეჩერებასა და აღდგენას, მობილობას, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას და გასაჩივრების წესს.
წარმოდგენილი წესი შესაბამისობაშია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ და 2010 წლის 1 ოქტომბრის N98 /ნ ბრძანებებთან.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლის არსებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ ის იცავს წარმოდგენილი წესით განსაზღვრულ რეგულაციებს.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლას შემუშავებული აქვს კლუბის წესდება და სამუშაო გეგმა, სადაც ჩაშლილია კლუბის მიზნები, კლუბის წევრების უფლებები და კლუბში გაწევრიანების შესაძლებლობები. ინფორმაცია კლუბებისა და მოსმახურების შესახებ ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე. კლუბის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია მოწავლის შესაძლო ქცევა და გასავითრებელი უნარ-ჩვევები. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს 3 უცხოურ ენას გერმაულს, იტალიურს და რუსულს ასარჩევად.
სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და პირობების ვებგვერდზეა ატვირთული რაც უზრუნველყოფს მის საჯაროობას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლა განახლებულ ინფორმაციას სისტემატურად ტვირთავს სკოლის ვებგვერდზე. ინფორმაცია განახლებადია, გამჭვირვალეა და არადისკრიმინაციულია. სკოლას ჰყავს ვებგვერდზე პასუხისმგბელი პირი რომელსაც დავალებული აქვს ვებგვერდის მართვა.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი http://45skola.ge/1/home

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების, მობილობის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების და გასაჩივრების წესი;
- **ბრძანება N2-203, 2023 წლის 12 ივნისი;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (ბრძანება N2-202. 12 ივნისი 2023 წელი). აღნიშნული წესით განისაზღვრება სკოლაში მობილობით გადმოსული მოსწავლის, პირველ კლასელის, სსსმ მოსწავლის სასკოლო სივრცეში ადაპტაციის დეტალური ინსტრუქცია.

სკოლის ადმინისტრაცია პრველკლასელი მოსწავლეების და მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებს, მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით, აწვდის დეტალური ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით არსებული და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს დასაცავი რეგულაციების შესახებ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლა ნამდვილად უწყობს ხელს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. წარმოდგენილი დოკუმენტი, მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარეა შექმნილი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლას მოქმედი პრაქტიკით განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა მხარდაჭერა და კონსულტირება აკადემიური მიღწევებს გასაუმჯობესებლად. სკოლა ცდილობს ხელი შეუწყოს მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უკუკავშირი. რომელიც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. დაწყებით საფეხურზე სკოლა გეგმავს განახორციელოს ,,რემედიაციის'' პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია იმ მოსწავლეებზე, რომლებსაც ქართულსა (კითხვა/გაგება/გააზრება) და მათემატიკაში სჭირდებათ მხარდაჭერა. სკოლი მიერ დაგეგმილ დიაგნოსტიკური წერების შედეგების საფუძველზე, გეგმავს მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენას და სჭიროების შემთხვევაში შესაბამის მხარდაჭერას. სარემედიაციო პროგრამის განხორცილება მოხდება მშობლებთან შეთანხმებით.

სკოლას სარემედიაციო პროგრამის დებულებაში გაწერილია პროგრამის მიზანი, სამიზნე ჯგუფი და შერჩევის კრიტერიუმები, პროექტის მენეჯმენტი, პროგრამის განხორციელების ინტენსივობა და ვადები. სარემედიაციო ინტერვენციების გეგმა და მორიტორინგი, ინტერვენციების შედეგების ანალიზი. გაწერილია რემედიაციის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები. საბაზო და საშუალო საფეხურზე დაბალი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში საგნის მასწავლებლები და დამრიგებლები ხვდებიან მშობლებს, აწვდიან ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მდგომარეობის შესახებ და ერთობლივად გეგმავენ გადაჭრის გზებს. საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდის შემთხვევაში, მოსწავლეებს ენიშნებათ კონსულტაციები, რომელიც ეხმარება მათ, წარმატებით დაძლიონ გამოცდა.

სკოლის ეელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის მშობელმა დროულად და სისტემატურად მიიღოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**

სკოლის პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწვლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. ასევე აცნობენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს. გარდა ამისა სკოლას ვებგვერდზე აქვს ატვირთული სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი რაც ზრდის მშობლების /კანონიერი წარმომადგენლების მხრიდან მასზე ხელმისაწვდომობას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლა ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, მოსწავლეებს აძლევს არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით სკოლა გეგმავს:

- ✓ წრეებისა და კლუბების შექმნას მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით;
- ✓ ერთობლივი პროექტების განხორციელებას პროფესიულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;
- ✓ საზაფხულო ბანაკების მოწყობას;
- ✓ სასკოლო პროექტებით სწავლებას.

სკოლაში შექმნილია და უკვე ფუნქციონირებს მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული კლუბები და წრეები: ,,ჩემი თბილისი'' ; პლატფორმა 9 ¾; ,,ლიტშეგრძნება''; ,,მწვანე სიცოცხლე"; ,,ჩხირკედელა 2''; სახალისო ფრენბურთი'';,,წიგნის ქურდი ქურდი არ არის"; ,,სამოქალაქო კლუბი სმარტი"; რობოტიქსის კლუბი „სირიუსი". სკოლას აქვს კარგი სტემ ლაბორატორია სადაც მოსწავლეები ახორციელებენ ინტელისა და სტემ პროექტებს. კლუბების არჩევანში მოსწავლეები თავისუფლები არიან და წინასწარ გადიან რეგისტრაციას. მოსწავლეთა ინტერესების, სურვილებისა და პრობლემების იდენტიფიცირებისათვის ტარდება გამოკითხვები. მოსწავლეთა თვითმმართველობა მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას და ქმნის კლუბებს. სასკოლო ბიბლიოთეკისთვის ლიტერატურის შერჩევა და შეძენა ხდება მოსწავლეთა სურვილების გათვალისწინებით. მოსწავლთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე მოხდა სასკოლო პროექტის პრიორიტეტული თემის შერჩევა. სკოლას როგორც შენობის შიგნით ასევე სკოლის ტერიტორიაზე მოწყობილი აქვს არაფორმალური ღონისძიებებისთვის სივრცეები.სკოლას ბიუჯეტის 210-ე მუხლით, ბიუჯეტის სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, გათვლიწინებული აქვს სკოლის მოსწავლეებისა და თვითმმართველობის პროექტებისათვის ხარჯები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლის პრაქტიკაა ინტერნეტ გამოკითხვების ჩატარება. ვიზიტის პერიოდში სკოლას უკვე ჰქონდა გაზიარებული კითხვარი მშობლებისა და მოსწავლეებისათვის, რომლის დამუშავების საფუძველზეც სკოლა გეგმავს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
- ბრძანება N2-202. 12 ივნიი 2023 წელი;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროქტი;
- კლუბების მუშაობის შედეგად წარმოდგენილი პროდუქტები;

4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი ითვალისწინებს პროფესიის ორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამას. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით პროფორიენტაციის ამოცანებია:

- დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების გამოვლენასა და გააზრებაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- გააცნოს მოსწავლეს პროფესიათა სამყარო, ცალკეული პროფესიის თავისებურებები და ის მოთხოვნები, რომელსაც იგი უყენებს მომუშავეს;
- გააცნოს კონკრეტული პროფესიით დასაქმების შესაძლებლობები;
- დასაბუთებული რეკომენდაციის საშუალებით დაეხმაროს მოსწავლეს პროფესიის სწორად არჩევაში.

გაწერილია IX, X, XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი დამრიგებლების მიერ ,,კლასის საათ"-ზე რეკომენდირებული 7 თემა.
გარდა აღნიშნულისა სკოლის პრაქტიკა ადასტურებს თანამშრომლობას სხვადასხვა პროფესიულ კოლეჯებთან და უმაღლეს დაწესებულებებთან. მასწავლებლები ახორციელებენ მიზნობრივ ექსკურსიებს სახელმწიფო დაწესებულებებში (პარლამენტი, საკრებულო, ადგილობრივი თვითმმართველობა, სასამართლო), სადაც მოსწავლეები ეცნობიან კონკრეტული სტრუქტურის საქმიანობას. პროფესიებს. საზოგადოებრივ კოლეჯ ,,მერმისთან" ერთად სკოლამ განახორციელა ერთობლივი პროექტი, „ქართული ტრადიციების კვალდაკვალ - ტიხრული მინანქარი''. პროექტის ფარგლებში სკოლაში შეიქმნა რესურსების ბაზა, რომლითაც მოსწავლეები შეძლებენ ტიხრულ მინანქარზე მუშაობას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლისთვის მნიშვნელოვანია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავების პროცესში მშობელთა ჩართულობა, შესაბამისად სკოლა კრებებისა და სოციალური ქელების დახმარებით აწვდის მათ ინფორმაციას მოსწავლეთა კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლაში დაგეგმილ ღონისძიებების შესახებ. სკოლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ეყრდნობა სხვადასხვა კოლეჯებისა და უმაღლესი განათლების სანდო ინფორმაციას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლაში კარიერულ დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლა სხვადასხვა დაწესებულებებში ვიზიტებს გეგმავს მოსწავლეების სურვილების და ინტერესების გათვალისწინებით. სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა მხარი დაუჭიროს მოსწავლეების მიერ ინიცირებული პროექტებს. ასეთი პროექტების მაგალითებია: „ მე პროფესია“, „მომავლის სკოლა“. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა გეგმავს ჩაატაროს გამოკითხვა მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების დასადგენად. სკოლისთვის მნიშვნელოვანია წინასწარ განსაზღვროს, თუ რომელი პროფესიები აინტერესებთ მათ, სად სურთ ვიზიტები, რათა უფრო მიზნობრივი იყოს სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობები. სკოლა ასევე გეგმავს კურსდამთავრებულების გამოკითხვას, რათა დაადგინოს, რამდენად წარმატებულად აირჩიეს პროფესია და როგორ დაეხმარა სკოლა ამ არჩევანის გაკეთებაში. მიღებული მონაცემების შეფასების საფუძველზე კი სკოლა შეიმუშავებს მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის გეგმას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმი გაფორმებული საზოგადოებრივ კოლეჯ მერმისსა და სკოლას შორის;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- დამრიგებლის საათის თემატიკა.

4.2.3.სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით განსაზღვრულია სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისებით მიწოდების **რეგულაცია.** სკოლაში დამტკიცებულია ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. ამასთანავე, სკოლას ჰყავს ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელთაც ევალებათ ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი. სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფი, გარდა ამისა სკოლას ჰყავს რამდენიმე სპეციალური მასწავლებელი და ფსიქოლოგი, რომლებიც ხელს უწყობენ სსსმ მოსწავლეების ხარისხიანი განათლებით უზრუნველყოფასა და ინტეგრაციას სასკოლო-სასწავლო პროცესში. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა წარიმართება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ გაწეული რეკომენდაციებისა და სკოლის შიგნით ინკლუზიური განათლების სპეციალისტების შეფასებისა და რეკომენდაციების საფუძველზე.
სკოლას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლის დროული იდენტიფიცირების და პირველადი მართვის გეგმის შედგენის კარგი პრაქტიკა. სსსმ მოსწავლეთა მართვას სკოლა ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობებისა და რეგულაციების საფუძველზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში გამოყოფილია რესურსოთახი, სადაც ყველა პირობაა შექმნილი რათა სსსმ მოსწავლეებმა მიიღონ შესაბამისი მხარდაჭერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ჯგუფი გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს ს.ს.ს.მ მოსწავლეების უმტკივნეულო ტრანზიციის მიზნით. სწავლის დაწყებამდე მოსწავლე მშობელთან ერთად სტუმრობს სკოლას, ათვალიერებს სასკოლო გარემოს, კლასს, რესურს ოთახს, ეცნობა მასწავლებლებს, სპეციალურ მასწავლებელს და სხვა სპეციალისტებს. გაცნობითი შეხვედრის შემდეგ მასწავლებლები იღებენ მშობლისგან ინფორმაციას ბავშვის თავისებურებების და ინტერესების შესახებ (დაგეგმილი ინტერვიუს საშუალებით), რათა მოხდეს სასწავლო პროცესის დაგეგმვა და საკლასო სივრცის მოწყობა ამ ყოველივეს გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლესთვის იქმნება ინდივიდუალური დასწრების გრაფიკი, რათა უმტკივნეულოდ მოხდეს მისი ჩართულობა და ადაპტაცია სასწავლო პროცესში. იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლე იღებს სხვა დამატებით მომსახურებას (მაგ. დღის ცენტრის), სპეციალური მასწავლებელი თანამშრომლობს მოსწავლის თერაპევტთან, ცვლის ინფორმაციას მასთან დაგეგმილ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით და იღებს რეკომენდაციებს მოსწავლის ქცევის თავისებურებების, ასევე აკადემიური, კოგნიტური უნარების შესახებ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სწორად დაიგეგმოს სასწავლო პროცესი სკოლაში.
სსსმ მოსწავლეთა განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი: საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი, სპეც. მასწავლებელი, მოსწავლის ასისტენტი, ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების თერაპევტი. ისინი თანამშრომლობენ და მუდმივ კომუნიკაციაში არიან ერთმანეთთან. სასწავლო წლის დასაწყისში, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდი აწყობს შეხვედრას მასწავლებლებთან, სადაც განიხილავს წლის დასაწყისში განსახორციელებელ სამუშაო გეგმას, ამის შემდეგ ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული თითოეული მოსწავლის საჭიროება და შესაძლებლობები. ისგ ჯგუფი შეხვედრებზე განიხილავს მოსწავლის საჭროებებს და ერთობლივად გეგმავს საქმიანობას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში;
- ბრძანება ინკლუზიური განათლების სამოქედო გეგმის დამტკიცების შესახებ და სამოქმედო გეგმა;
- ისგ ფორმა ;
- ინტერვენციის გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი;
- **მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირებისა და პირველადი მართვის დოკუმენტი (მიმართვის ფორმის დანართი);**
- სპეციალური მასწავლებლის სამუშო განრიგი;
- ფსიქოლოგის მიერ გაცემული რეკომენდაციები ქცვის მართვასთან დაკავშირებით.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა მოსწავლეებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების ფარგლებში სთავაზობს გახანგრძლივებული სწავლებას და კვების სერვისს. გახანგრძლივებული სწავლებაზე მოსწავლეთა ჩარიცხვა ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე და შემდგომ მომსახურების და პირობების შესახებ მშობელსა და სკოლას შორის ფორმდება ხელშეკრულება. კვების სერვსის მიზნით სკოლას იჯარით აქვს გაცემული ფართი ფიზიკურ პირზე, რომელიც მომსახურებას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. იჯარით ფართის გაცემა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით. სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ იჯარით გასაცემ ფართზე მიღებულია თანხმობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან და ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან. ფართის იჯარით გაცემა მოხდა აუქციონის წესით. აუქციონში გამარჯვებულ ფიზიკურ პირთან გაფორმებულია ხელშეკრულება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობებს: გახანგრძლივებული სწავლება, კლუბები და წრეები. კლუბებსა და წრეებში მოსწავლეები ინტერესისა და სურვილის მიხედვით რეგისტრირდებიან (სკოლას ფორმსში აქვს გაკეთებული რეისტრაციის ფორმა, რომელსაც უზიარებს მოსწავლეებს და მოსწავლეები რეგისტრირდებიან). გახანგრძლივებული სწავლების შემთხვევაში მშობლები წერენ განცხადებას, რომლის საფუძველზეც იქმნება დირექტორის ბრძანებთ გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფი. მშობლებთან ფორმდება ხელშეკრულება. მოსწავლეთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებით მიზნით სკოლა გეგმავს ჩაატაროს გამოკითხვა, სადაც გამოიკვეთება მათი ინტერესები და სურვილები, თუ რა მომსახურება სურთ დამატებით მიიღონ სკოლაში და ამის საფუძველზე შეიმუშავებს სკოლა დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების პრიორიტეტებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ყველა მომსახურება, რომელსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ხორციელდება სკოლაში არსებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბუფეტის ფუნქციონირებისათვის იჯარით გაცემული ფართის პროცედურების დამადასტურებელი მასალები;
- ბრძანება გახანგრძილებული სწავლების შესახებ, მშობლის განცხადების და ხელშეკრულების ფორმა
- მოსწავლეთა კლუბებში გაწევრიანების სარეგისტრაციო ფორმა

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4	☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლამ წარმოადგინა სსიპ ქალაქ თბილისის #45 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია დამტკიცებულია ბრძანებით N2-206. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს.
წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული უკუკავშირების საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით, რაც ნიშნავს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის მიერ სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირებზე დაფუძნებით სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას, რომელიც გათვალისწინებული იქნება ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში. შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესები აისახება კურიკულუმში. ამას ადასტურებს ასევე სკოლის პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტების სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარებისა და მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით კათედრის შიგნით მასწავლებლების თანამშრომლობით იგეგმება სასკოლო საგნობრივი კურიკულუმი. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების დოკუმენტი არსებული პრაქტიკის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. მასში გაწერილია მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარეების, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო თემაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მუშაობისას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეების მშობლებს, ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. აფასებს სასწავლო თემის დაგეგმვისა და განხორციელების შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის.
კურიკულუმში, მშობლებთან შეთანხმებით, განისაზღვრება მეორე უცხოური ენა, ხოლო არჩევითი საგნებისა და წრეების შერჩევაში მონაწილეობენ მოსწავლეები.
ამრიგად, კურიკულუმის შემუშავების პროცსში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს კურიკულუმის შემუშავებაში და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ბრძანება N2-206;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

➢ სახელმწიფო ენა

დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. დაწყებითი საფეხურის V და VI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის ჩარჩო ცხრილებში სწორადაა შევსებული როგორც სავალდებულო ველები,თემები/თემატური ბლოკები, ტექსტი/ტექსტები (კონტექსტმაგალითები), სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის, ასევე არასავალდებულო ველები: სამიზნე ცნება / ქვეცნებები, საკითხები და კომპლექსური დავალებების იდეა. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა გეგმავს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესი უწყვეტად ხორციელდებოდეს კომპლექსური დავალებების შესრულებით. რაც შეეხება III და IVკლასებს, კურიკულუმის ჩარჩოებში შევსებულია თემა, ტექსტები, რესურსები. მესამე და მეოთხე კლასის კურიკულუმის ჩარჩოები წარმოდგენილია დანართებით, სადაც გაწერილია კომპლექსური დავალებები შეფასების რუბრიკებით.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

➢ მათემატიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში ითვალისწინებენ გრძელვადიან მიზნებს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებიდან ჩანს და პედაგოგებთან გასაუბრებიდან ნათელია, რომ მესამე თაობის ესგ-ს დანერგვის ფარგლებში მასწავლებლები კარგად იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს და კარგად იციან კურიკულუმის თითოეული კომპონენტი რას წარმოადგენს, რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში.თითოეულ მასწავლებელს გაანალიზებული აქვს კურიკულუმის არსი, კურიკულუმის შექმნის პრინციპი. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსურ დავალებების შერჩევა მოახდინეს ერთმანეთთან თანამშრომლობითა და მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. ძირითადად შეარჩიეს მომავალი წლისთვის ის კომპლექსური დავალებები, რომლებზე მუშაობაც წინა წლებში შედეგიანი აღმოჩნდა. გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კოპლექსური დავალებების შერჩევა და კურიკულუმის ჩარჩოს გამდიდრება მომავალი წლისთვის. ითვალისწინებენ კლასის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებისა და რესურსების შეტანას. შერჩეული აქვთ დანერგვის პროცესში მიწოდებული კურიკულუმის ფორმა. აღნიშნეს კიდეც, რომ მათთვის ყველაზე მისაღები არის ასეთი სახით წარმოდგენა. ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება, ქვეცნებები, საკითხები, გათვალისწინებული კომპლექსური დავალება, რითაც აღწევენ შუალედურ მიზანს და შესაბამისი რესურსები. სასკოლო საზოგადოებასთან ერთად შეარჩიეს განმსაზღვრელი შეფასების პირველი, სამკომპონენტიანი მოდელი. აღნიშნეს, რომ მათთვის შეფასების ეს ფორმა უფრო მისაღებია.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

2023-2024 სასწავლი წლის სასკოლო კურიკულუმით სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, გათვალისწინებულია მოსწავლის კონკრეტული შესაძლებლობები და ინეტერესები. კურიკულუმებზე მუშაობის დროს გრძელვადიანი მიზნები და შედეგები გათვალისწინებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული საგნობრივი სამიზნე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცნებების სახით. შედეგები მიიღწევა კომპლექსურ დავალებებზე მუშაობით, რომელთა შესრულება მოსწავლეებს ერთის მხრივ უვითარებს შემოქმედებითობისა და ფანტაზიის უნარს, მეორე მხრივ კი ხელს უწყობს სააზროვნო უნარებსა და საკუთარ გამოცდილებაზე დამყარებით ცოდნის დამოუკიდებლად კონსტრუირების უნარების გამომუშავებას/ჩამოყალიბებას.

- უცხოური ენები

წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების/დოკუმენტაციის საშუალებით და ასევე ინტერვიუსას გაცემული პასუხებით, უცხოური ენის სწავლა-სწავლების პროცესზე პასუხისმგებელნი პირნი ჰოლისტურად გვიქმნინან წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. იყენებენ რა პროექტული შინაარსის დავალებებს მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ ცოდნის კონსტრუირება, თუმცა სამწუხაროდ ასეთი დავალებები, უმეტესად ყველა კლასისთვის სემესტრში მხოლოდ ერთი აქვთ, მოსწავლეთა უწყვეტი განვითარებისათვის კი აუცილებელია/სასურველია ყველა თემაში ახდენდეს მასწავლებელი მოსწავლეთა დაინტერესებას რეალურ ცხოვრებასთანა ახლოს მყოფი, მოსწავლეთა ინტერესებისა და განვითარების უახლოეს დონესთან დაკავშირებული კომპლექსური/პროექტული შინაარსის მქონე დავალებებით. მაგრამ, შეიძლება ითქვას ,რომ დავალების პირობები , რომლებსაც უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გვიჩვენებს (მაგალითად; მე-2 კლასის 2023-24 სასწავლო წლისთვის გაწერილი კურიკულუმის ჩარჩო; „წერილი მეგობარს დაბადების დღის მისალოცად ასევე მე-4 კლასის დავალება „დიალოგი პიკნიკისას“ ; და ა.შ.)ცხადყოფს, რომ კათედრას აქვს მზაობა წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით, მათივე ინტერესების და მაზობისა შესაბამისად.

- ესთეტიკური აღზრდა

მტკიცებულებებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. თუმცა, არ ხდება სავალდებულო სამივე თემატური ბლოკის დაფარვა მუსიკაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მე-4 კლასში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი თემატური ბლოკი. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

ინდიკატორთან მიმართებით დადგინდეს შესაბამისობა.

- ტექნოლოგიები

საგნობრივი კურიკულუმი შემუშვებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. გამოყენებულია და ეყრდნობა გზამკვლევ school.emis.ge -ზე მოთავსებულ თემატიკას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ კლასების მიხედვით გაწერილ კურიკულუმის ჩარჩოში არ არის ყველგან გაწერილი კომპლექსური დავალების პირობა, საგნის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესისი დაგეგმვისა და განვითარების გზას.

- სპორტი

მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში წარმოდგენილ ინფორმაციებზე დაყრდნობით სწორად იყო შევსებული, სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებების დასახელებები, ასევე ქვეცნებები. კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტმაგალითები შესაბამისი რესურსებით იყო წარმოდგენილი.

- პირველი კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია ოთხი თემა და ოთხი კომპლექსური დავალება;
- მეორე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია ექვსი თემა და ექვსი კომპლექსური დავალება;
- მესამე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია შვიდი თემა და შვიდი კომპლექსური დავალება;
- მეოთხე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია შვიდი თემა და შვიდი კომპლექსური დავალება;
- მეხუთე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია ექვსი თემა და ექვსი კომპლექსური დავალება;
- მეექვსე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია ექვსი თემა და ექვსი კომპლექსური დავალება.

პედაგოგების მიერ შექმნილი და შემუშავებული სასკოლო კურიკულუმები მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

- სახელმწიფო ენა

დაწყებით საფეხურზე კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ვინაიდან საგნობრივ ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირდება ქართულ ენაში განსაზღვრულ ყველა სამიზნე ცნებაზე, ხოლო ამ ცნებათა დაძლევისათვის განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების რეალიზების გზა, იძლევა შესაძლებლობას, დაძლეული იყოს გლობალურ – ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, რაც, ფაქტია, კომპლექსური ბუნების დავალებების მახასიათებელია. აღნიშნული კონცეპტების დანერგვის შესაძლებლობები იკითხება როგორც სამინისტროს მიერ შემუშავებული თემატური მატრიცების, ისე მასწავლებელთა მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებისა და მისი განხორციელების ეტაპების წარმოდგენით.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- მათემატიკა

საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კომპლექსური დავალება სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური მიზნის როლს ასრულებს და მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ. კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მასწავლებელს ისე აქვს დაგეგმილი აქტივობები, რომ მოსწავლეს განუვითაროს ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა (ფუნქციურ-კომპონენტური უნარი).
ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, რაც გამოიხატება თითოეული თემის შესაბამისი კომპლექსური დავალებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კოპლექსური დავალებების შერჩევა თემების შესაბამისად. წარმოდგენილ მასალაში ჩანს მასწავლებელი რას და როგორ გამოიყენებს წლის მანძილზე, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობს საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ასეთი ფორმით სწავლება ავითარებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს, რომელიც უვითარდება მოსწავლეს მუდმივად სასწავლო პროცესებში. აღნიშნეს, რომ ეს უნარები არის წინაპირობა სწავლის ხელშესაწყობად. კომპლექსური დავალებები უშუალოდ ავითარებს ამ 6 უნარს.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს. იგი ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესს. შემუშავებულია გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად (შედეგები და სამიზნე ცნებები), რომლებსაც აზუსტებს და უფრო მკაფიოს ხდის ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები.

- უცხოური ენები

დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების (ინგლისური, გერმანული, რუსული) სასწავლო პროგრამის ჰოლისტურად აღმწერი დოკუმენტები-კურიკულუმის ჩარჩოები წარმოგვიდგენენ რა კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეებს, რომლებიც ზუსტად ეხმიანებიან/ამუშავებენ ამავე საფხეურისა და საგნის გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებსა და შედეგებს)თავისუფლად შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ვინაიდან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წახალისებს, მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

- ესთეტიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI კლასები) შესაბამისობაშია სტანდართთან, თუმცა, რიგ შემთხვევებში შესაბამისობა დარღვეულია, კერძოდ: სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში დაწყებით საფეხურზე მუშავდება სამი თემატური ბლოკი,: მე და გარესამყარო, ადამიანები და ხელოვნება, ხელოვნება ჩვენ გარშემო. მე-4 კლასში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი თემატური ბლოკი „საზოგადოება და ხელოვნება“, რომელიც არ არის განსაზღვრული დაწყებით საფეხურზე, მისი დამუშავაბა ხდება საბაზო საფეხურზე. მუსიკის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმში არც ერთ კლასში არ ხდება თემატური ბლოკის „ეთნოგრაფია და მუსიკა „ დამუშავება.

სავარაუდოდ მასწავლებლებმა კურიკულუმის ჩარჩო შეავსეს კომპლექსური დავალების განხორციელების პრინციპით და მათ არ გაითვალისწინეს სხვა თემატური ბლოკები და თემები რომლის დამუშავებაც სავალდებულოა.

დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში კომპლექსური დავალება განიხილიება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს კომპლექსური დავალების როლს ფუნქციური უნარების გააქტიურებაში და მიიჩნევს, რომ თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში ამ უნარების გამომუშავებას. კომპლექსური დავალება ორიენტირებულია არა მხოლოდ ფუნქციური უნარების აქტივირებაზე, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ აღწერა სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფრორმალური აქტივობების განხორციელების შესახებ (სასკოლო პროექტები, ღონისძიებები და სხვ.). მიუხედავად ზემოთ ღნიშნული ხარვეზებისა შესაძლებელია დავასკვნათ რომ დაწყებით საფეხურზე, ორივე საგანში(მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და დასტურდება ინდიკატორტან შესაბამისობა

- ტექნოლოგიები

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შემუშავებული კურიკულუმების ანალიზისას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საგნობრივ კურიკულუმში გაწერილია ძირითადი ნაწილები, მიუხედავად იმისა რომ ზოგიერთი კლასის საგნის კურიკულუმში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება ინტერვიუს დროს სასკოლო საზოგადოებამ (მასწავლებლებმა) დაგვანახეს მზაობა და შეგვიძლია ვთქვათ რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას აქვს მზაობა და საგნის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

- სპორტი

კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემრთება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ ფუნქციურ უნარებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ეს სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლა აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებებისა და შედეგების გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი. ზედმიწევნით კარგად გაწერილი კურიკულუმი მოსწავლეებს აძლევს საშულებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი შეძენილი ცოდნა და უნარები. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომელთა ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

- სახელმწიფო ენა

კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები, ასევე საგანში თემატური მატრიცებისა და კომპლექსური დავალების ბარათები, იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას, რაც დაწყებით საფეხურზე სკოლას აქვს მიზნად დასახული. რაც შეეხება სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს, რამდენიმე კომპლექსური დავალებისა (**წელიწადის დროების შესაბამისი სამოსის შერჩევა/დაჯგუფება და შედარება)** თუ თემატური მატრიცის ადაპტირებული ვარიანტები აქვს წარმოდგენილი სკოლას, რაშიც გათვალისწინებულია მოსწავლის იდნივიდუალური საჭიროებანი. ასევე მტკიცებულებად სსსმ მოსწავლისათვის განსაზღვრული რესურსები და მის მიერვე შესრულებული პროდუქტები მოიპოვება. სკოლაში ვიზიტისას პედაგოგებთან საუბრიდან ნათელი გახდა, რომ მათი გამოცდილება ფრიად რეალური და გამოცდილებაზეა დაფუძნებული დიფერენცირებული თუ ინკლუზიური მიდგომების განხორციელების თვალსაზრისით. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- მათემატიკა

მასწავლებელთა ინტერვიუს დროს და წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ნათლად გამოჩნდა, რომ პედაგოგები კარგად იცნობენ დიფერენცირებულ მიდგომებს, ხშირად გეგმავენ და ატარებენ დიფერენცირებულ გაკვეთილებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას, ინტერესს ან სწავლის პროფილს.
ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

პედაგოგებთან შეხვედრიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. ეს ასევე იკვეთება წარმოდგენილ დოკუმენტებში. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებს მოსწავალის ინტერესებს, მის გამოციდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. სკოლას აქვს შესანიშნავი სასწავლო გარემო-ღია სივრცე, STEM-კაბინეტი,ბიბლიოთეკა. აღნიშნეს რომ ატარებენ გაკვეთილებს არაფორმალურ გარემოში, უყვართ სტემაქტივობები და შესაბამისად სკოლაში არის მოსწავლეების ხელით დამზადებული რესურსები, ხშირად იყენებენ არდუონის აპარატს, აქვთ ლაბორატორიები, თვალსაჩინოებები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ასეთი გარემო და რესურსები მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ასევე ხშირად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს, რაც მოსწავლეებში ინტერესს და ჩართულობას იწვევს. კომპლექსური დავალებების პროდუქტის წარმოდგენისას მოსწავლეებს აქვთ საშუალება მათთვის მოსახერხებელი ფორმით წარმოადგინონ. სკოლაში სწავლობენ სსსმ მოსწავლეები და შემუშავებულია მათთვის ისგ-ები.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილი კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწვალის ინტერესებს, მის გამოციდლებასა და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; საგნის შედეგები და სამიზნე ცნებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულია საფეხურის და არა კონკრეტული წლის ან თემის ფარგლებში. შედეგებზე განგრძობითად, მთელი საფეხურის მანძილზე, მიმდინარეობს მუშაობა; ის არ წარმოადგენს მოკლევადიან ნიშნულს, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა მომდევნო შედეგზე გადასასვლელად. ამავდროულად მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროგრამა, სასწავლო რესურსებისა და სასწავლო მასალის შეთავაზება, მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.

- უცხოური ენები

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმა, რითაც ცხადია, რომ სკოლა გეგმავს ინკლუზიური სწავლების მონიტორინგს და შესაბამისად იგივე დოკუმენტი გვაცნობებს, რომ სკოლას ჰყავს სსსმ მომსწავლე/ები , მაგრამ დოკუმენტებში არ იკითხება როგორ აპირებს იმუშაოს მასწავლებელმა თითოეულ მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით./არ არის წარმოდგენილი როგორ ახდენს მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე რესურსების ან/და კომპლექსური დავალების პირობის დიფერენცირებას.თუმცა ინტერვიუირებისას გაცემულმა პასუხებმა, ცხადყო მათი მუშაობის მეთოდები ინკლუზიური მოდგომების გათვალისწინებით.ზეპირ სიტყვიერად განიხილეს ერთი დავალება, რისი ადაპტირებაც მათ განახორციელეს მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე.

- ესთეტიკური აღზრდა

სკოლას სრულყოფილად არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისი ინდიკატორის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მაგ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები და სხვა), თუმცა, წარმოდგენილი საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს ის ფაქტი, რომ კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობეს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას, ამ მიართულებით სკოლის სასწავლო გეგმაში დამტკიცებულია საგნობრივი პროგრამების მეთოდიკური ორიენტრიები. მკაფიოდაა გაწერილი მოსწავლეზე ორიენტირებული დიფერენცირებული/ინკლუზური მიდგომების შინაარსი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რომ მასწავლებლები სთავაზობენ მოსწავლეებს სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვან მეთოდებს (მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას-ფილმები, ოპერა, მუიზიკლი და სხვა). დასკვნა ეყრდნობა მათ მიერ გაზიარებულ გამოცდილებასა და მოყოლილ სასწავლო პროცესს და სასწავლო გეგმას. დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და ინდიკატორთან მიმართებით დგინდება შესაბამისობა .

- ტექნოლოგიები

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი კონკრეტული მაგალითები ინკლუზიური განათლებისა და ინდივიდუალური გეგმის მიმართულებით, თუმცა, სკოლას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმი რომელშიც ჩაშენებულია დიფერენცირებული დავალებები. მაგალითად მე-2 კლასის კურიკულუმში მოცემულია დიფერენცირებული დავალებები. კომპლექსური დავალების შესრულებით მოსწავლე ცოდნის სამივე კატეგორიის აკუმულირებას ახდენს, ჩანს, რომ სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს დიფერენცირებული მიდგომა.- აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

- სპორტი

ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება, მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით, რადგან სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული დავალებებით მუშაობის გამოცდილება, გარდა ამისა, განსაზღვრული აქვთ შესაბამისი აქტივობები და რესურსები. ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგ: სასკოლო ფესტივალი, პროექტი, პრეზენტაცია. პედაგოგების თქმით სკოლაში ირიცხება ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავნეები რომლებისთვისაც იქმნება ინდივიდუალური გეგმები.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

- სახელმწიფო ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე (1-6) ქართულში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. **განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით იგი** ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო **განმავითარებელი შეფასებით** ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. ასევე სკოლა მოსწვალის შეფასების მექანიზმად იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. შესაბამისად წარმოდგენილია „სოლო“ ტაქსონომიით შეფასების ამსახველი მასალა. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები თუ საგნის მიერ საფეხურზე შემოთავაზებული თემატური მატრიცები, ასევე კომპლექსური დავალებების ბარათებში გამოტანილი კომპლექსური დავალებების პირობები, ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც მომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელ შეფასებას. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას ასევე აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, როგორებიცაა: სტანდარტის შედეგებზე დამიზნეული განმსაზღვრელი შეფასება. მაგ, თხზულების, ზღაპრის შექმნის, ანდაზის საფუძველზე შექმნილი იგავის, **კონკრეტული შემთხვევის განხილვის საფუძველზე პრობლემის გადაჭრის და სხვა. დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- მათემატიკა

სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს, წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორც შემაჯამებელი, ასევე საშინაო დავალებისა და საკლასო სამუშაოს შეფასებისთვის, ასევე შეფასების სქემა კონკრეტულ დავალებაზე დაყრდნობით სადაც ნამდვილად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ჩანს, რომ განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ასევე შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან. (ინდიკატორი დაკმაყოფილდა)

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

როგორც სტანდარტით არის განსაზღვრული, წარმოდგენილი სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებიც აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას არჩეული აქვს სამკომპონენტიანი გამსაზღვრელი შეფასება. გამზადებული და წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა და გაგვიზიარეს აზრი, რომ მომავალი წლისთვის გეგმავენ რუბრიკების შექმნასა და დახვეწას . როგორც აღნიშნეს ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს. ხშირად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ზეპირ ფორმას იყენებდნენ დღემდე, თუმცა საჭიერო დროს გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც. ძირითადად მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს უკუკავშირს, თუმცა გამოიყენება თვითშეფასებაც . დაწყებითის 1-4 კლასებისათვის წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასებისათვის მოლოდინების ცხრილი. აღნიშნეს, რომ ასეთი ინსტრუმენტი მათ პრაქტიკაში ხშირად გამოუყენებიათ და გამოიყენებენ მომავალშიც.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლაში სწავლება და შეფასება ერთ მთლიან, გააზრებულ პროცესს წარმოადგენს. საგნობრივ კურიკულუმში ასახული შეფასების კრიტერიუმები მკაფიოა და ცალსახად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს.

- უცხოური ენები

დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე უცხოური ენისთვის, რომელებიც გვაჩვენებს , რომ ამ საგნის პედაგოგებს კარგად აქვთ გაზრებული თუ როგორ უნდა მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კომპლექსურ დავალებაში დამუშავებულ კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. ასევე, სამივე უცხოური ენის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმსაზღვრელი შეფასების რუსბირკები მჭიდრო კორელაციას გვიჩვენებს მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის.

- ესთეტიკური აღზრდა

მტკიცებულებების სახით სკოლას აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინტრუმენტები/რუბრიკები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში. მათ საფუძველზე შესაძლებელია მსჯელობა სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხდება სამიზნე ცნებებთან მიმართებით და მომავალ წელს გეგმავენ თემებთან მიმართებით კონკრეტული რუბრკების შექმნას. წარმოდგენილი დიკუმენტების და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს და ინდიკატორის მიმართებით დგინდება შეესაბამება.**

- ტექნოლოგიები

სკოლას წარმოდგენილი აქვს კონკრეტული დავალების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სქემები, რაც მიუთითებს სკოლის მზაობას განვითარდეს აღნიშნული მიმართულებით და შექმნას დავალებას მორგებული, კონკრეტული სქემები. -აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

- სპორტი

კურიკულუმებში გათვალისწინებულ კომპლექსურ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცეში განმავითარებელი შეფასების ნაწილი აქვს კარგად გააზრებული. მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

- სახელმწიფო ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, რაკი სკოლა წარმოადგენს 2019 წლიდან მესამე თაობის ესგ–ს დანერგვის პრაქტიკის მქონეს, რაც გულისხმობს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილებას, იგი თვლის, რომ გასული წლების კურიკულუმების დანერგვისას არსებული გამოწვევებისა თუ მიგნებების გათვალისწინებით, შექმნას 2023–2024 სასწავლო წლის რევიზირებული კურიკულუმები. ეს ფაქტი ნათლად იკითხება დაწყებითი საფეხურის ქართულის კურიკულუმების ჩარჩოებში იმდენად, რამდენადაც სკოლის მიერ დაგეგმილია კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება. სკოლასთან ვიზიტისას რევიზირების პრაქტიკულ გამოცდილებას დამაჯერებლად გაესვა ხაზი. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- მათემატიკა

მასწავლებლები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ნამუშევრების, სადიაგნოსტიკო ტესტირების, დავალებების შეფასებას და ანალიზს, მოსწავლეების, კოლეგების, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს, წინარე გამოცდილებას და ყოველივეს გაითვალისწინებენ კურიკულუმის შევსების და დამუშავების პროცესშიც. ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას გაითვალისწინეს და მომავაშიც გაითვალისწინებენ სასწავლო პერიოდში გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს. აღნიშნეს, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს ითვალისწინებენ და მომავალ წელს შესაბამისად გეგმავენ იგივე თუ შენაცვლებული დავალებების განხორციელებას. არის კომპლექსურები, რომლებშიც ჩაამატეს მათი მოსწავლეების ინტერესების შესაბამისი აქტივობები, მისცეს მოსწავლეებს საშუალება სხვადასხვა, მათთვის მოსახერხებელი ფორმით წარმოედგინათ პრეზენტაცია. ეს მოსწავლეების ინტერესს ზრდის. საკუთარ გამოცდილებებს განიხილავენ კათედრაზე, ჯგუფებში. არის შემთხვევები სხვა კათედრის წევრებთან თანაშრომლობისა. სტემ-პროექტებში აქტიური ჩართულობის ამსახველია სხვადასხვა პროდუქტი, მოსწავლეთა ხელით დამზადებული, რომელიც მათი ინტერესის სფეროა. კაბინეტში არის ჩანაწერები, რომელიც ადასტურებს მოსწავლეტა ინტერესს საბუნებისმეტყველო მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებელმა სიამოვნებით აღნიშნა, რომ სიამოვნებს მოსწავლეების ასეთი დამოკიდებულება და ცდილობს, რაც შეიძლება შეუწყოს ხელი მათი უნარების წარმოჩენასა და განვითარებას. ყოველივე ამის გათვალისწინებით ქმნის მომავალ კურიკულუმს.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლას ამ ეტაპზეც, დაგროვილი გამოცდილების ხარჯზე, მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზისა და პედაგოგიური რეფლექსიებისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე განხორციელებული აქვს კურიკულუმის ჩარჩოში არსებული კომპლექსურების გამარტივება და ადაპტაცია არსებული რეალობის გათვალისწინებით. ამასთანავე 2023-2024 წლისათვის სკოლას დაგეგმილი აქვს დახვეწოს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებისა და გამოწვევების გამოვლენის მეთოდიკა, რაც გამოიხატება მასწავლებლის პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლასა და გაზიარების უფრო ინტენსიურად გამოყენებაში

- უცხოური ენები

სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი სახელად „მონიტორინგის გეგმა“, რომელშიც პასუხისმგებელი პირები გვეუბნებიან, რომ სკოლაში აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების(როგორიც არის ტესტური დავალებების საშუალებით პერიოდული მონიტორინგი) და საგნის სწავლების დინამიკის შესამოწმებელი მუშაობის (I სემესტრი-დეკემბრის ბოლოს და II სემესტრი -ივნისში) გამოცდილება. სწორედ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლის საზოგადოებამ მომდევნო სასწავლო წლის კუმრიკულუმის დაგეგმვა მიღებული შედეგების გაანალიზების ბაზაზე მოახდინეს.

- ესთეტიკური აღზრდა

მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის საჭირეობების კვლევის ანალიზში სკოლა გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე წარმოაგდენს ინტერვენციების გზებს, კერძოდ, მასწავლებლებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები სასწავლო პროცესში. უნდა მოხდეს, ახალი სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდელის ფარგლებში, კომპლექსური დავალებებით მუშაობის გაძლიერება, შედეგების განხილვა დინამიკაში, გამოკვეთილი პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა. სკოლის მიერ შემუშავებული ჩარჩო კურიკულუმები ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება), ცხადყოფს, რომ სკოლამ გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება. სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება მოიაზრება შუალედურ სასწავლო მიზანად და მიემართება საგნების სტანდარტებს. კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვანთ , რომ კათედრას **დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი და ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობაშია.**

- ტექნოლოგიები

ამ მიმართულებით კონკრეტული დოკუმენტი არ აქვს სკოლას წარმოდგენილია, თუმცა სკოლას აქვს მზაობა და მცდელობა გაანალიზოს მოსწავლეთა მიღწევები. მიღებული შედეგებითა და გამოცდილების გათვალისწინებით დაგეგმოს შემდეგი ნაბიჯები. რაც დასტურდება ინტერვიუს დროს. აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

- სპორტი

ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები რაც გვაფიქრებინებს რომ პედაგოგი ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, ამასვე ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლის შეფასების ფორმა დაწყებით საფეხურზე;
- საგნის მასწავლებლის ანგარიში;
- კათედრის თავმჯდომარის ანგარიში;
- დირექტორის მოადგილის ანგარიში;
- სსგ მონიტორინგის გეგმა;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები მოდიფიცირებული;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება სსსმ მოსწავლისთვის:
- „სოლო“ ტაქსონომიის გამოყენების მაგალითი;
- ისგ-ბი;
- **სასკოლო სასწავლო გეგმა**
- **კომპლექსური დავალების მატრიცა;**
- **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;**
- **სასწავლო პროექტები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

- სახელმწიფო ენა

მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; რაც მკაფიოა საგნობრივ კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტები, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტები და ლიტერატურული კლუბის „ლიტშეგრძნების“ მტკიცებულებაზე დაფუძნებული ეფექტურად ფუნქციონირების განცდა, მნიშვნელოვანი დასტურია ამ ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის. წარმოდგენილი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პორთფოლიო, რომელშიც სამოქმედო გეგმიდან დაწყებული, მასწავლებლის მიერ შედგენილი კომპლექსურებისა თუ რესურსების ჩათვლით; ასევე ინდივიდუალური გეგმების წარმოდგენითა და მასწავლებელთა თანამშრომლობის გამომხატველი მტკიცებულებებით; შეფასების ინსტრუმენტებისა თუ სემესტრულ/შემაჯამებელი დავალებების ანგარიშით, მკაფიოა მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობის ხარისხი. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- მათემატიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ წარმოდგენილი, კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები ნამდვილად გვიჩვენებს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი შემოქმედებით პროცესში და დავალებებიც ხელს უწყობს შესაბამისი უნარების განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბუნებისმეტყველო კათედრის 1-6 კლასის მასწავლებლების მიერ შექნილი კურიკულუმის განხორციელება მოხდება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების მიერ. მასწავლებლებმა აღნიშნეს: გრძელვადიანი მიზნის მიღწევა ხდება შუალედური მიზნებით კომპლექსური ხასიათის დავალებებით, შესაბამისად წინასწარ შერჩეულ დავალების პირობას ვაცნობთ მოსწავლეებს მათთვის ინტერესის გამომწვევ კონტექსტ მაგალითზე დაფუძნებით, ეცნობიან ახალ ინფორმაციას, თითოეული მოსწავლე ამუშავებს მას, თანმიმდევრულად ახორციელებს ყველა აქტივობას და საბოლოოდ წარმოადგენს პროდუქტს, რომელიც ამ პერიოდში შექმნა მოსწავლემ. პროცესის ცენტრში მოსწავლეა. ჩვენ, მასწავლებლები მათთან ერთად ვადევნებთ თვალს, ვუხსნით გზადაგზა, ვაძლევთ საჭირო რეკომენდაციებს. ასეთი ფორმის და შინაარსის დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. არა მარტო მეცნიერული კუთხით, არამედ ზოგადი უნარების განვითარება ხდება მუშაობის ყოველ ეტაპზე. აღსანიშნავია სტემ-პროექტები და მოსწავლეების აქტიური ჩართულობის ამსახველი სხვადასხვა პროდუქტი და მათი უკუკავშირები ჩანაწერების სახით. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტი ბუნებისმეტყველების მიმართულებით, იყენებენ ბიბლიოთეკას, გარე სივრცეს, აქვთ გამოფენა ნამუშევრებისა და გეგმავენ მომავალშიც განახორციელონ მსგავსი აქტივობები.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე აშკარაა, რომ მოსწავლეთათვის შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლებს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები. ახალი ინფორმაცია გაცნობისა და დამუშავების დროს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით განიხილოს. დააგროვონ, ან გაირღმავონ საკუთარი ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის გზით. გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით, როგორც წერილობით, ასევე დისკუსიების სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- უცხოური ენები

იმ თემებში სადაც წარმოდგენილი კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტულ დავალებები შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ მოსწავლე ამგვარ სასწავლო გარემოში გარანტირებულად შეძლებს იყოს შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართული და მოახდინოს კეთების პროცესში ცოდნის კონსტრუირება. თუმცა ასევე დაბეჯითებით ვერ ვიტყვი რა ხდება იმ თემებში სადაც მხოლოდ საკითხთა ჩამონათვალს გვაცნობს უცხოური ენების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები.

- ესთეტიკური აღზრდა

კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, აგრეთვე ორივე საგანში განხორციელებული სასწავლო პროექტები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორთან შესაბამისობა დადასტურდება**

- ტექნოლოგიები

სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას - წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა კომპლექსურ დავალებას. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე და კომპლექსური დავალებების პირობებიდან ჩანს, რომ სკოლა **მეტწილად** იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. რაც ასევე იკვეთება ინტერვიუდან, კერძოდ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეებს მომავალში შესთავაზოს პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები, სასკოლო პროექტები. ყოველივე აღნიშნულიდან კეთდება დასკვნა რომ აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სპორტი

საგნობრივ ჩარჩოებში განხილული თემები და შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები (მაგ: პრეზენტაცია, პროექტი, სასკოლო ფესტივალი), აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

- სახელმწიფო ენა

დაწყებითის კათედრაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა; ამ ინდიკატორის რეალიზება იკითხება კათედრის მიერ პროექტების ინიცირების წახალისებისას. მააგლითად, როგორებიცაა: საკლასო პროექტი „საქართველოს კუთხეები“, ,,ლიტშეგრძნება'', ,,მკითხველთა კლუბი'', „ეკო-კლუბი - მწვანე სიცოცხლე“, „წიგნის ქურდი ქურდი არ არის“ და მასწავლებლის სახლის მიერ რეკომენდირებული STEM პროექტების განხორციელება. ხოლო სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოიტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით.
დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- მათემატიკა

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალებაში გამოჩნდა, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების და პროდუქტის შექმნის პროცესი ისე აქვთ ორგანიზებული, რომ გამოწვევები დაკავშირებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე, სადაც ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.(ინდიკატორი დაკმაყოფილდა)

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

მომავალი წლის კურიკულუმების დაგეგმვაში ჩანს, რომ ყველა კომპონენტი გათვლილი და დაგეგმილია მოსწავლის წინარე ცოდნაზე, გამოცდილებაზე და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კონტექსტმაგალითები მოსწავლისათვის საინტერესო და ნაცნობი ფაქტს წარმოადგენს, რითაც მასწავლებელი ეცდება მეცნიერული კუთხით დაანახოს და გააზრებინოს წარმოდგენილი მოვლენა თუ პროცესი, მეცნიერული თვალით ჩაახედოს თითქოსდა მოსწავლისათვის კარგად ნაცნობ მაგალითში. პედაგოგებმა არნიშნეს, რომ კვლავ ცდილობენ გაამდიდრონ კურიკულუმის თემები შესაბამისი კომპლექსური დავალებებით. იგივე პრინციპით, ანუ ნაცნობ საკითხზე დაფუძნებით ხდება სხვა კონტექსტმაგალიტების/მაგალიტთები შედარებისთვის განხილვა და სხვადასხვა პროექტებზე მუშაობაც.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილ კურიკულუმებსა და მატრიცებზე დაყრდნობით ცხადია, რომ სასწავლო პროცესი მიზნად ისახავს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მის ეტაპობრივად, ნაბიჯ - ნაბიჯ მიყვანას ახალ ცოდნამდე. კომპლექსური დავალების პირობები იმგვარადაა ფორმულირებული, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით.

- უცხოური ენები

წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში, განსაკუთრებით იმ თემებში სადაც კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებებია ასახული, შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ იგი ცალსახად ეფუძვნება მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო ავთენტურ კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. ასევე, ერთ-ერთ დოკუმენტით სკოლა გვატყობინებს, რომ აქვთ სადიაგნოსტიკო წერების გამოცდილება, ალაბთ რის შედეგებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ანალიზის მიხედვითაც უკვე ახდენენ მოსწავლეთა არსებული ცოდნის ინდენტიფიცირებას და შესაბამისი ცვლილებების განხორიცელებას არსებულ კურიკულუმში.

- ესთეტიკური აღზრდა

ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები, შინაარსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. მიუხედავად ამისა კურიკულუმებში არ იკვეთება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო პორცესი. არ ჩანს თემის საკვანძო შეკითხვები, ჩარჩო კურიკულუმებს არ ერთვის თემატური დაგეგმვის დოკუმენტები (მატრიცა), მასში ასახული აქტივობები. კათედრის ეგიდით განხორციელებული პროექტები, რომლებიც გულისხმობს ათვისებულ ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენებას, შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა სწავლების პროცესში ნათლად იკვეთება **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და ინდიკატორთან შესაბამისობა დასტურდება.**

- ტექნოლოგიები

სკოლის მიერ მიერ შემუშავებული საგნის კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა **სრულად** იძლევა საშუალებას მოსწავლემ ახალი ცოდნის კონსტრუირება მოახდინოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგონრივი კურიკულუმი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია ინდიკატორთან და აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

- სპორტი

საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემების/საკითხების ჩამონათვალი და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია მაძლევს საშუალებას ვთქვა, რომ ახალი ცოდნის დამუშავება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ ჩარჩოში მოცემული თემატური საკითხები ლოგიკურადაა დალაგებული. ყოველი მომდევნო საკითხი/თემა ითვალისწინებს/მოითხოვს წინა თემის/საკითხის დამუშავებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

- სახელმწიფო ენა

ქართულ ენასა და ლიტერატურაში წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები, რაც კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული კოგნიტური ოპერაციები, არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში, რაც ამ უნარებზე გამჭოლად მუშაობისას საგნის ათვისების განუყოფელი ნაწილია. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ასევე კომპლექსური ბუნების დავალებების დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების წარმოდგენა – გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახით. ასევე წარმოდგენილი მასალებში აისახება სწავლის სწავლა მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებსა და აქტივობებს; შეფასების მექნიზმებში, იქნება ეს თანატოლთა შეფასება, თუ თვითშეფასების რუბრიკები. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას მკაფიოდ გამოიკვეთა. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- მათემატიკა

მასწავლებლებმა წარმოადგინეს ისეთი დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეების მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, დავალებაში დასმული კითხვები ეხმარება მოსწავლეებს გაანალიზონ დავალების შესრულებისას რა გამოუვიდათ კარგად, რა გაუჭირდათ, რა უნდა შეცვალონ თავიდან, რომ იწყებდნენ მუშაობას, ეძლევათ საშუალება მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროცესს (სწავლის სწავლა).
ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ამ უნარების გამომუშავებაზე მუდმივად ხდება შრომა. ყოველი დავალების ბოლოს დასმული შეკითხვები იძლება საშუალებას მასწავლებელმა გააკეთოს ანალიზი რამდენად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოახერხა მაკროცნებების ამუშავება მოსწავლეში. წარმოდგენილი პედაგოგები გაკვეთილზე, სტემპროექტებზე და სასკოლო პროექტებზეც ცდილობენ ამ მიმართულებით იმუშაონ მომავალში

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილი კურიკულუმებისა მატრიცების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი სწავლის სწავლაზეა აქცენტირებული. ყურადღება გამახვილებულია მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიაზე. ეს პროცესი კარგად იკვეთება მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებაშიც.

- უცხოური ენები

გაანალიზებული აქვს რა სკოლას კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რასაც მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები გვეუბნება და ასევე მოვახდინეთ რა გასაუბრება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით,შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა სრულად იცავს/ამართლებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ძირითად კონცეფციას და მუშაობის პროცესი ისე მიჰყავთ, რომ მოსწავლეებს აფიქრებენ სწავლის სწავლაზე და შესაბამისად ეხმარებიან მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში.

- ესთეტიკური აღზრდა

ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, თუ როგორ უნდა წახალიდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნვეყოს მოსწავლეებში სწავლის, მრვალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება. **სკოლა ინდიკატორთან მიმართებით არის შესაბამისაობაში.**

- ტექნოლოგიები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოდგენილ კურიკულუმში მოცემულია თემის/საკითხის შესაბამისი კომლექსური დავალება. კომპლექსური დავალება თავისი ბუნებით, მოითხოვს მეტაკოგნიციას, რადგან დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლე აკეთებს დასკვნას, გამოკვეთს საკუთარ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა დეტალურად თუ რა გზებს გადის მოსწავლე კომპლექსური დავალების შესასრულებლად, გამომდინარე აქედან, კეთდება დასკვა, რომ აღნიშნული ინდიკატორი **მეტწილად** შესაბამისობაშია სტანდარტთან და აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

- სპორტი

საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემების/საკითხების ჩამონათვალი და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლეების მიერ სწავლის სტრატეგიების დაუფლებაზე.ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ყოველი აქტივობის შესრულებისას ითხოვენ მოსწავლისგან რეფლექსიას რაც უზრუნველყოფს სტრატეგიების დაუფლებას.

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)**

- სახელმწიფო ენა

სკოლა ეროვნულ სასაწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. საგნობრივი კურიკულუმებში და მასწავლებლის პორთფოლიოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებში და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური აქტივობებში ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა ამოიცნობა. სადაც, ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. მაგალითად, იუთუბ ბმულებიდან, (დეკლარატიული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოქმედებაში გადატანით, მის ინსტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს.

ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად სკოლას წარმოდგენილი აქვს პროექტული სწავლებები, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები და შესაბამისი აქტივობების განხორციელება. მაგალითად, როგორებიცაა: „აქტიური მკითხველი“, „წერა–კითხვის მეთოდები“ და სხვა, მათში მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსები: „ფოტომოთხრობა“, „არსებითი სახელი“, „მოსწავლეთა მიერ შექმნილი იგავ–არაკების კრებული“ და სხვა, რომლებიც ელელქტრონულ ფორმატშია და წარმოადგენს მოსწავლის მიერ მოძიებულ, გადამუშავებულ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გზის დემონსტრირებას. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- მათემატიკა

ცოდნის სამივე კატეგორიის გასავითარებლად სკოლა მიზანმიმართულად მუშაობს, კომპლექსური და კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები შემუშავებულია იმ პრინციპით, რომ მოსწავლემ პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: რა ვიცი? როგორ განვახორციელო? როდის რა კონტექსტში უნდა გამოვიყენო?(ინდიკატორი დაკმაყოფილდა)

- საბუნბისმეტყველო მეცნიერებები

საბუნებისმეტყველო კათედრაზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა თუ არაფორმალურ აქტივობებში. ეს მეტყველებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობას. სასწავლო პროცესში მოსწავლე ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმიდან. აწარმოებს დაკვირვებას და ატარებს ცდებს სკოლაში არსებული რესურსებით, რომლებიც განთავსებულია ლაბორატორიაში და სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. ფიზიკის ლაბორატორიაში დამონტაჟებული არის სველი წერტილი და კედელზე გაკრულია უსაფრთხოების წესებიც. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებლობა არის პლაკატისა და საჭირო ხელსაწყოს გატანა საკლასო ოთახშიც. ქიმია-ბიოლოგიის მასალები და ხელსაწყოები დაცულადაა სპეციალურ ოთახში, რეაქტივები განთავსებულია სპეციალურ კარადებში . აქაც კედელზე უსაფრთხოების წესები გაკრულია. ძირითადად ხდება გაკვეთილზე საკლასო ოთახში გატანა საჭირო რესურსისა. მასწავლებელმა აღნიშნა რომ სხვა სკოლის მასწავლებლებთანაც თანამშრომლობს და იყენებს საჭირო რესურსებს. ეს ყველაფერი უწობთ ხელს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილი პროექტები მკაფიო დადასტურებაა იმისა, რომ სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეს საგნობრივი სასკითხების სირღმისეულად გააზრებაში, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. პროექტების განხორციელების დროს მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა.

- უცხოური ენები

წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთანა მჭიდრო კორელაციაში მყოფი მოსწავლისთვის მარტივად გასაგებად ფორმულირებული შუალედური მიზნები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება მაგ. „წარმოიდგინეთ, რომ პიკნიკზე ხარ მეგობართან ერთად და გაითამაშეთ დიალოგი ...“ „ნახატის პრეზენტაცია თემაზე - შინაური და გარეული ცხოველები“ ამგავრი დავალებები უდაოდ განაპირობებს მოსწავლეს, რომ მოახდინონ როგორც დეკლარატიული, ასე პროცედურული და პირობისეული ცოდნის რეალიზება.

- ესთეტიკური აღზრდა

დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვანთ, რომ **დაწყებითი საფეხურის მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და ინდიკატორთან შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ტექნოლოგიები

სკოლის მის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსური დავალებება კი ცოდნის სამ კატეგორაზეა ორიეტირებული. შესაბამისად აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ აღნიშნული ინდიკატორი **სრულად** დაკმაყოფილებულია. მასწავლებლებთან ინტერვიუსას გაირკვა, რომ მოსწავლეები ხშირად ასრულბდნენ ისეთი ტიპის დავალებებს, და მომავალშიც აქვთ მზაობა ასეთი ტიპის დავალებების განხროციელების, რომლებიც ცოდნის ამ სამი კატეგორიის გამოყენებას გულისხმობს. ყოველივე აქედან გამომდინარე აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

- სპორტი

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია თემები/საკითხები, მრავალფეროვანი რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის დეკლარაციული ცოდნის მიცემას, კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებას. აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა ცხადყო ცოდნის სამივე კატეგორიაზე სასწავლო პროცესისი ორიენტირება.

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

- სახელმწიფო ენა

სკოლის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ქართულის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება სკოლის მიერ ამოიკითხება არაფორმალურ, წრეობრივ, კლუბურ, პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებში. ასევე ქართულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლის პორთფოლიოში წარმოდგენილ სადამრიგებლო საათისათვის შემუშავებულ სადამრიგებლო პროგრამაში, სხვადასხვა თემატიკის გაკვეთილებში, სადამრიგებლო საათების ჩატარების ოქმებსა თუ მშობლებთან თანამშრომლობის ამსახველ ანგარიშებში. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- მათემატიკა

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და სკოლის მიერ წარმოდგენილ დავალებებში გამოჩნდა, რომ კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლის საშუალებას. ამ მიმართულებით სკოლას აქვს კარგი გამოცდილება. ინტენსიურად ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები და მომავალშიც იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, სკოლა მონაწილეობდა მასწავლებლის სახლის მიერ შემოთავაზებულ STEM პროექტებში, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშრებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

შეიძლება ითქვას, რომ საბუნებისმეტყველო კათედრის დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. გამოკვეთილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები. გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ წარდგენილი დავალება მოსწავლისთვის უცხო არ არის. ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე და არა ახალი მასალის დასწავლაზე. კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა საშუალებას, რომ სხვადასხვა მოსწავლეს შეიძლება სხვა მოსაზრება და არგუმენტიც კი ჰქონდეთ. ეს კი წინაპირობაა ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნისა.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალებებით სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების სირღმისეულ გააზრებას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ვინაიდან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. ის ყოველივე კი თავითავად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას.

- უცხოური ენები

იმ თემებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებები, მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე (ინტერვიუირებისასაც დაადასტურეს ეს პედაგოგებმა) და შესაბამისად ეს „უკუსვლით დაგეგმვის“ მიდგომაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. რაც შეეხება ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებას, ვისურვებდი უფორ მეტი სიცხადისთვის წარმოდგენილი ჰქონოდათ ინტეგრირებული კომპლექსური დავალების ნიმუში, თუმცა, ინტერვიუმ მაჩვენა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირებისა (ინგლისური, ისტი და სამოქალაქო განათლების საგნებს შორის, რუსულისა და ქიმიის საგნის ინტეგრირება „ღვინის დამზადების ტექნოლოგია რუსულ ენაზე“, ისტორიის ინტეგრირება ინგლისურთან“, „ თბილისის მრავალფეროვანი ისტორია ინგლისურ ენაზე“, ხელოვნებისა და ინგლისური ენის ინტეგრირება „დიდებული მხატვრები“ და ა.შ)

- ესთეტიკური აღზრდა

სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) დაწყებითი საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია **მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა**

- ტექნოლოგიები

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, ჩანს რომ სკოლაში, სასწავლო პროცესში უზრულველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კერძოდ, მასწავლებლებმა ინტერვიურების დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში ტარდებოდა და მომავალშიც აქვთ მზაობა და გეგმავენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას. ასევე პროექტული სწავლების გაძლიერებას. გარდა ამისა, წარმოდგენილი კურიკულუმებით, ჩანს რომ კომპლექსური დავალებებზე მუშაობის დანერგვას ფიქრობს სკოლა, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნათან ორგანიზებასა და ურთიერთაკავშირებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სასკოლო საზოგადოებასთან (მასწავლებლებთან) გასაუბრების ანალიზის საფუძველზე, მტკიცდება, რომ ინდიკატორი **სრულად დაკმაყოფილებულია.**

- სპორტი

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის დეკლარაციული მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა წარმოაჩნა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფა. პედაგოგების თქმით ყოველთვის ხაზი ესმება ამა თუ იმ საკითხის კავშირს მათ პირად გამოცდილებასთან. პედაგოგების თქმით ისინი ყოველთვის იყენებენ ისეთი ტიპის კითხვებს, როგორიცაა: სად, რომელ საგანში/თემის შესწავლისას შეგხვდათ მსგავსი საკითხი და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- STEM პროექტები;
- საკლასო პროექტი „საქართველოს კუთხეები“ ;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- მასწავლებლის პორტფოლიო;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი;
- **სასკოლო სასწავლო გეგმა (2022-2023 წწ);**
- **სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი (2023-2024 წწ);**
- **კომპლექსური დავალების მატრიცა;**
- **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;**
- **სასწავლო პროექტები;**
- **ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;**
- პროექტი საქართველოს კუთხეები;
- მატრიცა მევენახეობა - მეღვინეობა;
- მატრიცა - კომპლექსური დავალება პიკნიკი.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

➢ სახელმწიფო ენა

სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი ქართულში ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, **ერთი მხრივ,** იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებული თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. **მეორე მხრივ,** ამოიცნობა რეალიზებულ კომპლექსურ დავალებებსა და მათს რეფლექსიებში, რაც განხორციელდება როგორც მოსწავლეთა უკუკავშირისა და ანალიზის საშუალებით, ასევე ამ პროცესში მშობლისა და სკოლის ამდმინისტრაციის ჩართვითაც. სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა და მასწავლებლის პორთფოლიო. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

➢ მათემატიკა

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები (მათემატიკა) ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კარგად ჩანს, გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის, ამასთან მასწავლებლებმა, გასაუბრებისას, წარმოადგინეს რეალიზებული კომპლექსური დავალება ნარატივის სახით და რეფლექსია მასზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილდა

➢ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის ჩარჩოში ნათლადაა კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს ასევე იმ კომპლექსური დავალებების მატრიცები, რომლებიც შეხვედრის დროს მასწავლებლებმა აღწერეს. წარმოადგინეს მოსწავლეთა მიერ შესულებული დავალებები,რომლებიც განთავსებულია სტემ-კაბინეტში, პოსტერები გამოკრულია დერეფანში და ბიბლიოთეკაში. ასევე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი მიმართულია გრძელვადიანი მიზნების მიღწევის ძირითად ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლაში მოქმედი სასკოლო კურიკულუმი შექმნილია იმგვარად, რომ მოსწავლეს მეხსიერებაში ხანგრძლივად, მკვიდრი წარმოდგენებს სახით დარჩეს ის ნასწავლი ინფორმაცია, რომელზეც მან სიღრმისეულად იმუშავა. მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის

- უცხოური ენები

წარმოდგენილია რა მესამე თაობის ე.ს.გ.-ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნები უცხოურ ენებისთვის, შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა.

- ესთეტიკური აღზრდა

სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტორთან შესაბამისობაშია.**

- ტექნოლოგიები

მიუხედავა იმისა, რომ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით, ზოგიერთ კლასში ვერ იფარება ყველა სამიზნე ცნება, ინტერვიუს დროს სკოლა აანალიზებს საკუთარ შესაძლებლობებს, გასაუმჯობესებელ მხარეებსა და გამოწვევებს. სკოლას აქვს მზაობა რაც მიუთითებს იმაზე რომ სასწავლო პროცესი მომავალში უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათვისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. გამომდინარე აქედან, კეთდება დასკვა, რომ აღნიშნული ინდიკატორი **მეტწილად** შესაბამისობაშია სტანდარტთან და აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

- სპორტი

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ მასწავლებელმა სასწავლო პროცესი, საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, გაიაზროს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების კონტექსტში და შესაბამისად განახორციელოს სასწავლო პროცესში ამას ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუები.

კურიკულუმების ჩარჩოებში ნათლად ჩანს ყველა თემის კავშირი სამიზნე ცნებასთან.

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

- სახელმწიფო ენა

მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. სკოლას, დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში აქვს ისეთი აქტივობები. მაგ.: ჯგუფური სამუშაო, დისკუსია, წყვილებში მუშაობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რომლებიც ხელს შუწყობს მოსწავლეებს განუვითაროს თანამშრომლობითი უნარები, აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთი გადაწყვეტილებების შედეგებზე საკუთარი თავისა და სხვების მიმართ. სასკოლო კურიკულუმი ითვალისწინებს **არაფორმალური განთლების** მიმართულებით სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას, როგორებიცაა მოსწავლეთა ინიციატივით პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, საკლუბო მუშაობა, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობებს განივითარონ პიროვნული თვისებები. ასევე, პედაგოგის პორთფოლიოში წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლის ფსიქო-სოციალური განვითარების შესაბამის აქტივობებს. როგორებიცაა კონფლიქტების მართვა, დამოუკიდებლად მუშაობა, წარმატებისა და წარუმატებლობის მიმღებლობა, ემპათია და სხვა. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- მათემატიკა

კათედრამ აღნიშნა, რომ რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და კურიკულუმის განხორციელებისას ეს გათვალისწინებული იქნება. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია ისეთი აქტივობები. მაგ.: ჯგუფური სამუშაო, დისკუსია, წყვილებში მუშაობა, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებს განუვითაროს თანამშრომლობითი უნარები, აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთი გადაწყვეტილებების შედეგებზე საკუთარი თავისა და სხვების მიმართ ეს კი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილი დოკუმენტები (კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალება, სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი დავალებები, პროექტები, სტემაქტივობები) საშუალებას იძლევა დავადასტურო, რომ კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. მასწავლებლებთან გასაუბრებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ყველაფერი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროექტებით სწავლებისას მოსწავლეთათვის დავალების შექმნის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის განწყობა და მზაობა თემის მიმართ. რაც საშუალებას აძლევს მას დააფიქროს საკუთარ აზრებზე, ინტერესებსა და გრძნობებზე, ემოციების გამოხატვისას გაითვალისწინოს საზოგადოებისთვის მისაღები ფორმები, შეძლოს თანამშრომლობა, სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებთან გამკლავება, პრობლემის ეფექტურად გადაჭრა.

- უცხოური ენები

ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი უხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ე.ს.გ. უცხოური ენების სტანდარტით გათვალისწინებული თემატური ბლოკებში შემოთავაზებული თემები, რომელთა მცირე ნაწილი (სემესტრში ერთი) მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური შინაარსის დავალებებში, აღნიშნული დავალებები კი ცალსახად შეუწყობს ხელს შეუწყობს ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

- ესთეტიკური აღზრდა

დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები, თემები, კომპლექური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები, აგრეთვე კათედრის მიერ განხორციელებული პროექტები მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. **ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, მოცემულ ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.**

- ტექნოლოგიები

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში ჩანს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობა, რადგან საკითხები და კომპლექსური დავალების პირობა მოსწავლის ასაკობრივი თავისებურების, ინტერესის შესაბამისია. საგნობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონტექსტი **მეტწილად** ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

- სპორტი

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი, და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. იგივეს ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი. კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემული თემები/საკითხები და განსახორციელებელი კომპლექსური დავალების იდეები მაგ: სასკოლო ფესტივალი, პროექტი, პრეზენტაცია მოიაზრებს იმდაგვარი ტიპის სამუშაო პროცესს, რაც ხელს უწყობს ისეთი ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას მაგალითად როგორიცაა: კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, მოქალაქეობა და სხვა.

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

- სახელმწიფო ენა

შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. ამისათვის წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მეთოდოლოგია თუ რუბრიკები. შერჩეული განმავითარებელი შეფასებათა ინსტრუმენტები ხელს უწყობს მოსწავლის წინსვლას და ორიენტირებულია მის მხარდაჭერაზე, რაც უქმნის მოსწავლეს სწავლის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას და ზრდის მოტივაციას. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა დააკვირდეს თავის სწავლის პროცესს, რომელიც ეხმარება კოგნიტური უნარების განვითარებაში. საგნობრივ კათედრაზე შემუშავებული განმავითარებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების ინსტრუმენტები (ზეპირი და წერილობითი კომენტარები, შეფასების რუბრიკები, გასასვლელი ბარათები, რეფლექსია) მოსწავლის ჰოლისტურ შეფასებაზე არის ორიენტირებული, რადგან ფასდება როგორც მოსწავლის ცოდნა, ასევე ხდება მისი სოციალურ-ემოციური მხარდაჭერა. კათედრას ასევე აქვს განსაზღვრული შეიმუშაოს შეფასების მრავალფეროვანი ფორმა, რომელიც მისცემს შესაძლებლობას დაინახოს მოსწავლე პიროვნული, ფსიქო-სოციალური და აკადემიური უნარების ჭრილში, რაც სკოლაში მხარდამჭერი მექანიზმების უზრუნველყოფის საფუძველია. ამისთვის სკოლა ყველაზე ეფექტურ საშუალებად მოსწავლის პორტფოლიოს შექმნას მიიჩნევს და გეგმავს. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- მათემატიკა

შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე. მოსწავლის ჰოლისტური განვითარება გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. წარმოდგენილია დანართები, სადაც ჩანს რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბუნებისმეტყველო კათედრის 1-6 კლასის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას არჩეული აქვს სამკომპონენტიანი გამსაზღვრელი შეფასება. გამზადებული და წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. გაგვიზიარეს აზრი, რომ მომავალი წლისთვის გეგმავენ რუბრიკების შექმნასა და დახვეწას . როგორც აღნიშნეს ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს. ხშირად იყენებენ განმავითარებელი შეფასებას. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ზეპირ ფორმას იყენებდნენ დღემდე, თუმცა საჭიერო დროს გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც. ძირითადად მასწავლებელი აძლევს უკუკავშირს, თუმცა გამოიყენება თვითშეფასებაც. დაწყებითის 1-4 კლასებისათვის წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოლოდინების ცხრილი. აღნიშნეს, რომ ასეთი ინსტრუმენტი მათ პრაქტიკაში ხშირად გამოუყენებიათ და გამოიყენებენ მომავალშიც. აღნიშნეს, რომ შეფასების საშუალებით უნდა მოვახერხოთ მოსწავლის პიროვნული განვითარება.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

მოქმედი სასკოლო კურიკულუმით სკოლის შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასაწვლო გეგმას. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესის; ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, რაც გულისხმობს შეფასების ორიენტაციას მოსწვალის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე; შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, რითაც ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. არსებული შეფასება წარმოადგენს მოსწავლის პროფილის დიფერენცირებულ ანალიზის, რომელიც ავლენს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს და აძლევს მოსწავლს კონსტრუქციულ უკუკაშირს იმასთან მიმართებაში თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და როგორ შეიძლება იმუშავოს არსებულ გამოწვევებზე;

- უცხოური ენები

სასკოლო კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ვალიდურია სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებისა და ახდენ მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით, ამგვარ რუბრიკაზე დაფუძნებული უკუკავშირი კი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას, როგორც საგნის ასევე პიროვნულ ჭრილში.

- ესთეტიკური აღზრდა

2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმებში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი). კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისულ ცოდნას. დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცეში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილია. ინტერვიუს დროს მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას. აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე დაწყებით საფეხურზე დასტურდება **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- ტექნოლოგიები

სკოლის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების სქემები, რომლებიც შესაბამისობაშია და გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგნილი ჰოლისტური შეფასების მექანიზმი განმავითარებელი შეფასების სახით. მიუხედავად ამისა ინტერვიუდან იკვეთება, რომ სკოლას აქვს მზაობა და მომავალში გეგმავს განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენოს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვნა, რომ აღნიშნული ინდიკატორი **მეტწილად** შესაბამისობაშია სტანდარტთან და აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

- სპორტი

მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა მუშაობს შეფასების რუბრიკების შემუშავებაზე, რომელიც გაიწერება სამიზნე ცნებების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს მის კავშირს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებასთან. წარმოდგენილი მრავალფეროვანი რუბრიკებში მოცემულია სკოლაში არსებული ყველა სპორტის სახეობის შეფასების ასპექტები, რომელიც მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას უზრუნველყოფს.

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სახელმწიფო ენა

სკოლა საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დადასტურებად იგი მოიაზრებს საგანში შეფასების სისტემის შემუშავებულ მეთოდოლოგიას. კერძოდ, ხაზგასმულია მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უნდა შეათანხმონ და დაამტკიცონ პედაგოგიურ საბჭოზე. კათედრა სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელშემწყობ ფაქტორად მოიაზრებს სასწავლო პროცესში გამოყენებულ თვითშეფასებას და ურთიერთშეფასებას, რაც მოსწავლეებისა და მშობლებისთვის წინასწარ ხდება ცნობილი. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- მათემატიკა

პედაგოგების მიერ შექმნილი შეფასების სისტემა ძირითადად არის ვალიდური, რადგან სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი (V კლასის მე-2 სემესტრიდან და VI კლასში) შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

დაწყებითი კლასების კათედრის პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკაში ასახულია რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. აქედან ჩანს, რომ მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. გასაუბრებიდან ნათელია, რომ მოსწავლეებს აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მათ უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. გეგმავენ შექმნან დახვეწილი, მკაფიო და არაორაზროვანი შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით. კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენდეს რეფლექსიას მათი სწვალის პროცესზე. რუბრიკებს შეიმუშავებენ მასწავლებლები, რომლებიც თანხმდება და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. სკოლას აქვს შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გამოცდილება. ასევე, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელს უწყობს სასწავლო პროცესში გამოყენებული თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. მოსწავლეებისა და მშობლებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების სისტემა

- უცხოური ენები

სკოლას წარმოდგენილი აქვს სანიმუშო განსმაზღვრელი შეფასები რუბრიკები სმაივე უცხოური ენის ყველა კლასისთვის, რომელებიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე მხოლოდ დოკუმენტაციის ბაზაზე ნაკლებად ხერხდება. თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას.

- ესთეტიკური აღზრდა

წარმოდგენლ შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებისკენ და კონკრეტულ დავალებაში დამუშავებულ ქვეცნებებისკენ. ინტერვიუს დროს მასწავლებლების მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს აცნობენ, უმარტავენ შეფასების რუბრიკებს გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ **აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ტექნოლოგიები

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის გაწერილი მოსწავლის შეფასების კონკრეტული, დავალების შესაბამისი სქემა. დამატებით დოკუმენტაციაში, სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის კომპლექსური დავალების შეფასება, რომელიც ასევე არის შემაჯამებელი დავალება. რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვა, რომ აღნიშნული ინდიკატორი **სრულად** შესაბამისობაშია სტანდარტთან და აღნიშნული ინდიკატორი **სრულად დაკმაყოფილებულია.**

- სპორტი

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და კურიკულუმის საგნობრივი ჩარჩოებით იკვეთება რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური.

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლამ წარმოადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის #45 საჯარო სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი. წარმოდგენილი წესის მიხედვით შეფასების ვერიფიკაცია განხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მასწავლებლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/შეცვლის გამოცდილება. ისინი ითვალისწინებენ დავალებების, შემაჯამებელი წერების შეფასების რუბრიკების შესაბამისობას დავალების მიზნებსა და შინაარსთან. ასევე მის სანდოობასა და გამჭვირვალობას, რაც სკოლას მტკიცებულებად უდევს საგნობრივ მეთოდოლოგიურ ჩარჩოში, მასწავლებლის პორთფოლიოში, კათედრის ოქმებსა და შეფასების რუბრიკებში.
ამრიგად, სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტის ანალიზი და სკოლის არსებული პრაქტიკა გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის ფუნქციონირებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლის საქმისწარმოების წესის 27-ე მუხლის (მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი) მე-4 პუნქტი ითვალისწინებს მოსწავლის შეფასების ამსახველი ყველა დოკუმენტის შენახვას სკოლაში 3 წლის ვადით

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-205 მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- სკოლის საქმისწარმობის წესი;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- დაწყებითი საფეხურის შეფასების ინსტრუმენტები 2023-2024 სასწავლო წლისთვის;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- ქართული ენისა და ლიტარატურის მეთოდოლოგიური ჩარჩო;
- მასწავლებლის პორტფოლიო;
- STEM პროექტები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები საშუალებას აძლევს მოსწვალეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და მხარდამჭერი სასწავლო პროცესის მაჩვენებელია. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, წრეები და კლუბები მოსწავლეთა საჭიროებებიდან და მოთხოვნილებიდან გამომდინარე იქმნება, სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ისგ ჯგუფის მიერ პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. ამრიგად სკოლა სასწავლო პროცესში ქმნის მოსწავლისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მიმანიშნებელია იმისა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაკვირვება აწარმოოს მოსწავლის პროგრესზე და მის საჭიროებაზე მორგებულად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, უზრუნველყოს პროდუქტის, დავალების, აქტივობის დიფერენცირება, გაზარდოს ან შეამციროს დავალებაზე მუშაობისათვის საჭირო დრო, მოამზადოს თვალსაჩინო მასალა და სხვა. დამატებითი არაფორმალური აქტივობების თემების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სკოლის პრაქტიკა ადასტურებს კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრის და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობის გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლისთვის მახასიათებელი თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლას აქცევს მოსწავლეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მიმღებ დაწესებულებად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

დაწესებულება გამოირჩევა ძლიერი თანამშრომლობით კავშირებით სასკოლო საზოგადოებას შორის. სკოლაში, როგორც ძირითად ისევე ადმინისტრაციულ და დამხმარე პროცესებში, დომინანტია გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებული პოლიტიკა, ნაცვლად დასჯა/წახალისების მექანიზმისა. სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლაში მიმდინარე პროცესებში ჩართვის მაღალი შესაძლებლობები. სკოლის ფსიქოლოგი ზრუნავს პოზიტიური კლიმატის ხელშეწყობაზე კლასისა და სკოლის დონეზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების ინსტრუმენტები და რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- ფსიქოლოგის სამუშაო გეგმა;
- კათედრების დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში კურიკულუმის განვითარება თავისთავად წარმოადგენს ციკლურ პროცესს. ციკლური პროცესი კი მოიცავს მონიტორინგსა და შეფასებას. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზთან. სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრებზე სემესტრულად ჯამდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარებაში, სასწავლო ჯგუფებში მუშაობაში და ტრენინგებსა და ვებინარებში მონაწილეობაში (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე), მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის რემედიაციის პროგრამა და დიფერენცირებული სწავლება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

როგორც სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის, ასევე სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება ერთის მხრივ როგორც პრობლემი გადაჭრის და მეორეს მხრივ როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად. სკოლას განსაზღვრული ჰყავს მონიტორინგის განმახორციელებელი პირები. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელს ესწრება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ადგენს მათ საჭიროებას, აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხი განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო მასალები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- კათედრების პორთფოლიოები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლა მოსწავლის შესაფასებლად იყენებს მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება, მოსწავლეთა ემოციურ განვითარებას აფასებს სკოლის ფსიქოლოგი, ხოლო მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ არასასკოლო აქტივობებში ჩართულობაზე ინფორმაციას აგროვებს დამრიგებელი, სკოლის მიერ დაგეგმილ არაფორმალურ აქტივობებსა და პროექტებში მონაწილეობაზე მოსწავლესთან დაკავშირებული ინფორმაცია თავს იყრის შესაბამის აქტივობების/პროექტების ხელმძღვანელთან რაც ერთობლივად წარმოადგენს მოსწავლის ჰოლისტურ დახასიათებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდიოს მოსწავლის პროდუქტულობაზე. სკოლისთვის მნიშვნელოვანია განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება/აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. დამრიგებლები მოსწავლეებისა და მშობლებისგან აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლის ინტერესებსა და მოსწავლის თავისუფალი დროის მართვაზე. მოსწავლის ქცევას სკოლაში, საკლასო ოთახსა და სკოლის ეზოში, ბიბლიოთეკაში აკვირდება შესაბამისად დამრიგებელი და ბიბლიოთეკარი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება როგორც დაკვირვება, ასევე შეფასების რუბრიკების (განმავითარებელი) ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შევსებული თვითშეფასების კითხვარები, მოსწავლეთა სასწავლო შედეგების დინამიკა, მეორადი მონაცემების ანალიზი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში.

ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების;
- შეფასების რუბრიკები;
- სადამრიგებლო გეგმები და დამრიგებლის პორთფოლიოები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი მტკიცდება ყოველ ახალ სასწავლო წელს. კურიკულუმის დამტკიცებას, წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შედეგად შემუშვებული სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ეფუძნება **სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის, მოსწავლეთა შედეგების, მშობელთა ჩართულობის, კათედრებისა და დირექციის მუშაობის შეფასების შედეგებს.**

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება, რომელიც ეფუძნება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის თანამდევია და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.
მთოდოლოგია კათედრის ხელმძღვანელს ავალდებულებს სასკოლო კურიკულუმის ამსახველი მასალები, დროულად გაუზავნოს დირექტორს, მის მოადგილეებს და სამეურვეო საბჭოს წევრებს/მათთან ერთად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- .კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება ავტორიზაციის ე ავტორიზაციის	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლამ წარმოადგინა სსიპ ქალაქ თბილისის #45 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია დამტკიცებულია ბრძანებით N2-206. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს.
წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული უკუკავშირების საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით, რაც ნიშნავს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლის მიერ წარმოდგენილი „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის მიერ სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირებზე დაფუძნებით სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას, რომელიც გათვალისწინებული იქნება ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში. შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესები აისახება კურიკულუმში. ამას ადასტურებს ასევე სკოლის პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტების სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარებისა და მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით კათედრის შიგნით მასწავლებლების თანამშრომლობით იგეგმება სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების დოკუმენტი არსებული პრაქტიკის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. მასში გაწერილია მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარეების, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო თემაზე მუშაობისას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეების მშობლებს, ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. აფასებს სასწავლო თემის დაგეგმვისა და განხორციელების შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. კურიკულუმში, მშობლებთან შეთანხმებით, განისაზღვრება მეორე უცხოური ენა, ხოლო არჩევითი საგნებისა და წრეების შერჩევაში მონაწილეობენ მოსწავლეები. ამრიგად, კურიკულუმის შემუშავების პროცსში ხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს კურიკულუმის შემუშავებაში და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ბრძანება N2-206 .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

- ✓ სახელმწიფო ენა

საბაზო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტარატურაში შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შემუშავებული ჩარჩო ცხრილებში სწორადაა შევსებული **როგორც სავალდებულო ველები,** თემები/თემატური ბლოკები, ტექსტი/ტექსტები (კონტექსტმაგალითები), სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის, **ასევე არასავალდებულო ველები:** სამიზნე ცნება / ქვეცნებები, საკითხები და კომპლექსური დავალებების იდეა. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა გეგმავს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესი ხორციელდებოდეს სრულად, უწყვეტად კომპლექსური დავალებების განხორციელების გზით. მნიშვნელოვანია, რომ კათედრაზე მე–8 **კლასის კურიკულუმის ჩარჩო ისეა წარმოდგენილი, რომ წინასწარაა განსაზრვრული ზოგიერთი რესურსის ადაპტირებული სახე.**

- ✓ მათემატიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ (მათემატიკის) კურიკულუმებში ჩანს, რომ მის შედგენის პროცესში აქცენტი გაკეთებულია გრძელვადიან მიზნებზე, კერძოდ, სამიზნე ცნებებზე და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებზე. კურიკულუმს საფუძვლად უდევს ესგ-ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად.
ინდიკატორი დაკმაყოფილდა

✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულიპროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებიდან ჩანს და პედაგოგებთან გასაუბრებიდან ნათელია, რომ მესამე თაობის ესგ-ის დანერგვის ფარგლებში კარგად იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს და კარგად იციან კურიკულუმის თითოეული კომპონენტი რას წარმოადგენს, რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში.თითოეულ მასწავლებელს გაანალიზებული აქვს კურიკულუმის არსი, კურიკულუმის შექმნის პრინციპი. აღნიშნეს პედაგოგებმა რომ კომპლექსურ დავალებების შერჩევა მოახდინეს ერთმანეთთან თანამშრომლობითა და მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. ძირითადად შეარჩიეს მომავალი წლისთვის ის კომპლექსური დავალებები, რომლებზე მუშაობაც წინა წლებში შედეგიანი აღმოჩნდა. გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კოპლექსური დავალებების შერჩევა და კურიკულუმის ჩარჩოს გამდიდრება მომავალი წლისთვის. ითვალისწინებენ კლასის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებისა და რესურსების შეტანას. შერჩეული აქვთ დანერგვის პროცესში მიწოდებული კურიკულუმის ფორმა. აღნიშნეს კიდეც, რომ მათთვის ყველაზე მისაღები არის ასეთი სახით წარმოდგენა. ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება, ქვეცნებები, საკითხები, გათვალისწინებული კომპლექსური დავალება, რითაც აღწევენ შუალედურ მიზანს და შესაბამისი რესურსები.სასკოლო საზოგადოებასთან ერთად შეარჩიეს განმსაზღვრელი შეფასების პირველი, სამკომპონენტიანი მოდელი. აღნიშნეს, რომ მათთვის შეფასების ეს ფორმა უფრო მისაღებია.

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

2023-2024 სასწავლი წლის სასკოლო კურიკულუმით სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის კონკრეტული შესაძლებლობები და ინეტერესები. კურიკულუმებზე მუშაობის დროს გრძელვადიანი მიზნები და შედეგები გათვალისწინებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული საგნობრივი სამიზნე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცნებების სახით და შედეგების მისაღწევი შუალედური მიზნებით, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. შედეგები მიიღწევა კომპლექსურ დავალებებზე მუშაობით, რომელთა შესრულება მოსწავლეებს ერთის მხრივ უვითარებს შემოქმედებითობისა და ფანტაზიის უნარს, მეორე მხრივ კი ხელს უწყობს სააზროვნო უნარებსა და საკუთარ გამოცდილებაზე დამყარებით ცოდნის დამოუკიდებლად კონსტრუირების უნარების გამომუშავებას/ჩამოყალიბებას.

✓ უცხოური ენები

წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების/დოკუმენტაციის საშუალებით და ასევე ინტერვიუსას გაცემული პასუხებით, უცხოური ენის სწავლა-სწავლების პროცესზე პასუხისმგებელნი პირნი ჰოლისტურად გვიქმნინან წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. იყენებენ რა პროექტული შინაარსის დავალებებს მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება, თუმცა სამწუხაროდ ასეთი დავალებები, უმეტესად ყველა კლასისთვის სემესტრში მხოლოდ ერთი აქვთ, მოსწავლეთა უწყვეტი განვითარებისათვის კი აუცილებელია/სასურველია ყველა თემაში ახდენდეს მასწავლებელი მოსწავლეთა დაინტერესებას რეალურ ცხოვრებასთანა ახლოს მყოფი, მოსწავლეთა ინტერესებისა და განვითარების უახლოეს დონესთან დაკავშირებული კომპლექსური/პროექტული შინაარსის მქონე დავალებებით. მაგრამ, შეიძლება ითქვას ,რომ დავალების პირობები, რომლებსაც უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გვიჩვენებს (მაგალითად; მე-9 კლასის 2023-24 სასწავლო წლისთვის გაწერილი კურიკულუმის ჩარჩო; „ პრეზენტაცია თემაზე ,, A healthy lifestyle ” და ა.შ.) ცხადყოფს, რომ კათედრას აქვს მზაობა წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით, მათივე ინტერესების და მაზობისა შესაბამისად.

➢ ესთეტიკური აღზრდა

საბაზო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორთან მიმართებით დადგინდეს შესაბამისობა.**

✓ სპორტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში წარმოდგენილ ინფორმაციებზე დაყრდნობით სწორად იყო შევსებული, სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებების დასახელებები, ასევე ქვეცნებები. კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტმაგალითები შესაბამისი რესურსებით იყო წარმოდგენილი.

- ✓ მეშვიდე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია ცხრა თემა და ცხრა კომპლექსური დავალება.
- ✓ მერვე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია რვა თემა და რვა კომპლექსური დავალება.
- ✓ მეცხრე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია რვა თემა და რვა კომპლექსური დავალება.

პედაგოგების მიერ შექმნილი და შემუშავებული სასკოლო კურიკულუმები მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს.

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

- ✓ სახელმწიფო ენა

საბაზო საფეხურზე კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ვინაიდან საგნობრივ ჩარჩოებში ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირდება ქართულ ენაში განსაზღვრულ ყველა სამიზნე ცნებაზე, ხოლო ამ ცნებათა დაძლევისათვის გამიზნული კომპლექსური დავალებების იდეების რეალიზების გზა, იძლევა შესაძლებლობას, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში დაძლეული იყოს გლობალურ – ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, რაც, ფაქტია, კომპლექსური ბუნების დავალებების მახასიათებელია. აღნიშნული კონცეპტების დანერგვის შესაძლებლობები იკითხება როგორც სამინისტროს მიერ შემუშავებული თემატური მატრიცების, ისე მასწავლებელთა მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებისა და მისი განხორციელების ეტაპების წარმოდგენით. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი სკოლისათვის წინა სასწავლო წლების გამოცდილებას ეფუძნება. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებმა ხაზი გაუსვეს ფუნქციურ – კოგნიტურ უნართაგან მოსწავლეთა მხრიდან ერთ–ერთი უნარის– **ანალიზის–** დაძლევის სირთულეებზე და დასძინეს, რომ პრობლემის აღმოსაფხვრელად მათ ფორმალური და არაფორმალური სწავლების მიმართულებით განსაზღვრული აქვთ ანალიზის უნარზე ორიენტირებული აქტივობები თუ მიდგომები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ მათემატიკა

საგნობრივი კურიკულუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური დავალება სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური მიზნის როლს ასრულებს და ისიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ. კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მასწავლებელს ისე აქვს დაგეგმილი აქტივობები, რომ მოსწავლეს განუვითაროს ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა (ფუნქციურ-კომპონენტური უნარი).
ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, რაც გამოიხატება თითოეული თემის შესაბამისი კომპლექსური დავალებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კოპლექსური დავალებების შერჩევა თემების შესაბამისად. წარმოდგენილ მასალაში ჩანს მასწავლებელი რას და როგორ გამოიყენებს წლის მანძილზე, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობს საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ასეთი ფორმით სწავლება ავითარებს 6 ფუნქციურ -კომპონენტურ უნარს, რომელიც უვითარდება მოსწავლეს მუდმივად სასწავლო პროცესებში. აღნიშნეს, რომ ეს უნარები არის წინაპირობა სწავლის ხელშესაწყობად. კომპლექსური დავალებები უშუალოდ ავითარებს ამ 6 უნარს.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს. იგი ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესს. შემუშავებულია გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად (შედეგები და სამიზნე ცნებები), რომლებსაც აზუსტებს და უფრო მკაფიოს ხდის ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ უცხოური ენები

საბაზო საფეხურის უცხოური ენების (ინგლისური, გერმანული, რუსული) სასწავლო პროგრამის ჰოლისტურად აღმწერი დოკუმენტები - კურიკულუმის ჩარჩოები წარმოგვიდგენენ რა კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეებს, რომლებიც ზუსტად ეხმიანებიან/ამუშავებენ ამავე საფხეურისა და საგნის გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებსა და შედეგებს) თავისუფლად შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ვინაიდან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წახალისებს, მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებზე დაყრდნობით ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მკაფიოდ ჩანს რომ, სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრავრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები. თუმცა, სახვით და გამოყენებითი ხელოვნების მე-9 კლასის კურიკულუმში ზემოთ აღნიშნული სტანდართთან შესაბამისობა დარღვეულია და კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები სრულად არაა გააზრებული. საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში კომპლექსური დავალება განხილიება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, კათედრას ორივე საგნის ყველა თემატური ბლოკის ფარგლებში ახლოციელებს კომპლექსურდ დავალებებს. მსგავის ტიპის დავალებებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემქომედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს კომპლექსური დავალების როლს ამ უნარების გააქტიურებაში და მიიჩნევს, რომ თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა იმ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფრორმალური აქტივობების შესახებ (სასკოლო პროექტები, ღონისძიებები და სხვ.) მსჯელობა. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი უზუსტობისა შესაძლებელია, დავასკვნათ რომ საბაზო საფეხურზე, ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოყენებითი ხელოვნება) **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისკენ (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- ✓ სპორტი

კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემრთება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალური ფუნქციურ უნარებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ეს სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლა აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებებისა და შედეგების გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი. ზედმიწევნით კარგად გაწერილი კურიკულუმი მოსწავლეებს აძლევს საშულებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი შეძენილი ცოდნა და უნარები. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომელთა ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

- ✓ სახელმწიფო ენა

კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები, ასევე საგანში თემატური მატრიცებისა და კომპლექსური დავალების ბარათები, იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას, რაც საბაზო საფეხურზე სკოლას მთელი წლის განმავლობაში აქვს მიზნად დასახული. რაც შეეხება სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს, მე–7 კლასისათვის არაერთი კომპლექსური დავალებისა თუ თემატური მატრიცის ადაპტირებული ვარიანტები მოიპოვება სკოლაში, რაც ეფუძნება მეშვიდეკლასელი მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და გათვალისწინებულია მოსწავლის იდნივიდუალური საჭიროებანი. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსსმ მოსწავლისათვის განსაზღვრული რესურსები და მის მიერვე შესრულებული პროდუქტები. სკოლაში ვიზიტისას ნათელი გახდა, რომ პედაგოგებს გააჩნიათ კომპლექსური დავალებების პირობისა თუ განხორციელების ეტაპების დიფერენცირების გამოცდილება, რაც მათ პრაქტიკასა და მოსწავლეთა საჭიროებებს ეფუძნება. ისინი საუბრობდნენ პროდუქტის, გარემოს, შინაარსისა და მოთოდოლოგიის დიფერენცირებაზე და ხაზ ს უსვამენ ამ მიდგომის ეფექტურობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ მათემატიკა

მასწავლებელთა ინტერვიუს დროს და წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ნათლად გამოჩნდა, რომ პედაგოგები კარგად იცნობენ დიფერენცირებულ მიდგომებს, ხშირად გეგმავენ და იყენებენ დიფერენცირების სტრატეგიებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას, ინტერესს ან სწავლის პროფილს. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ინკლუზიური განათლების ერთწლიანი გეგმა. ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

პედაგოგებთან შეხვედრიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. ეს ასევე იკვეთება წარმოდგენილ დოკუმენტებში. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით.კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებს მოსწვალის ინტერესებს, მის გამოციდლებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; სკოლას აქვს შესანიშნავი სასწავლო გარემო-ღია სივრცე, STEM-კაბინეტი, ბიბლიოთეკა. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ატარებენ გაკვეთილებს არაფორმალურ გარემოში, უყვართ სტემ აქტივობები და შესაბამისად სკოლაში არის მოსწავლეების ხელით დამზადებული რესურსები, ხშირად იყენებენ არდუონის აპარატს, აქვთ ლაბორატორიები, თვალსაჩინოებები. აღნიშნეს, რომ ასეთი გარემო და რესურსები მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ასევე ხშირად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს, რაც მოსწავლეებში ინტერესს და ჩართულობას იწვევს. დავალების პროდუქტის წარმოდგენისას მოსწავლეებს აქვთ საშუალება მისთვის მოსახერხებელი ფორმით წარმოადგინონ ის. სკოლაში სწავლობენ სსსმ მოსწავლეები და შემუშავებულია მათი შესაბამისი ისგ-ბი .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილი კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებასა და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; საგნის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრულია საფეხურის და არა კონკრეტული წლის ან თემის ფარგლებში. შედეგებზე განგრძობითად, მთელი საფეხურის მანძილზე, მიმდინარეობს მუშაობა; ის არ წარმოადგენს მოკლევადიან ნიშნულს, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა მომდევნო შედეგზე გადასასვლელად. ამავდროულად მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროგრამა, სასწავლო რესურსებისა და სასწავლო მასალის შეთავაზება, მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.

- ✓ **უცხოური ენები**

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმა, რითაც ცხადია, რომ სკოლა გეგმავს ინკლუზიური სწავლების მონიტორინგს და შესაბამისად იგივე დოკუმენტი გვაცნობებს, რომ სკოლას ჰყავს სსსმ მომსწავლე/ები , მაგრამ დოკუმენტებში არ იკითხება როგორ აპირებს იმუშაოს მასწავლებელმა თითოეულ მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით./არ არის წარმოდგენილი როგორ ახდენს მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე რესურსების ან/და კომპლექსური დავალების პირობის დიფერენცირებას.თუმცა ინტერვიუირებისას გაცემულმა პასუხებმა, ცხადყო მათი მუშაობის მეთოდები ინკლუზიური მოდგომების გათვალისწინებით.ზეპირ სიტყვიერად განიხილეს ერთი დავალება, რისი ადაპტირებაც მათ განახორციელეს მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

წარმოდგენილი საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმით განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუ, რომლის დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივოების, პროექტების განხორციელების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტივობების მოდიფიცირებასა და დირენეცირებას. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს ეძლევთ შესაძლებლობა მოსწავლეებს შესთავაზონ სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვანი მეთოდები (მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას). მასწავლებლებს არ წარმოუდგენიათ მტკიცებულებები, დასკვნა ეყრდნობა მათ მიერ გაზიარებულ გამოცდილებასა და მოყოლილ სასწავლო პროცესს და სასწავლო გეგმას . დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და განოყენებითი ხელოვნება) ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და ინდიკატორთან მიმართებით დგინდება შესაბამისობა.

- ✓ სპორტი

ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება, მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით, რადგან სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული დავალებებით მუშაობის გამოცდილება, გარდა ამისა, განსაზღვრული აქვთ შესაბამისი აქტივობები და რესურსები. ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგ: სასკოლო ფესტივალი, პროექტი, პრეზენტაცია. პედაგოგების თქმით სკოლაში ირიცხება ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავნეები რომლებისთვისაც იქმნება ინდივიდუალური გეგმები.

5. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

- ✓ სახელმწიფო ენა

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სკოლას საბაზო საფეხურზე სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. თუმცა სკოლაში ვიზიტისას პედაგოგთა ნაწილი განიხილავს მეორე მოდელის მნიშვნელობასა და ეფექტიანობასაც პრაქტიკაში. სკოლის ხედვით, განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით დგინდება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შედეგებთან მიმართებაში. იგი აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს, ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. საგნობრივ კათედრას ასევე აქვს გამოცდილება მოსწვალის შეფასების მექანიზმად ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენოს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზებას საშუალებას. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები თუ საგნის მიერ საფეხურზე შემოთავაზებულ თემატური მატრიცებში, ასევე კომპლექსური დავალებების ბარათებში გამოტანილი კომპლექსური დავალებების პირობები, ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც მომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელ შეფასებას. სკოლას ასევე აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვა ინსტრუმენტები, როგორებიცაა: სტანდარტის შედეგებზე დამიზნეული განმსაზღვრელი შეფასება. მაგ, თხზულების, ზღაპრის შექმნის, ანდაზის საფუძველზე შექმნილი იგავის, კონკრეტული შემთხვევის განხილვის საფუძველზე პრობლემის გადაჭრის და სხვა.

- ✓ მათემატიკა

სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს, წარმოადგინეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორც შემაჯამებელი, ასევე საშინაო დავალებისა და საკლასო სამუშაოს შეფასებისთვის, ასევე შეფასების სქემა კონკრეტულ დავალებაზე დაყრდნობით სადაც ნამდვილად ჩანს რომ განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; წარმოადგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ასევე შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სტანდარტთან მიმართებაში მოსწავლის დონის განსაზღვრისთვის და აკვირდებიან მოსწავლის განვითარების დინამიკას.
ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

როგორც სტანდარტით არის განსაზღვრული, წარმოდგენილი სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებიც აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას არჩეული აქვს სამკომპონენტიანი გამსაზღვრელი შეფასება. გამზადებული და წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა და გაგვიზიარეს აზრი, რომ მომავალი წლისთვის გეგმავენ რუბრიკების შექმნასა და დახვეწას. როგორც კათედრაზე აღნიშნეს ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს ხშირად იყენებენ განმავითარებელი შეფასებას. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ზეპირ ფორმას იყენებდნენ დღემდე, თუმცა საჭიერო დროს გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც.ძირითადად მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს უკუკავშის, თუმცა გამოიყენება თვითშეფასებაც. 7-9 კლასებისათვის წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასებისათვის მოლოდინების ცხრილი. აღნიშნეს, რომ ასეთი ინსტრუმენტი მათ პრაქტიკაში ხშირად გამოუყენებიათ და გამოიყენებენ მომავალშიც.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლაში სწავლება და შეფასება ერთ მთლიან, გააზრებულ პროცესს წარმოადგენს. საგნობრივ კურიკულუმში ასახული შეფასების კრიტერიუმები მკაფიოა და ცალსახად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს.

- ✓ უცხოური ენები

საბაზო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე უცხოური ენისთვის, რომელებიც გვაჩვენებს, რომ ამ საგნის პედაგოგებს კარგად აქვთ გაზრებული თუ როგორ უნდა მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კომპლექსურ დავალებაში დამუშავებულ კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. ასევე, სამივე უცხოური ენის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მჭიდრო კორელაციას გვიჩვენებს მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საბაზო საფეხურის მუსიკის მე-7, მე-8, მე-9 კლასების სასწავლო პროგრამაში, ხოლო სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მე-8 კლასის პროგრამაში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების კრიტერიუმები ცხადყოფს, რომ განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მათ ქვეცნებებს. ამავე დროს, კათედრის გამოკითხვის შედეგებიდან ირკვევა, რომ ნაწილობრივაა გაკეთებული მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და ასევე, ნაწილობრივაა დაგეგმილი პრობლემების აღმოსაფხვრელად ინტერვენციები. თუმცა მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ განსახორციელებელ ინტერვენციებში აქტიურად უნდა გამოიყენონ განმავითარებელი შეფასებების მრავალფეროვანი რუბრიკები კომპლექსური დავალებების შეფასების პროცესში. დასახელებული მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

- ✓ სპორტი

კურიკულუმებში გათვალისწინებულ კომპლექსურ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცეში განმავითარებელი შეფასების ნაწილი აქვს კარგად გააზრებული. მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

- ✓ სახელმწიფო ენა

საბაზო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტარატურაში სკოლას კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული აქვს წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, რაკი სკოლა წარმოადგენს 2019 წლიდან მესამე თაობის ესგ–ს დანერგვის პრაქტიკის მქონეს, რაც გულისხმობს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილებას, იგი თვლის, რომ გასული წლების კურიკულუმების დანერგვისას არსებულ გამოწვევებისა თუ მიგნებების გათვალისწინებით, შექმნას 2023–2024 სასწავლო წლის რევიზირებული კურიკულუმები. ეს ფაქტი ნათლად იკითხება საბაზო საფეხურის ქართულის კურიკულუმების ჩარჩოებში იმდენად, რამდენადაც სკოლის მიერ დაგეგმილია სრულად კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლები ასაბუთებენ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით უწყვეტად კომპლექსური დავალებებით სწავლების საკუთარ გამოცდილებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაფუძნებით სწავლების პროცესის ეფექტურობას; ითვალისწინებენ და საზღვრავენ დანერგვის პროცესში შესაძლო რისკებსა და მისი დაძლევის გზებს.

- ✓ მათემატიკა

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ნამუშევრების, სადიაგნოსტიკო ტესტირების, დავალებების შეფასებას და ანალიზს, მოსწავლეების, კოლეგების, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს, წინარე გამოცდილებას და ყოველივეს გაითვალისწინებენ კურიკულუმის შევსების და დამუშავების პროცესშიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას გაითვალისწინეს და მომავალშიც გაითვალისწინებენ სასწავლო პერიოდში გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს. აღნიშნეს, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს ითვალისწინებენ და მომავალ წელს შესაბამისად გეგმავენ იგივე თუ შენაცვლებული დავალებების განხორციელებას. არის კომპლექსურები, რომლებშიც ჩაამატეს მათი მოსწავლეების ინტერესების შესაბამისი აქტივობები, მისცეს მოსწავლეებს საშუალება სხვადასხვა, მათთვის მოსახერხებელი ფორმით წარმოედგინათ პრეზენტაცია. ეს მოსწავლეების ინტერესს ზრდის. მასწავლებლები საკუთარ გამოცდილებებს განიხილავენ კათედრაზე, ჯგუფებში. არის შემთხვევები სხვა კათედრის წევრებთან თანაშრომლობისა. სტემ-პროექტებში აქტიური ჩართულობის ამსახველია სხვადასხვა პროდუქტი, მოსწავლეთა ხელით დამზადებული, რომელიც მათი ინტერესის სფეროა. კაბინეტში არის ჩანაწერები, რომელიც ადასტურებს მოსწავლეტა ინტერესს საბუნებისმეტყველო მიმართულებით. მასწავლებელმა სიამოვნებით აღნიშნა, რომ სიამოვნებს მოსწავლეების ასეთი დამოკიდებულება და ცდილობს რაც შეიძლება შეუწყოს ხელი მათი უნარების წარმოჩენასა და განვითარებას. ყოველივე ამის გათვალისწინებიტ ქმნის მომავალ კურიკულუმს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლას ამ ეტაპზეც, დაგროვილი გამოცდილების ხარჯზე, მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზისა და პედაგოგიური რეფლექსიებისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე განხორციელებული აქვს კურიკულუმის ჩარჩოში არსებული კომპლექსურების გამარტივება და ადაპტაცია არსებული რეალობის გათვალისწინებით. ამასთანავე 2023-2024 წლისათვის სკოლას დაგეგმილი აქვს დახვეწოს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებისა და გამოწვევების გამოვლენის მეთოდიკა, რაც გამოიხატება მასწავლებლის პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლასა და გაზიარების უფრო ინტენსიურად გამოყენებაში

- ✓ უცხოური ენები

სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი სახელად „მონიტორინგის გეგმა“, რომელშიც პასუხისმგებელი პირები გვეუბნებიან, რომ სკოლაში აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების (როგორიც არის ტესტური დავალებების საშუალებით პერიოდული მონიტორინგი) და საგნის სწავლების დინამიკის შესამოწმებელი მუშაობის (I სემესტრი-დეკემბრის ბოლოს და II სემესტრი - ივნისში) გამოცდილება სწორედ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლის საზოგადოებამ მომდევნო სასწავლო წლის კუმრიკულუმის დაგეგმვა მიღებული შედეგების გაანალიზების ბაზაზე მოახდენს.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის საჭირეობების კვლევის ანალიზში სკოლა გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე წარმოადგენს ინტერვენციების გზებს, აღნიშნავს, რომ მასწავლებლებმა ახალი სკოლის მოდელის პრინციპების დანერგვის ეგიდით აქტიურად უნდა გამოიყენონ მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები სასწავლო პროცესში. სკოლის მიერ შემუშავებული ჩარჩო კურიკულუმები ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ცხადყოფს, რომ სკოლამ გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება მოიაზრება შუალედურ სასწავლო მიზანად და მიემართება საგნების სტანდარტს. კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე, მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე, საჭიროებებსა და ინტერესებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაყრდნობით დაგეგმონ სასწავლო პროცესი . VII, VIII IX კლასების მუსიკის , სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნების სასწავლო მიზნების განსაზღვრისას მასწავლებლებს ორივე საგანში არ აქვთ წარმოდგენილი იმდენი კომპლექსური დავალება, რამდენის განხორციელების საშუალებასაც იძლევა ესგში გათვალისწინებული საგნის საათობრივი დატვირთვა. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს და წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით თავადვე აღნიშნეს, რომ იმსჯელებენ გარკვეული რაოდენობით კომპლექსური დავალებების განახორციელებაზე. იმუშავებენ და შეცვლიან აღნიშნულ კლასებში კომპლექსური დავალების და თემების რაოდენობას. აღნიშნული მსჯელობის საფუზველზე შესაძლებელია დავასკვანთ, რომ კათედრას საბაზო საფეხურზე **დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი და ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობაშია.**

- ✓ სპორტი

ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები რაც გვაფიქრებინებს რომ პედაგოგი ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, ამასვე ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- საგნის მასწავლებლის ანგარიში;
- კათედრის თავმჯდომარის ანგარიში;
- დირექტორის მოადგილის ანგარიში;
- სსგ მონიტორინგის გეგმა;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები მოდიფიცირებული;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება სსსმ მოსწავლისთვის;
- ბრძანება ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- საბაზო საფეხურის შეფასების ინსტრუმენტი 2023-2024 სასწავლო წლისთვის.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

✓ სახელმწიფო ენა

მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც მკაფიოა საგნობრივ კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტები, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტები და ლიტერატურული კლუბის „ლიტშეგრძნების“ მტკიცებულებაზე დაფუძნებული ეფექტურად ფუნქციონირების განცდა, მნიშვნელოვანი დასტურია ამ ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის. ქართული ენისა და ლიტერატურის პადაგოგის მიერ წარმოდგენილი პორთფოლიო, რომელშიც სამოქმედო გეგმიდან დაწყებული, მასწავლებლის მიერ შედგენილი კომპლექსურებისა თუ რესურსების ჩათვლით, ასევე ინდ. გეგმების წარმოდგენითა და მასწავლებელთა თანამშრომლობის გამომხატველი მტკიცებულებებით, შეფასების ინსტრუმენტებისა თუ სემესტრულ/შემაჯამებელი დავალებების ანგარიშით, მკაფიოა მოსწავლეთა მიმართ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის ხარისხი. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებელთა მიერ თითოეული მოსწავლის მიმართ მიდგომები თუ დაგეგმილი ღონისძიებები ადასტურებდა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

- ✓ მათემატიკა

სკოლის მიერ წარმოდგენილი, კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები ნამდვილად გვიჩვენებს , რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი შემოქმედებით პროცესში და დავალებებიც ხელს უწყობს შესაბამისი უნარების განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბუნებისმეტყველო კათედრის 7-9 კლასის მასწავლებლების მიერ შექნილი კურიკულუმის განხორციელება მოხდება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების მიერ. აღნიშნეს: გრძელვადიანი მიზნის მიღწევა ხდება შუალედური მიზნებით კომპლექსური ხასიათის დავალებებით, შესაბამისად წინასწარ შერჩეულ დავალების პირობას ვაცნობთ მოსწავლეებს მათთვის ინტერესის გამომწვევ კონტექსტმაგალითზე დაფუძნებით, ეცნობიან ახალ ინფორმაციას, თითოეული მოსწავლე ამუშავებს მას , თანმიმდევრულად ახორციელებს ყველა აქტივობას და საბოლოოდ წარმოადგენს პროდუქტს, რომელიც ამ პერიოდში შექმნა მოსწავლემ. პროცესის ცენტრში მოსწავლეა. ჩვენ, მასწავლებლები მათთან ერთად ვადევნებთ თვალს, ვუხსნით გზადაგზა, ვაძლევთ საჭირო რეკომენდაციებს. ასეთი ფორმის და შინაარსის დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. არა მარტო მეცნიერული კუთხით, არამედ ზოგადი უნარების განვითარება ხდება მუშაობის ყოველ ეტაპზე. აღსანიშნავია სტემ-პროექტები და მოსწავლეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტიური ჩართულობის ამსახველი სხვადასხვა პროდუქტი და მათი უკუკავშირები ჩანაწერების სახით. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტი ბუნებისმეტყველების მიმართულებით, იყენებენ ბიბლიოთეკას, გარე სივრცეს, აქვთ გამოფენა ნამუშევრებისა და გეგმავენ მომავალშიც განახორციელონ მსგავსი აქტივობები.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე აშკარაა, რომ მოსწავლეთათვის შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები. ახალი ინფორმაცია გაცნობისა და დამუშავების დროს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით განიხილოს. დააგროვონ, ან გაირღმავონ საკუთარი ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის გზით. გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით, როგორც წერილობით, ასევე დისკუსიების სახით.

- ✓ უცხოური ენები

იმ თემებში სადაც წარმოდგენილი კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტულ დავალებები შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ მოსწავლე ამგვარ სასწავლო გარემოში გარანტირებულად შეძლებს იყოს შემოქედებით პროცესში აქტიურად ჩართული და მოახდინოს კეთების პროცესში ცოდნის კონსტრუირება. თუმცა ასევე დაბეჯითებით ვერ ვიტყვი რა ხდება იმ თემებში სადაც მხოლოდ საკითხთა ჩამონათვალს გვაცნობს უცხოური ენების საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII-IX) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ სპორტი

საგნობრივ ჩარჩოებში განხილული თემები და შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები (მაგ: პრეზენტაცია, პროექტი, სასკოლო ფესტივალი), აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას.

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

- ✓ სახელმწიფო ენა

სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა; ამ ინდიკატორის რეალიზება იკითხება კათედრის მიერ პროექტების ინიცირების წახალისებისას. მაგლითად, როგორებიცაა: ,,ლიტშეგრძნება'', ,,მკითხველთა კლუბი'', „ეკო-კლუბი - მწვანე სიცოცხლე", „წიგნის ქურდი ქურდი არ არის" და მასწავლებლის სახლის მიერ რეკომენდირებული STEM პროექტების განხორციელება. ხოლო სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოდ იკითხება, რომ კომპლექსური დავალებების სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი, რითაც მას კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერული თვალსაზრისით.

- ✓ მათემატიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალებაში გამოჩნდა, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების და პროდუქტის შექმნის პროცესი ისე აქვთ ორგანიზებული, რომ გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე, სადაც ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

მომავალი წლის კურიკულუმების დაგეგმვაში ჩანს, რომ ყველა კომპონენტი გათვლილი და დაგეგმილია მოსწავლის წინარე ცოდნაზე, გამოცდილებაზე და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კონტექსტმაგალითები მოსწავლისათვის საინტერესო და ნაცნობი ფაქტს წარმოადგენს, რითაც მასწავლებელი ეცდება მეცნიერული კუთხით დაანახოს და გააზრებინოს წარმოდგენილი მოვლენა თუ პროცესი, მეცნიერული თვალით ჩაახედოს თითქოსდა მოსწავლისათვის კარგად ნაცნობ მაგალითში. პედაგოგებმა არნიშნეს, რომ კვლავ ცდილობენ გაამდიდრონ კურიკულუმის თემები შესაბამისი კომპლექსური დავალებეით. იგივე პრინციპით, ანუ ნაცნობ საკითხზე დაფუძნებით ხდება სხვა კონტექსტმაგალითების/მაგალითები შედარებისთვის განხილვა და სხვადასხვა პროექტებზე მუშაობაც.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილ კურიკულუმებსა და მატრიცებზე დაყრდნობით ცხადია, რომ სასწავლო პროცესი მიზნად ისახავს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მის ეტაპობრივად, ნაბიჯ - ნაბიჯ მიყვანას ახალ ცოდნამდე. კომპლექსური დავალების პირობები იმგვარადაა ფორმულირებული, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით.

- ✓ უცხოური ენები

წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში, განსაკუთრებით იმ თემებში სადაც კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებებია ასახული, შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ იგი ცალსახად ეფუძვნება მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო ავთენტურ კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. ასევე, ერთ-ერთ დოკუმენტით სკოლა გვატყობინებს, რომ აქვთ სადიაგნოსტიკო წერების გამოცდილება, ალაბთ რის შედეგებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ანალიზის მიხედვითაც უკვე ახდენენ მოსწავლეთა არსებული ცოდნის ინდენტიფიცირებას და შესაბამისი ცვლილებების განხორიცელებას არსებულ კურიკულუმში.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები, შინაარსები, განხორციელებული პროექტები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. მიუხედავად ამისა კურიკულუმებში არ იკვეთება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო პორცესი. არ ჩანს თემის საკვანძო შეკითხვები, ჩარჩო კურიკულუმებს არ ერთვის თემატური დაგეგმვის დოკუმენტები (მატრიცა), დაგეგმილი აქტივობები. აღნიშნულის შესაბამისად ინდიკატორიტან მიმართებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა სწავლების პროცესში ნათლად იკვეთება **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და ინდიკატორთან შესაბამისობა დასტურდება.**

- ✓ სპორტი

საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემების/საკითხების ჩამონათვალი და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია მაძლევს საშუალებას ვთქვა, რომ ახალი ცოდნის დამუშავება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ ჩარჩოში მოცემული თემატური საკითხები ლოგიკურადაა დალაგებული. ყოველი მომდევნო საკითხი/თემა ითვალისწინებს/მოითხოვს წინა თემის/საკითხის დამუშავებას.

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

- ✓ სახელმწიფო ენა

ქართულ ენასა და ლიტერატურაში წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები, რაც სრულად აგებულ კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება, ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიებთან. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული კოგნიტური ოპერაციები არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ცოდნად გარდაქმნის პროცესში, რაც ამ უნარებზე გამჭოლად მუშაობისას საგნის ათვისების განუყოფელი ნაწილია. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ასევე კომპლექსური ბუნების დავალებების დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების წარმოდგენა – გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახით. ასევე წარმოდგენილ მასალებში, რომლებიც ასახავენ მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებსა და აქტივობებს, შეფასების მექანიზმებში, იქნება ეს თანატოლთა შეფასება თუ თვითშეფასების რუბრიკები.

- ✓ მათემატიკა

მასწავლებლებმა წარმოადგინეს ისეთი დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეების მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, დავალებაში დასმული კითხვები ეხმარება მოსწავლეებს გაანალიზონ დავალების შესრულებისას რა გამოუვიდათ კარგად, რა გაუჭირდათ, რა უნდა შეცვალონ თავიდან, რომ იწყებდნენ მუშაობას, ეძლევათ საშუალება მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროცესს (სწავლის სწავლა).
ინდიკატორი დაკმაყოფილდა.

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული.პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ამ უნარების გამომუშავებაზე მუდმივად ხდება შრომა. ყოველი დავალების ბოლოს დასმული შეკითხვები იძლება საშუალებას მასწავლებელმა გააკეთოს ანალიზი რამდენად მოახერხა მაკროცნებების ამუშავება მოსწავლეში. წარმოდგენილი პედაგოგები გაკვეთილზე , სტემპროექტებზე და სასკოლო პროექტებზეც ცდილობენ ამ მიმართულებით იმუშაონ მომავალში

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მატრიცების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი სწავლის სწავლაზეა აქცენტირებული. ყურადღება გამახვილებულია მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიაზე. ეს პროცესი კარგად იკვეთება მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებაშიც.

- ✓ უცხოური ენები

გაანალიზებული აქვს რა სკოლას კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რასაც მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები გვეუბნება და ასევე მოვახდინეთ რა გასაუბრება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით,შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა სრულად იცავს/ამართლებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ძირითად კონცეფციას და მუშაობის პროცესი ისე მიჰყავთ, რომ მოსწავლეებს აფიქრებენ სწავლის სწავლაზე და შესაბამისად ეხმარებიან მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

სკოლა წარმოაგენს ხედვას სამომავლოდ თუ როგორ შეიძლება გაკეთდეს აქცენტი სწავლის სწავლაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, თუ როგორ უნდა წახალიდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს ხედვა როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნვეყოს მომავალში მოსწავლეებში სწავლის, მრვალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება. **სკოლა ინდიკატორთან მიმართებით არის შესაბამისაობაში.**

- ✓ სპორტი

საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემების/საკითხების ჩამონათვალი და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლეების მიერ სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიების დაუფლებაზე ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ყოველი აქტივობის შესრულებისას ითხოვენ მოსწავლისგან რეფლექსიას რაც უზრუნველყოფს სტრატეგიების დაუფლებას.

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

- ✓ სახელმწიფო ენა

სკოლა ეროვნულ სასაწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. ქართულის საგნობრივი კურიკულუმები და მასწავლებლის პორთფოლიოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებში და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური აქტივობებში ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა ამოიცნობა. სადაც ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც მაგალითად, იუთუბბმულებიდან, (დეკლარატიული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს._ეროვნული სასწავლო გეგმის ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად სკოლას წარმოდგენილი აქვს პროექტული სწავლებები, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება. მაგალითად, როგორებიცაა: „აქტიური მკითხველი“, „წერა–კითხვის მეთოდები“, და სხვა, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მაგალითისთვის მოსწავლეთა მიერ შექმნილი რსურსები: „ფოტომოთხრობა“, „არსებითი სახელი“, „მოსწავლეთა მიერ შექმნილი იგავ–არაკების კრებული“ და სხვა, რომლებიც ელექტრონულ ფორმატშია წარმდგენილი და არის მოსწავლის მიერ მოძიებულ, გადამუშავებულ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გზის დემონსტრირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

✓ მათემატიკა

ცოდნის სამივე კატეგორიის გასავითარებლად სკოლა მიზანმიმართულად მუშაობს, კომპლექსური და კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები შემუშავებულია იმ პრინციპით, რომ მოსწავლემ პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: რა ვიცი? როგორ განვახორციელო? როდის რა კონტექსტში უნდა გამოვიყენო?
ინდიკატორი დაკმაყოფილდა)

✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საბუნებისმეტყველო კათედრაზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა თუ არაფორმალურ აქტივობებში. ეს მეტყველებს სასწავლოპროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობას. სასწავლო პროცესში მოსწავლე ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმიდან. აწარმოებს დაკვირვებას და ატარებს ცდებს სკოლაში არსებული რესურსებით, რომლებიც განთავსებულია ლაბორატორიაში და სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. ფიზიკის ლაბორატორიაში დამონტაჟებული არის სველი წერტილი და კედელზე გაკრულია უსაფრთხოების წესებიც. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებლობა არის პლაკატისა და საჭირო ხელსაწყოს გატანა საკლასო ოთახშიც. ქიმია-ბიოლოგიის მასალები და ხელსაწყოები დაცულადაა სპეციალურ ოთახში, რეაქტივები განთავსებულია სპეციალურ კარადებში. აქაც კედელზე უსაფრთხოების წესები გაკრულია. ძირითადად ხდება გაკვეთილზე საკლასო ოთახში გატანა საჭირო რესურსისა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სხვა სკოლის მასწავლებლებთანაც თანამშრომლობს და იყენებს საჭირო რესურსებს. ეს ყველაფერი უწობთ ხელს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობაში.

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილი პროექტები მკაფიო დადასტურებაა იმისა, რომ სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეს საგნობრივი სასკითხების სირღმისეულად გააზრებაში, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. პროექტების განხორციელების დროს მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ უცხოური ენები

წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთანა მჭიდრო კორელაციაში მყოფი მოსწავლისთვის მარტივად გასაგებად ფორმულირებული შუალედური მიზნები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება მაგ. შეარჩიეთ საქართველოს გეოგრაფიული ტერიტორია/ეროვნული პარკი/ნაკრძალი და წარმოადგინეთ სათავგადასავლო-შემეცნებითი ტური ვიზიტორთათვის. ამგვარი დავალებები უდაოდ განაპირობებს მოსწავლეს ,რომ მოახდინონ როგორც დეკლარატიული, ასე პროცედურული და პირობისეული ცოდნის რეალიზება.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები, განხორციელებული პროექტები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. კურიკულუმების ჩარჩებისა და მასწავლებლების ინტერვიუების დროს მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვანთ, რომ **საბაზო საფეხურის მუსიკიასა და სხვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და ინდიკატორთან შესაბამისობასია .**

- ✓ სპორტი

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია თემები/საკითხები, მრავალფეროვანი რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის დეკლარაციული ცოდნის მიცემას, კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებას. აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა ცხადყო ცოდნის სამივე კატეგორიაზე სასწავლო პროცესისი ორიენტირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

- ✓ სახელმწიფო ენა

სკოლის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ქართულის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნას, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს.მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება სკოლის მიერ ამოიკითხება არაფორმალურ, წრეობრივ, კლუბურ, პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებში. ასევე ქართულის მასწავლებლის პორთფოლიოში წარმოდგენილი სადამრიგებლო საათისათვის შემუშავებული სადამრიგებლო პროგრამის, საათების სხვადასხვა თემატიკის, სადამრიგებლო საათების ჩატარების ოქმებისა თუ მშობელთა წინაშე არსებულ ანგარიშებში.

- ✓ მათემატიკა

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და სკოლის მიერ წარმოდგენილ დავალებებში გამოჩნდა, რომ კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლის საშუალებას. ამ მიმართულებით სკოლას აქვს კარგი გამოცდილება. ინტენსიურად ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები და მომავალშიც იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, სკოლა მონაწილეობდა მასწავლებლის სახლის მიერ შემოთავაზებულ STEM პროექტებში, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშრებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილდა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

შეიძლება ითქვას, რომ საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. გამოკვეთილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა ღნიშნეს, რომ წარდგენილი დავალება მოსწავლისთვის უცხო არ არის. ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე და არა ახალი მასალის დასწავლაზე.კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა საშუალებას, რომ სხვადასხვა მოსწავლეს შეიძლება სხვა მოსაზრება და არგუმენტიც კი ჰქონდეთ. ეს კი წინაპირობაა ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნისა.

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

კომპლექსური დავალებებით სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების სირღმისეულ გააზრებას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ვინაიდან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. ის ყოველივე კი თავითავად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას.

✓ უცხოური ენები

იმ თემებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებები, მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე (ინტერვიუირებისასაც დაადასტურეს ეს პედაგოგებმა) და შესაბამისად ეს „უკუსვლით დაგეგმვის“ მიდგომაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. რაც შეეხება ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებას, ვისურვებდი უფორ მეტი სიცხადისთვის წარმოდგენილი ჰქონოდათ ინტეგრირებული კომპლექსური დავალების ნიმუში,თუმცა, ინტერვიუმ მაჩვენა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირებისა (ინგლისური, ისტი და სამოქალაქო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების საგნებს შორის, რუსულისა და ქიმიის საგნის ინტეგრირება „ ღვინის დამზადების ტექნოლოგია რუსულ ენაზე“ისტორიის ინტეგრირება ინგლისურთან“ თბილისის მრავალფეროვანი ისტორია ინგლისურ ენაზე“ ხელოვნებისა და ინგლისური ენის ინტეგრირება „დიდებული მხატვრები“ და ა.შ)

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) საბაზო საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ,რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა**

- ✓ სპორტი

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის დეკლარაციული მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას.აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა წარმოაჩნა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფა. პედაგოგების თქმით ყოველთვის ხაზი ესმება ამა თუ იმ საკითხის კავშირს მათ პირად გამოცდილებასთან. პედაგოგების თქმით ისინი ყოველთვის იყენებენ ისეთი ტიპის კითხვებს, როგორიცაა: სად, რომელ საგანში/თემის შესწავლისას შეგხვდათ მსგავსი საკითხი და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- მასწავლებლის პორტფოლიო;
- სასკოლო პროექტი ,,დიალოგი კულტურულ მემკვიდრეობასთან - გზა მომავლისკენ'';
- ,,რობოტიქსის კლუბის ,,სირიუსის'' სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო პროექტები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

- ✓ სახელმწიფო ენა

სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი ქართულში ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, **ერთი მხრივ,** იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ სავალედებული თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეკითხვები. მაგალითისთვის, სკოლის ხედვის შესაბამისად, თუ მოსწავლე მუშაობს თემა, ტექსტები/ჟანრი, ის მოცემული ჟანრის (ეს შეიძლება იყოს: წერილი, იგავი, თხზულება...) ფარგლებში ქმნის პროდუქტს. წერილზე მუშაობის დროს შეიძლება ეპისტოლარული ჟანრის მოთხრობები დამუშავდეს. როდესაც მოსწავლეები სიღრმისეულად შეისწავლიან ამ ჟანრის ნაწარმოებებს, გაეცნობიან მის მახასიათებლებს, შექმნიან პროდუქტს ამავე ჟანრში, მათი ცოდნა ამ კონკრეტული ცნების (ამ შემთხვევაში წერილი, როგორც ჟანრი) ფარგლებში იქცევა მკვიდრ წარმოდგენად. აღნიშნული მიდგომები სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლის პორთფოლიოში თავის მიერ შექმნილ თემატურ მატრიცაში. **მეორე მხრივ,** სასწავლო პროცესის სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისების საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით უზრუნველყოფა შესაძლებელია რეალიზებულ კომპლექსური დავალებეზე რეფლექსიაში, რაც ხორციელდება როგორც მოსწვლეთა უკუკავშირისა და ანალიზის საშუალებით, ასევე მშობელისა და სკოლის ამდმინისტრაციის ჩართულობით, რის დასტურად სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა და მასწავლებლის პორთფოლიო.

- ✓ მათემატიკა

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები (მათემატიკა) ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კარგად ჩანს, გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის, ამასთან მასწავლებლებმა, გასაუბრებისას, წარმოადგინეს რეალიზებული კომპლექსური დავალება ნარატივის სახით და რეფლექსია მასზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კურიკულუმის ჩარჩოში ნათლადაა კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს ასევე იმ კომპლექსური დავალებების მატრიცები, რომლებიც შეხვედრის დროს მასწავლებლებმა აღწერეს. წარმოადგინეს მოსწავლეთა მიერ შესულებული დავალებები,რომლებიც განთავსებულია სტემ-კაბინეტში, პოსტერები გამოკრულია დერეფანში და ბიბლიოთეკაში. ასევე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი მიმართულია გრძელვადიანი მიზნების მიღწევის ძირითად ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლაში მოქმედი სასკოლო კურიკულუმი შექმნილია იმგვარად, რომ მოსწავლეს მეხსიერებაში ხანგრძლივად, მკვიდრი წარმოდგენებს სახით დარჩეს ის ნასწავლი ინფორმაცია, რომელზეც მან სიღრმისეულად იმუშავა. მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის

- ✓ უცხოური ენები

წარმოდგენილია რა მესამე თაობის ე.ს.გ.-ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნები უცხოურ ენებისთვის, შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით.მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპესური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.**

- ✓ სპორტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ მასწავლებელმა სასწავლო პროცესი, საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, გაიაზროს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების კონტექსტში და შესაბამისად განახორციელოს სასწავლო პროცესში ამას ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუები. კურიკულუმების ჩარჩოებში ნათლად ჩანს ყველა თემის კავშირი სამიზნე ცნებასთან.

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

- ✓ სახელმწიფო ენა

სკოლა აცნობიერებს, რომ მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც და ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. საბაზო საფეხურზე კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს ისეთი აქტივობები (მაგ.: ჯგუფური სამუშაო, დისკუსია, წყვილებში მუშაობა), რომლებიც ხელს შუწყობს მოსწავლეებს განუვითაროს თანამშრომლობითი უნარები, აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთი გადაწყვეტილებების შედეგებზე საკუთარი თავისა და სხვების მიმართ. სასკოლო კურიკულუმი ითვალისწინებს **არაფორმალური განათლების** მიმართულებით სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას, როგორებიცაა მოსწავლეთა ინიციატივით პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, საკლუბო მუშაობა, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობებს განივითაროონ პიროვნული თვისებები. ასევე, პედაგოგის პორთფოლიოში წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლის ფსიქო-სოციალური განვითარების შესაბამის აქტივობებს. როგორებიცაა კონფლიქტების მართვა, დამოუკიდებლად მუშაობა, წარმატებისა და წარუმატებლობის მიმღებლობა, ემპათია და სხვა.

- ✓ მათემატიკა

კათედრამ აღნიშნა, რომ რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და კურიკულუმის განხორციელებისას ეს გათვალისწინებული იქნება. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია ისეთი აქტივობები. მაგ.: ჯგუფური სამუშაო, დისკუსია, წყვილებში მუშაობა, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებს განუვითაროს თანამშრომლობითი უნარები, აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთი გადაწყვეტილებების შედეგებზე საკუთარი თავისა და სხვების მიმართ ეს კი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას. (ინდიკატორი დაკმაყოფილდა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილი დოკუმენტები (კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალება, სსსიმ მოსწავლისათვის შექმნილი დავალებები, პროექტები, სტემაქტივობები) საშუალებას იძლევა დავადასტურო, რომ კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. მასწავლებლებთან გასაუბრებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ყველაფერი ემსახურებამოსწავლისპიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

პროექტებით სწავლებისას მოსწავლეთათვის დავალების შექმნის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის განწყობა და მზაობა თემის მიმართ. რაც საშუალებას აძლევს მას დააფიქროს საკუთარ აზრებზე, ინტერესებსა და გრძნობებზე, ემოციების გამოხატვისას გაითვალისწინოს საზოგადოებისთვის მისაღები ფორმები, შეძლოს თანამშრომლობა , სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებთან გამკლავება, პრობლემის ეფექტურად გადაჭრა.

- ✓ უცხოური ენები

ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი უხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ე.ს.გ. უცხოური ენების სტანდარტით გათვალისწინებული თემატური ბლოკებში შემოთავაზებული თემები, რომელთა მცირე ნაწილი (სემესტრში ერთი) მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური შინაარსის დავალებებში, აღნიშნული დავალებები კი ცალსახად შეუწყობს ხელს ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII-IX კლასის) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემები კომპლექური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თავისებურებები. შეჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მომსენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებას. ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ ინდიკატორთან - საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას- შესაბამისობა.

- ✓ სპორტი

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი, და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.იგივეს ადასტურებს მასწავლებლებთან განხორცილებული ინტერვიუების ანალიზი. კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემული თემები/საკითხები და განსახორციელებელი კომპლექსური დავალების იდეები მაგ: სასკოლო ფესტივალი, პროექტი, პრეზენტაცია მოიაზრებს იმდაგვარი ტიპის სამუშაო პროცესს, რაც ხელს უწყობს ისეთი ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას მაგალითად როგორიცაა: კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, მოქალაქეობა და სხვა.

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

- ✓ სახელმწიფო ენა

საბაზო საფეხურის პედაგოგები საუბრობენ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. ამისათვის წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მეთოდოლოგია თუ რუბრიკები. შერჩეული განმავითარებელი შეფასებათა ინსტრუმენტები ხელს უწყობს მოსწავლის წინსვლას და ორიენტირებულია მის მხარდაჭერაზე, რაც უქმნის მოსწავლეს სწავლის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას და ზრდის მოტივაციას. მოსწავლეს ეძლევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესაძლებლობა დააკვირდეს თავის სწავლის პროცესს, რომელიც ეხმარება კოგნიტური უნარების განვითარებაში. საგნობრივ კათედრაზე შემუშავებული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები (ზეპირი და წერილობითი კომენტარები, შეფასების რუბრიკები, გასასვლელი ბარათები, რეფლექსია) მოსწავლის ჰოლისტურ შეფასებაზე არის ორიენტირებული, რადგან ფასდება როგორც მოსწავლის ცოდნა, ასევე ხდება მისი სოციალურ-ემოციური მხარდაჭერა. კათედრას ასევე აქვს განსაზღვრული შეიმუშაოს შეფასების მრავალფეროვანი ფორმა, რომელიც მისცემს შესაძლებლობას დაინახოს მოსწავლე პიროვნული, ფსიქო-სოციალური და აკადემიური უნარების ჭრილში, რაც საშუალებაა სწორად დაგეგმოს სკოლამ მხარდამჭერი მექანიზმები. ამისთვის ყველაზე ეფექტურ საშუალებად მოსწავლის პორტფოლიოს შექმნას მიიჩნევს და გეგმავს.ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მოსწვალის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად საბაზო საფეხურზე სკოლას გააჩნია განმავითარებელი შეფასების სახით გამოყენებულიყო სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზებას საშუალებას. აღნიშნულის მტკიცებულება სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების პროდუქტის მიხედვით შედგენილო „სოლო“ ტაქსონომიის ნიმუში.

- ✓ მათემატიკა

შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე. მოსწავლის ჰოლისტური განვითარება გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. წარმოდგენილია დანართები, სადაც ჩანს რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საბუნებისმეტყველო კათედრის 7-9 კლასის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას არჩეული აქვს სამკომპონენტიანი გამსაზღვრელი შეფასება. გამზადებული და წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. გაგვიზიარეს აზრი, რომ მომავალი წლისთვის გეგმავენ რუბრიკების შექმნასა და დახვეწას. როგორც აღნიშნეს ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხშირად იყენებენ განმავითარებელი შეფასებას. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ზეპირ ფორმას იყენებდნენ დღემდე, თუმცა საჭიერო დროს გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც.ძირითადად მასწავლებელი აძლევს უკუკავშის, თუმცა გამოიყენება თვითშეფასებაც.7-9 კლასებისათვის წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასებისათვის მოლოდინების ცხრილი. აღნიშნეს, რომ ასეთი ინსტრუმენტი მათ პრაქტიკაში ხშირად გამოუყენებიათ და გამოიყენებენ მომავალშიც.აღნიშნეს, რომ შეფასების საშუალებით უნდა მოვახერხოთ მოსწავლის პიროვნული განვითარება.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

მოქმედი სასკოლო კურიკულუმით სკოლის შეფასების სისტება ეფუძნება ეროვნულ სასაწვლო გეგმას.შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესის; ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, რაც გულისხმობს შეფასების ორიენტაციას მოსწვალის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე; შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, რითაც ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. არსებული შეფასება წარმოადგენს მოსწავლის პროფილის დიფერენცირებულ ანალიზის, რომელიც ავლენს მათ ძლეირ და სუსტ მხარეებს და აძლევს მოსწავლს კონსტრუქციულ უკუკაშირს იმასთან მიმართებაში თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და როგორ შეიძლება იმუშავოს არსებულ გამოწვევებზე

- ✓ უცხოური ენები

სასკოლო კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ვალიდურია სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებისა და ახდენ მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით, ამგვარ რუბრიკაზე დაფუძნებული უკუკავშირი კი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას, როგორც საგნის ასევე პიროვნულ ჭრილში.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2022-2023 წლის სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში. კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისულ ცოდნამდე. საბაზო საფეხურზე, კათედრის მიერ სასწავლო პროცესში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზნას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო აქტივობების განუყოფელი ნაწილია. მასწალებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფსების ორივე ფორმას. აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე საბაზო საფეხურზე **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- ✓ სპორტი

მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცეში გამოიკვეთა, რომ სკოლა მუშაობს შეფასების რუბრიკების შემუშავებაზე, რომელიც გაიწერება სამიზნე ცნებების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს მის კავშირს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებასთან.წარმოდგენილი მრავალფეროვანი რუბრიკებში მოცემულია სკოლაში არსებული ყველა სპორტის სახეობის შეფასების ასპექტები, რომელიც მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას უზრუნველყოფს.

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

- ✓ სახელმწიფო ენა

სკოლა საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დადასტურებად იგი მოიაზრებს საგანში შეფასების სისტემის შემუშავებულ მეთოდოლოგიას. კერძოდ, ხაზგასმულია მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, რაც უნდა შეათანხმონ და დაამტკიცონ პედაგოგიურ საბჭოზე. კათედრა სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელშემწყობ ფაქტორად მოიაზრებს სასწავლო პროცესში გამოყენებულ თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას, რაც მოსწავლეებისა და მშობლებისთვის წინასწარ ხდება ცნობილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

✓ მათემატიკა

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მიერ შექმნილი შეფასების სისტემა ძირითადად არის ვალიდური, რადგან სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. საბაზო საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილდა

✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კათედრის პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები.შეფასების რუბრიკაში ასახულია რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. აქედან ჩანს, რომ მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. გასაუბრებიდან ნათელია, რომ მოსწავლეებს აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მათ უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. გეგმავენ შექმნან დახვეწილი, მკაფიო და არაორაზროვანი შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის.

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით. კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენდეს რეფლექსიას მათი სწვალის პროცესზე. რუბრიკებს შეიმუშავებენ მასწავლებლები, თანხმდება და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. სკოლას აქვს შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გამოცდილება. ასევე, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელს უწყობს სასწავლო პროცესში გამოყენებული თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. მოსწავლეებისა და მშობლებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების სისტემა

✓ უცხოური ენები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას წარმოდგენილი აქვს სანიმუშო განსმაზღვრელი შეფასები რუბრიკები სმაივე უცხოური ენის ყველა კლასისთვის, რომელებიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე მხოლოდ დოკუმენტაციის ბაზაზე ნაკლებად ხერხდება. თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

წარმოდგენლ შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებისკენ და კონკრეტულ დავალებაში დამუშავებულ ქვეცნებებისკენ. ინტერვიუს დროს მასწავლებლების მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს აცნობენ , უმარტავენ შეფასების რუბრიკებს, გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ **აღნიშნულ ინდიკიტორთან შესაბამისობა**

- ✓ სპორტი

წარმოსგენილი შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლამ წარმოადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის #45 საჯარო სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი. წარმოდგენილი წესის მიხედვით შეფასების ვერიფიკაცია განხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. აღნიშნული დოკუმენტის ანალიზი და სკოლის არსებული პრაქტიკა (შემაჯამებელი დავალებების შედეგების ანალიზის გამოცდილება) გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის ფუნქციონირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლის საქმისწარმოების წესის 27-ე მუხლის (მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი) მე-4 პუნქტი ითვალისწინებს მოსწავლის შეფასების ამსახველი ყველა დოკუმენტის შენახვას სკოლაში 3 წლის ვადით

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-205 მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- სკოლის საქმისწარმობის წესი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- მასწავლებლის პორტფოლიო;
- შეფასების რუბრიკები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და მხარდამჭერი სასწავლო პროცესის მაჩვენებელია. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, წრეები და კლუბები მოსწავლეთა საჭიროებებიდან და მოთხოვნილებიდან გამომდინარე იქმნება, სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ისგ ჯგუფის მიერ პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. ამრიგად სკოლა სასწავლო პროცესში ქმნის მოსწავლისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მიმანიშნებელია იმისა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაკვირვება აწარმოოს მოსწავლის პროგრესზე და მის საჭიროებაზე მორგებულად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, უზრუნველყოს პროდუქტის, დავალების, აქტივობის დიფერენცირება, გაზარდოს ან შეამციროს დავალებაზე მუშაობისათვის საჭირო დრო, მოამზადოს თვალსაჩინო მასალა და სხვა. დამატებითი არაფორმალური აქტივობების თემების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სკოლის პრაქტიკა ადასტურებს კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრის და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობის გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლისთვის მახასიათებელი თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლას აქცევს მოსწავლეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მიმღებ დაწესებულებად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

დაწესებულება გამოირჩევა ძლიერი თანამშრომლობით კავშირებით სასკოლო საზოგადოებას შორის. სკოლაში, როგორც ძირითად ისევე ადმინისტრაციულ და დამხმარე პროცესებში, დომინანტია გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებული პოლიტიკა, ნაცვლად დასჯა/წახალისების მექანიზმისა. სასკოლო საზოგადოებას აქვს პროცესებში ჩართვის მაღალი შესაძლებლობები. სკოლის ფსიქოლოგი ზრუნავს პოზიტიური კლიმატის ხელშეწყობაზე კლასისა და სკოლის დონეზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ფსიქოლოგის სამუშაო გეგმა;
- შეფასების ინსტრუმენტები და რუბრიკები;
- კათედრებს დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში კურიკულუმის განვითარება თავისთავად წარმოადგენს ციკლურ პროცესს. ციკლური პროცესი კი მოიცავს მონიტორინგსა და შეფასებას. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზთან.
სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრებზე სემესტრულად ჯამდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარებაში, სასწავლო ჯგუფებში მუშაობაში და ტრენინგებსა და ვებინარებში მონაწილეობაში გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე, მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის რემედიაციის პროგრამა და დიფერენცირებული სწავლება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

როგორც სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის, ასევე სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება ერთის მხრივ როგორც პრობლემი გადაჭრის და მეორეს მხრივ როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად. სკოლას განსაზღვრული ჰყავს მონიტორინგის განმახორციელებელი პირები. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელს ესწრება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ადგენს მათ საჭიროებას, აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრი ოქმები;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის ანგარიშები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლა მოსწავლის შესაფასებლად იყენებს მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება, მოსწავლეთა ემოციურ განვითარებას აფასებს სკოლის ფსიქოლოგი, ხოლო მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ არასასკოლო აქტივობებში ჩართულობაზე ინფორმაციას აგროვებს დამრიგებელი, სკოლის მიერ დაგეგმილ არაფორმალურ აქტივობებსა და პროექტებში მონაწილეობაზე მოსწავლესთან დაკავშირებული ინფორმაცია თავს იყრის შესაბამის აქტივობების/პროექტების ხელმძღვანელთან რაც ერთობლივად წარმოადგენს მოსწავლის ჰოლისტურ დახასიათებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდიოს მოსწავლის პროდუქტულობაზე. სკოლისთვის მნიშვნელოვანია განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება/აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. დამრიგებლები მოსწავლეებისა და მშობლებისგან აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლის ინტერესებსა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და მოსწავლის თავისუფალი დროის მართვაზე. მოსწავლის ქცევას სკოლაში, საკლასო ოთახსა და სკოლის ეზოში, ბიბლიოთეკაში აკვირდება შესაბამისად დამრიგებელი და ბიბლიოთეკარი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება როგორც დაკვირვება, ასევე შეფასების რუბრიკების (განმავითარებელი) ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შევსებული თვითშეფასების კითხვარები, მოსწავლეთა სასწავლო შედეგების დინამიკა ,მეორადი მონაცემების ანალიზი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში.
ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების;
- შეფასების რუბრიკები;
- სადამრიგებლო გეგმები და დამრიგებლის პორთფოლიოები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი მტკიცდება ყოველ ახალ სასწავლო წელს. კურიკულუმის დამტკიცებას, წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შედეგად შემუშვებული სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ეფუძნება **სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის, მოსწავლეთა შედეგების, მშობელთა ჩართულობის, კათედრებისა და დირექციის მუშაობის შეფასების შედეგებს.**

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება, რომელსაც წინ უძღვის კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის თანამდევია და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია კათედრის ხელმძღვანელს ავალდებულებს სასკოლო კურიკულუმის ამსახველი მასალები, დროულად გაუზავნოს დირექტორს, მის მოადგილეებს და სამეურვეო საბჭოს წევრებს/მათთან ერთად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- .კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლამ წარმოადგინა სსიპ ქალაქ თბილისის #45 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია დამტკიცებულია ბრძანებით N2-206. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს.
წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული უკუკავშირების საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით, რაც ნიშნავს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ წარმოდგენილი „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის მიერ სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირებზე დაფუძნებით სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას, რომელიც გათვალისწინებული იქნება ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში. შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესები აისახება კურიკულუმში. ამას ადასტურებს ასევე სკოლის პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტების სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარებისა და მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით კათედრის შიგნით მასწავლებლების თანამშრომლობით იგეგმება სასკოლო საგნობრივი კურიკულუმი. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი, წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების დოკუმენტი არსებული პრაქტიკის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. მასში გაწერილია მასწავლებლების, კათედრის თავჯდომარეების, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო თემაზე მუშაობისას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებს მოსწავლეების მშობლებს, ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის. აფასებს სასწავლო თემის დაგეგმვისა და განხორციელების შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. კურიკულუმში, მშობლებთან შეთანხმებით, განისაზღვრება მეორე უცხოური ენა, ხოლო არჩევითი საგნებისა და წრეების შერჩევაში მონაწილეობენ მოსწავლეები. ამრიგად, კურიკულუმის შემუშავების პროცსში ხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს კურიკულუმის შემუშავებაში და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ბრძანება N2-206 ;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

- ✓ სახელმწიფო ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის, განსაკუთრებით მე–10 კლასის კურიკულუმის ჩარჩო ცხრილები, სწორადაა შევსებული **როგორც სავალდებულო ველები,** თემები/თემატური ბლოკები, ტექსტი/ტექსტები (კონტექსტმაგალითები), სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; ასევე **არასავალდებულო ველები:** სამიზნე ცნება / ქვეცნებები, საკითხები და კომპლექსური დავალებების იდეა. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა გეგმავს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესი უწყვეტად ხორციელდებოდეს კომპლექსური დავალებების განხორციელების გზით.

- ✓ **მათემატიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ (მათემატიკის) კურიკულუმებში ჩანს, რომ მის შედგენის პროცესში აქცენტი გაკეთებულია გრძელვადიან მიზნებზე, კერძოდ, სამიზნე ცნებებზე და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებზე. კურიკულუმს საფუძვლად უდევს ესგ-ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებიდან ჩანს და პედაგოგებთან გასაუბრებიდან ნათელია, რომ მესამე თაობის ესგ-ის დანერგვის ფარგლებში კარგად იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს და კარგად იციან კურიკულუმის თითოეული კომპონენტი რას წარმოადგენს, რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში. თითოეულ მასწავლებელს გაანალიზებული აქვს კურიკულუმის არსი, კურიკულუმის შექმნის პრინციპი. აღნიშნეს პედაგოგებმა რომ კომპლექსურ დავალებების შერჩევა მოახდინეს ერთმანეთთან თანამშრომლობითა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. ძირითადად შეარჩიეს მომავალი წლისთვის ის კომპლექსური დავალებები, რომლებზე მუშაობაც წინა წლებში შედეგიანი აღმოჩნდა. გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კოპლექსური დავაებების შერჩევა და კურიკულუმის ჩარჩოს გამდიდრება მომავალი წლისთვის. ითვალისწინებენ კლასის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებისა და რესურსების შეტანას. შერჩეული აქვთ დანერგვის პროცესში მიწოდებული კურიკულუმის ფორმა. აღნიშნეს კიდეც, რომ მათთვის ყველაზე მისაღები არის ასეთი სახით წარმოდგენა. ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება, ქვეცნებები, საკითხები, გათვალისწინებული კომპლექსური დავალება, რითაც აღწევენ შუალედურ მიზანს და შესაბამისი რესურსები. სასკოლო საზოგადოებასთან ერთად შეარჩიეს განმსაზღვრელი შეფასების პირველი, სამკომპონენტიანი მოდელი. აღნიშნეს, რომ მათთვის შეფასების ეს ფორმა უფრო მისაღებია.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

2023-2024 სასწავლი წლის სასკოლო კურიკულუმით სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის კონკრეტული შესაძლებლობები და ინეტერესები. კურიკულუმებზე მუშაობის დროს გრძელვადიანი მიზნები და შედეგები გათვალისწინებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული საგნობრივი სამიზნე ცნებების სახით და შედეგების მისაღწევი შუალედური მიზნებით, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. შედეგები მიიღწევა კომპლექსურ დავალებებზე მუშაობით, რომელთა შესრულება მოსწავლეებს ერთის მხრივ უვითარებს შემოქმედებითობისა და ფანტაზიის უნარს, მეორე მხრივ კი ხელს უწყობს სააზროვნო უნარებსა და საკუთარ გამოცდილებაზე დამყარებით ცოდნის დამოუკიდებლად კონსტრუირების უნარების გამომუშავებას/ჩამოყალიბებას.

- ✓ უცხოური ენები

წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების/დოკუმენტაციის საშუალებით და ასევე ინტერვიუსას გაცემული პასუხებით, უცხოური ენის სწავლა-სწავლების პროცესზე პასუხისმგებელნი პირნი ჰოლისტურად გვიქმნინან წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. იყენებენ რა პროექტული შინაარსის დავალებებს მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავდ მოახდინონ სწავლის კონსტრუირება, თუმცა სამწუხაროდ ასეთი დავალებები,უმეტესად ყველა კლასისთვის სემესტრში მხოლოდ ერთი აქვთ, მოსწავლეთა უწყვეტი განვითარებისათვის კი აუცილებელია/სასურველია ყველა თემაში ახდენდეს მასწავლებელი მოსწავლეთა დაინტერესებას რეალურ ცხოვრებასთანა ახლოს მყოფი, მოსწავლეთა ინტერესებისა და განვითარების უახლოეს დონესთან დაკავშირებული კომპლექსური/პროექტული შინაარსის მქონე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებებით. მაგრამ, შეიძლება ითქვას ,რომ დავალების პირობები, რომლებსაც უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გვიჩვენებს (მაგალითად; მე-10 კლასის 2023-24 სასწავლო წლისთვის გაწერილი კურიკულუმის ჩარჩო „ სტატია თემაზე „მშობლიური და უცხო ქვეყნის განათლების სისტემებს შორის არსებული მსგავსება/განსხვავება“და ა.შ.)ცხადყოფს, რომ კათედრას აქვს მზაობა წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით, მათივე ინტერესების და მაზობისა შესაბამისად.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

საშაულო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდიანროებს სავალდებულ პროექტის სახით. სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს პროექტი არჩეული ჰქონდა მუსიკაში, თუმცა მტკიცებულებების სახით არ აქვს წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები და ასევე არ აქვს წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წელს მოაზრებული პროექტის იდეა. კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ 2022-2023 წელს სასწავლო პროექტი ხორციელდება მუსიკაში მეათე კლასში. პროექტის მიზანი და შინაარსი ორიენტირებული იყო მოსწავლის ცხოვრებისეულ კონტექტებსა და პირად გამოცდიებაზე. სკოლამ ჩართულია პროექტში კუტურული მემკვიდრეობა, რომლის ფარგლებშიც გამოკვლეული იქნა მოსწავლეთა საჭიროებები და დაგეგიმილი იქნა მოსწავლეზე ორიენტირებული აქტივობები. **ინდიკატორთან მიმართებით დადგინდეს შესაბამისობა.**

- ✓ სპორტი

მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში წარმოდგენილ ინფორმაციებზე დაყრდნობით სწორად იყო შევსებული, სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებების დასახელებები, ასევე ქვეცნებები. კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტმაგალითები შესაბამისი რესურსებით იყო წარმოდგენილი.

- ✓ მეათე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია ხუთი თემა და ხუთი კომპლექსური დავალება;
- ✓ მეთერთმეტე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია ხუთი თემა და ხუთი კომპლექსური დავალება;
- ✓ მეთორმეტე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია ხუთი და ხუთი კომპლექსური დავალება.

პედაგოგების მიერ შექმნილი და შემუშავებული სასკოლო კურიკულუმები მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

- ✓ სახელმწიფო ენა

საშუალო საფეხურზე კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ვინაიდან საგნობრივ ჩარჩოებში ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირდება ქართულ ენაში განსაზღვრულ ყველა სამიზნე ცნებაზე, ხოლო ამ ცნებათა დაძლევისათვის განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების რეალიზების გზა, იძლევა შესაძლებლობას, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში დაძლეული იყოს გლობალურ– ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, რაც, ფაქტია, კომპლექსური ბუნების დავალებების მახასიათებელია. აღნიშნული კონცეპტების დანერგვის შესაძლებლობები იკითხება როგორც სამინისტროს მიერ შემუშავებული თემატური მატრიცების, ისე მასწავლებელთა მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებისა და მისი განხორციელების ეტაპების წარმოდგენით.

- ✓ მათემატიკა

საგნობრივი კურიკულუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური დავალება სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური მიზნის როლს ასრულებს და ისიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ. კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მასწავლებელს ისე აქვს დაგეგმილი აქტივობები, რომ მოსწავლეს განუვითაროს ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა (ფუნქციურ-კომპონენტური უნარი).

ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, რაც გამოიხატება თითოეული თემის შესაბამისი კომპლექსური დავალებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კომპლექსური დავალებების შერჩევა თემების შესაბამისად. წარმოდგენილ მასალაში ჩანს მასწავლებელი რას და როგორ გამოიყენებს წლის მანძილზე, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობს საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისაღწევად. ასეთი ფორმით სწავლება ავითარებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს, რომელიც უვითარდება მოსწავლეს მუდმივად სასწავლო პროცესებში. აღნიშნეს, რომ ეს უნარები არის წინაპირობა სწავლის ხელსესაწყობად. კომპლექსური დავალებები უშუალოდ ავითარებს ამ 6 უნარს.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს. იგი ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესს. შემუშავებულია გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად (შედეგები და სამიზნე ცნებები), რომლებსაც აზუსტებს და უფრო მკაფიოს ხდის ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები.

- ✓ უცხოური ენები

საშუალო საფეხურის უცხოური ენების (ინგლისური, გერმანული, რუსული) სასწავლო პროგრამის ჰოლისტურად აღმწერი დოკუმენტები-კურიკულუმის ჩარჩოები წარმოგვიდგენენ რა კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეებს, რომლებიც ზუსტად ეხმიანებიან/ამუშავებენ ამავე საფხეურისა და საგნის გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებსა და შედეგებს) თავისუფლად შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ვინაიდან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წახალისებს, მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

საშაულო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდიანროებს სავალდებულ პროექტის სახით. სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს პროექტი არჩეული ჰქონდა მუსიკაში, თუმცა მტკიცებულებების სახით არ აქვს წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები და ასევე არ აქვს წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წელს მოაზრებული პროეტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იდეა. სკოლასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს განხორციელებულ პროექტზე, მათი მსჯელობიდან გამოიკვეთა ის, რომ აღნიშნული პროექტი და სკოლის მიერ განხორციელებული პროექტი „კულტურული მრკვიდრეობა“ ხელს უწყობს მოსწავლეები მიერ სამიზნე ცნებების გააზრებას, ფუნქციური უნარებს გამომუშავებას. **ინდიკატორთან მიმართებით დადგინდეს შესაბამისობა.**

- ✓ სპორტი

კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემრთება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალური ფუნქციურ უნარებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ეს სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლა აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებებისა და შედეგების გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი. ზედმიწევნით კარგად გაწერილი კურიკულუმი მოსწავლეებს აძლევს საშულებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი შეძენილი ცოდნა და უნარები. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომელთა ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

- ✓ სახელმწიფო ენა

კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები, ასევე საგანში თემატური მატრიცებისა და კომპლექსური დავალების ბარათები, იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას, რაც საშუალო საფეხურზე სკოლას მიზნად აქვს დასახული. აღნიშნული მიდგომა მეათე კლასში მთელი წლის განმავლობაშია დაგეგმილი. რაც შეეხება სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს, წარმოდგენილ მტკიცებულებათაგან მოიპოვება კომპლექსური დავალებისა თუ თემატური მატრიცის ადაპტირებული ვარიანტები. რაშიც გათვალისწინებულია მოსწავლის იდნივიდუალური საჭიროებანი. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსსმ მოსწავლისათვის განსაზღვრული რესურსები და მის მიერვე შესრულებული პროდუქტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ მათემატიკა

მასწავლებელთა ინტერვიუს დროს და წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ნათლად გამოჩნდა, რომ პედაგოგები კარგად იცნობენ დიფერენცირებულ მიდგომებს, ხშირად გეგმავენ და იყენებენ დიფერენცირების სტრატეგიებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას, ინტერესს ან სწავლის პროფილს. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ინკლუზიური განათლების ერთწლიანი გეგმა. ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

პედაგოგებტან შეხვედრიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. ეს ასევე იკვეთება წარმოდგენილ დოკუმენტებში. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებს მოსწვალის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; სკოლას აქვს შესანიშნავი სასწავლო გარემო-ღია სივრცე, STEM-კაბინეტი, ბიბლიოთეკა. მაწავლებლებმა აღნიშნეს რომ ატარებენ გაკვეთილებს არაფორმალურ გარემოში, უყვართ სტემაქტივობები და შესაბამისად სკოლაში არის მოსწავლეების ხელით დამზადებული რესურსები, ხშირად იყენებენ არდუინის აპარატს, აქვთ ლაბორატორიები, თვალსაჩინოებები. აღნიშნეს, რომ ასეთი გარემო და რესურსები მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ასევე ხშირად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს, რაც მოსწავლეევსი ინტერესს და ჩართულობას იწვევს. პროდუქტის წარმოდგენისას მოსწავლეებს აქვთ საშუალება მისთვის მოსახერხებელი ფორმით წარმოადგინონ . ჰყავთ სსსიმ მოსწავლეები და მათი შესაბამისი ისგ . მომდევნო წელსაც აგრძელებენ მათთან მუშაობას და შესაბამისად ახდებენენ დავალებების შერჩევას განსაზრვრულითემის ფარგლებში.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

წარმოდგენილი კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებასა და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; საგნის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრულია საფეხურის და არა კონკრეტული წლის ან თემის ფარგლებში. შედეგებზე განგრძობითად, მთელი საფეხურის მანძილზე, მიმდინარეობს მუშაობა; ის არ წარმოადგენს მოკლევადიან ნიშნულს, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა მომდევნო შედეგზე გადასასვლელად. ამავდროულად მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროგრამა, სასწავლო რესურსებისა და სასწავლო მასალის შეთავაზება, მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.

- ✓ უცხოური ენები

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმა, რითაც ცხადია, რომ სკოლა გეგმავს ინკლუზიური სწავლების მონიტორინგს და შესაბამისად იგივე დოკუმენტი გვაცნობებს, რომ სკოლას ჰყავს სსსმ მომსწავლე/ები , მაგრამ დოკუმენტებში არ იკითხება როგორ აპირებს იმუშაოს მასწავლებელმა თითოეულ მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით/არ არის წარმოდგენილი როგორ ახდენს მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე რესურსების ან/და კომპლექსური დავალების პირობის დიფერენცირებას.თუმცა ინტერვიუირებისას გაცემულმა პასუხებმა, ცხადყო მათი მუშაობის მეთოდები ინკლუზიური მოდგომების გათვალისწინებით.ზეპირ სიტყვიერად განიხილეს ერთი დავალება, რისი ადაპტირებაც მათ განახორციელეს მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

საშაულო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდიანროებს სავალდებულო პროექტის სახით. სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს პროექტით სწავლება არჩეული ჰქონდა მუსიკაში, განხორციელებული პროექტის მიზანი და აქტივობები სკოლას წარმოდგენილი არ აქვს მტკიცებულების სახით, არ აქვს წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში განხორციელებული საბოლოო პროდუქტი და ასევე 2023-2024 სასწავლო წელს მოაზრებული პროექტის იდეა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული ინდივიდუალური და დიფერენცირებული დავალებები ხორციელდებოდა აღნიშნული პროექტის და აგრეთვე პროექტის „კულტურული მემკვიდრეობა“ განხორციელების დროს. შესაბამისად, დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე ორივე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საგანში (მუსიკა, სახვითი და განოყენებითი ხელოვნება) ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და ინდიკატორთან მიმართების დგინდება შესაბამისობა.

- ✓ სპორტი

ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება, მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით, რადგან სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული დავალებებით მუშაობის გამოცდილება, გარდა ამისა, განსაზღვრული აქვთ შესაბამისი აქტივობები და რესურსები. საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგების თქმით სკოლაში ირიცხება ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლეები რომლებისთვისაც იქმნება ინდივიდუალური გეგმები.

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

- ✓ სახელმწიფო ენა

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სკოლას საშუალო საფეხურზე სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. თუმცა კათედრა საუბრობს, მეორე მოდელის ეფექტურების შესახებაც. **განმსაზღვრელი შეფასების** საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში; აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო **განმავითარებელი შეფასებით** ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები თუ საგნის მიერ საფეხურზე შემოთავაზებული თემატური მატრიცები; ასევე კომპლექსური დავალებების ბარათებში გამოტანილი კომპლექსური დავალებების პირობები, ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც მომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელ შეფასებას. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლები მსჯელობდნენ და ასაბუთებდენ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას ასევე აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, როგორებიცაა: სტანდარტის შედეგებზე დამიზნეული განმსაზღვრელი შეფასება. მაგ, თხზულების, კონკრეტული შემთხვევის განხილვის საფუძველზე პრობლემის გადაჭრის და სხვა.

- ✓ მათემატიკა

სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს, წარმოადგინეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორც შემაჯამებელი, ასევე საშინაო დავალებისა და საკლასო სამუშაოს შეფასებისთვის, ასევე შეფასების სქემა კონკრეტულ დავალებაზე დაყრდნობით სადაც ნამდვილად ჩანს რომ განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; წარმოადგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ასევე შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სტანდარტთან მიმართებაში მოსწავლის დონის განსაზღვრისთვის და აკვირდებიან მოსწავლის განვითარების დინამიკას.

ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

როგორც სტანდარტით არის განსაზღვრული, წარმოდგენილი სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებიც აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას არჩეული აქვს სამკომპონენტიანი გამსაზღვრელი შეფასება. გამზადებული და წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა და გაგვიზიარეს აზრი, რომ მომავალი წლისთვის გეგმავენ რუბრიკების შექმნასა და დახვეწას . როგორც აღნიშნეს ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხშირად იყენებენ განმავითარებელი შეფასებას. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ზეპირ ფორმას იყენებდნენ დღემდე, თუმცა საჭიერო დროს გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც. ძირითადად მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს უკუკავშის, თუმცა გამოიყენება თვითშეფასებაც .

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლაში სწავლება და შეფასება ერთ მთლიან, გააზრებულ პროცესს წარმოადგენს. საგნობრივ კურიკულუმში ასახული შეფასების კრიტერიუმები მკაფიოა და ცალსახად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს.

- ✓ უცხოური ენები

საშუალო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე უცხოური ენისთვის, რომელებიც გვაჩვენებს, რომ ამ საგნის პედაგოგებს კარგად აქვთ გაზრებული თუ როგორ უნდა მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კომპლექსურ დავალებაში დამუშავებულ კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. ასევე, სამივე უცხოური ენის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუსბირკები მჭიდრო კორელაციას გვიჩვენებს მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

საშუალო საფეხურის სავალდებულო პროექტი ფასდება განმავითარებელი შეფასებით. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას არ აქვს წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში განხორციელებული, შემოქმედებიით პროდუქტები და მათი შეფასება ამ ინდიკატორთან მიმართებით მსჯელობა ძნელია. თუმცა მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ პროექტში მონაწილე მოსწავლეები შეაფასეს განმავითარებელი შეფასებით, ასევე პროექტის მსვლელობისას ისინი ყველა გაკვეთილზე მოსწავლეებს აძლევდნენ განმავითარებელ კომენტარს, რომლებიც ეხმარებოდათ მოსწავლეებს პროგსების საწარმოებლად. ყოველივე ზემოთქმულით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება ნაწილობრივ მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს და ინდიკატორის მიმართებით დგინდება შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ სპორტი

კურიკულუმებში გათვალისწინებულ კომპლექსურ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცეში განმავითარებელი შეფასების ნაწილი აქვს კარგად გააზრებული. მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

- ✓ სახელმწიფო ენა

საშუალო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტარატურაში სკოლას კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული აქვს წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, რაკი სკოლა წარმოადგენს 2019 წლიდან მესამე თაობის ესგ–ს დანერგვის პრაქტიკის მქონეს, რაც გულისხმობს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილებას, იგი თვლის, რომ გასული წლების კურიკულუმების დანერგვისას არსებულ გამოწვევებისა თუ მიგნებების გათვალისწინებით, შექმნას 2024–2025 სასწავლო წლის რევიზირებული კურიკულუმები. ეს ფაქტი საფეხურის ფარგლებში ყველაზე ნათლად იკითხება მე – 10 კლასის ქართულის კურიკულუმის ჩარჩოში.

- ✓ მათემატიკა

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ნამუშევრების, სადიაგნოსტიკო ტესტირების, დავალებების შეფასებას და ანალიზს, მოსწავლეების, კოლეგების, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს, წინარე გამოცდილებას და ყოველივეს გაითვალისწინებენ კურიკულუმის შევსების და დამუშავების პროცესშიც.
ინდიკატორი დაკმაყოფილდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას გაითვალისწინეს და მომავაშიც გაითვალისწინებენ სასწავლო პერიოდში გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს. აღნიშნეს, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუსაობის პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს ითვალისწინებენ და მომავალ წელს შესაბამისად გეგმავენ იგივე თუ შენაცვლებული დავალებების განხორციელებას. არის კომპლექსურები, რომლებშიც ჩაამატეს მათი მოსწავლეების ინტერესების შესაბამისი აქტივობები,მისცეს მოსწავლეებს სხვადასხვა, მათთვის მოსახერხებელი ფორმით წარმოედგინათ პრეზენტაცია . ეს მოსწავლეების ინტერესს ზრდის. საკუთარ გამოცდილებებს განიხილავენ კათედრაზე, ჯგუფებში. არის შემთხვევები სხვა კათედრის წევრებთან თანაშრომლობისა. სტემ-პროექტებში აქტიური ჩართულობის ამსახველია სხვადასხვა პროდუქტი, მოსწავლეთა ხელით დამზადებული, რომელიც მათი ინტერესის სფეროა. კაბინეტში არის ჩანაწერები, რომელიც ადასტურებს მოსწავლეტა ინტერესს საბუნებისმეტყველო მიმართულებით. მასწავლებელმა სიამოვნებით აღნიშნა, რომ სიამოვნებს მოსწავლეების ასეთი დამოკიდებულება და ცდილობს რაც შეიძლება შეუწყოს ხელი მათი უნარების წარმოჩენასა და განვითარებას. ყოველივე ამის გათვალისწინებიტ ქმნის მომავალ კურიკულუმს.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლას ამ ეტაპზეც, დაგროვილი გამოცდილების ხარჯზე, მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზისა და პედაგოგიური რეფლექსიებისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე განხორციელებული აქვს კურიკულუმის ჩარჩოში არსებული კომპლექსურების გამარტივება და ადაპტაცია არსებული რეალობის გათვალისწინებით. ამასთანავე 2023-2024 წლისათვის სკოლას დაგეგმილი აქვს დახვეწოს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებისა და გამოწვევების გამოვლენის მეთოდიკა, რაც გამოიხატება მასწავლებლის პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლასა და გაზიარების უფრო ინტენსიურად გამოყენებაში

- ✓ უცხოური ენები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი სახელად „მონიტორინგის გეგმა“, რომელშიც პასუხისმგებელი პირები გვეუბნებიან, რომ სკოლაში აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების (როგორიც არის ტესტური დავალებების საშუალებით პერიოდული მონიტორინგი) და საგნის სწავლების დინამიკის შესამოწმებელი მუშაობის (I სემესტრი-დეკემბრის ბოლოს და II სემესტრი -ივნისში)გამოცდილება სწორედ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლის საზოგადოებამ მომდევნო სასწავლო წლის კუმრიკულუმის დაგეგმვა მიღებული შედეგების გაანალიზების ბაზაზე მოახდინეს.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

კათედრამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სავალდებულო პროექტის და აგრეთვე პროექტი „კულტურული მემკვიდრეობის დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი. ამის მტკიცებულება წარმოდგენილია პროექტ „კულტურულ მეკვდრეობაში“, თუმცა სავალდებულო პროექტის ფარგლებში კათედრას არ წარმოუდგენია სათანადო მტკიცებულებები. დგინდება ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობა.

- ✓ სპორტი

ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები რაც გვაფიქრებინებს რომ პედაგოგი ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, ამასვე ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- საგნის მასწავლებლის ანგარიში;
- კათედრის თავმჯდომარის ანგარიში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- დირექტორის მოადგილის ანგარიში;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები მოდიფიცირებული;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება სსსმ მოსწავლისთვის;
- საშუალო საფეხურის შეფასების ინსტრუმენტები 2023-2024 სასწავლო წლისთვის.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

- ✓ სახელმწიფო ენა

მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც მკაფიოა საგნობრივ კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები და სანიმუოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტები, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტები და ლიტერატურული კლუბის ,,რობოტიქსის კლუბის ,,სირიუსის სამოქმედო გეგმაზე მტკიცებულებაზე დაფუძნებული ეფექტურად ფუნქციონირების განცდა, მნიშვნელოვანი დასტურია ამ ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის. ხოლო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პორთფოლიო, რომელშიც სამოქმედო გეგმიდან დაწყებული, მასწავლებლის მიერ შედგენილი კომპლექსურებისა თუ რესურსების ჩათვლით; ასევე ინდივიდუალური გეგმების წარმოდგენითა და მასწავლებელთა თანამშრომლობის გამომხატველი მტკიცებულებებით; შეფასების ინსტრუმენტებისა თუ სემესტრულ/შემაჯამებელი დავალებების ანგარიშით, მკაფიოა მოსწავლეთა მიმართ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის ხარისხი.

- ✓ მათემატიკა

სკოლის მიერ წარმოდგენილი, კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები ნამდვილად გვიჩვენებს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი შემოქმედებით პროცესში და დავალებებიც ხელს უწყობს შესაბამისი უნარების განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლების მიერ შექნილი კურიკულუმის განხორციელება მოხდება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების მიერ. მასწავლებლებმა აღნიშნეს: გრძელვადიანი მიზნის მიღწევა ხდება შუალედური მიზნებით კომპლექსური ხასიათის დავალებებით, შესაბამისად წინასწარ შერჩეულ დავალების პირობას ვაცნობთ მოსწავლეებს მათთვის ინტერესის გამომწვევ კონტექსტმაგალითზე დაფუძნებით, ეცნობიან ახალ ინფორმაციას, თითოეული მოსწავლე ამუშავებს მას, თანმიმდევრულად ახორციელებს ყველა აქტივობას და საბოლოოდ წარმოადგენს პროდუქტს, რომელიც ამ პერიოდში შექმნა მოსწავლემ. პროცესის ცენტრში მოსწავლეა. ჩვენ, მასწავლებლები მათთან ერთად ვადევნებთ თვალს, ვუხსნით გზადაგზა, ვაძლევთ საჭირო რეკომენდაციებს. ასეთი ფორმის და შინაარსის დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. არა მარტო მეცნიერული კუთხით, არამედ ზოგადი უნარების განვითარება ხდება მუშაობის ყოველ ეტაპზე. აღსანიშნავია სტემ-პროექტები და მოსწავლეების აქტიური ჩართულობის ამსახველი სხვადასხვა პროდუქტი და მათი უკუკავშირები ჩანაწერების სახით. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტი ბუნებისმეტყველების მიმართულებით, იყენებენ ბიბლიოთეკას, გარე სივრცეს, აქვთ გამოფენა ნამუშევრებისა და გეგმავენ მომავალშიც განახორციელონ მსგავსი აქტივობები.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე აშკარაა, რომ მოსწავლეთათვის შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლებს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები. ახალი ინფორმაცია გაცნობისა და დამუშავების დროს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით განიხილოს. დააგროვონ, ან გაირღმავონ საკუთარი ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის გზით. გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით, როგორც წერილობით, ასევე დისკუსიების სახით.

- ✓ უცხოური ენები

იმ თემებში სადაც წარმოდგენილი კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტულ დავალებები შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ მოსწავლე ამგვარ სასწავლო გარემოში გარანტირებულად შეძლებს იყოს შემოქედებით პროცესში აქტიურად ჩართული და მოახდინოს კეთების პროცესში ცოდნის კონსტრუირება. თუმცა ასევე დაბეჯითებით ვერვ ვიტყვი რა ხდება იმ თემებში სადაც მხოლოდ საკითხთა ჩამონათვალს გვაცნობს უცხოური ენების საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

✓ ესთეტიკური აღზრდა

კათედრასთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მოსწავლეები სავალდებულო პროექტის ფარგლებში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა აქტივობებში, თუმცა რა შემოქმედებითი პროდუქტები შექმნეს, ამის მასალა არ არის წარმოდგენილი. სათანადო მტკიცებულება წარმოდგენილია „კულტურული მემკვიდრეობის“ პროექტის ფარგლებში, სადაც იკვეთება მოსწავლეთა აქტიური, შემოქმედებითი ჩართულობა სათანადო აქტივობებში. **ინდიკატორთან მიმართებით დგინდება შესაბამისობა.**

✓ სპორტი

საგნობრივ ჩარჩოებში განხილული თემები და შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები (მაგ: პრეზენტაცია, პროექტი, სასკოლო ფესტივალი), აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

✓ სახელმწიფო ენა

სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. ამ ინდიკატორის რეალიზება იკითხება კათედრის მიერ პროექტების ინიცირების წახალისებისას. მაგალითად, როგორებიცაა: ,,დიალოგი კულტურულ მემკვიდრეობასთან - გზა მომავლისკენ'' და მასწავლებლის სახლის მიერ რეკომენდირებული STEM პროექტების განხორციელება. ხოლო სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოდ იკითხება, რომ კომპლექსური დავალებების სწავლა-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოიტანილი, რითაც მას კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერული თვალსაზრისით. სკოლაში ვიზიტისას მასწავლებელი არგუმენტებსა და მაგალითებზე დაყრდნობით ხსნიდა და ასაბუთებდა წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების პრაქტიკას საკლასო სივრცეში.

- ✓ მათემატიკა

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალებაში გამოჩნდა, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების და პროდუქტის შექმნის პროცესი ისე აქვთ ორგანიზებული, რომ გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე, სადაც ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

მომავალი წლის კურიკულუმების დაგეგმვაში ჩანს, რომ ყველა კომპონენტი გათვლილი და დაგეგმილია მოსწავლის წინარე ცოდნაზე, გამოცდილებაზე და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კონტექსტმაგალითები მოსწავლისათვის საინტერესო და ნაცნობი ფაქტს წარმოადგენს, რითაც მასწავლებელი ეცდება მეცნიერული კუთხით დაანახოს და გააააზრებინოს წარმოდგენილი მოვლენა თუ პროცესი, მეცნიერული თვალით ჩაახედოს თითქოსდა მოსწავლისათვის კარგად ნაცნობ მაგალითში. პედაგოგებმა არნიშნეს, რომ კვლავ ცდილობენ გაამდიდრონ კურიკულუმის თემები შესაბამისი კომპლექსური დავალებებით.იგივე პრინციპით, ანუ ნაცნობ საკითხზე დაფუძნებით ხდება სხვა კონტექსტმაგალიტების/მაგალიტთები შედარებისთვის განხილვა და სხვადასხვა პროექტებზე მუშაობაც.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილ კურიკულუმებსა და მატრიცებზე დაყრდნობით ცხადია, რომ სასწავლო პროცესი მიზნად ისახავს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მის ეტაპობრივად, ნაბიჯ - ნაბიჯ მიყვანას ახალ ცოდნამდე. კომპლექსური დავალების პირობები იმგვარადაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფორმულირებული, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით.

- ✓ უცხოური ენები

წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში , განსაკუთრებით იმ თემებში სადაც კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებებია ასახული, შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ იგი ცალსახად ეფუძნება მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო ავთენტურ კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. ასევე , ერთ-ერთ დოკუმენტით სკოლა გვატყობინებს, რომ აქვთ სადიაგნოსტიკო წერების გამოცდილება, ალაბთ რის შედეგებზე ანალიზის მიხედვითაც უკვე ახდენენ მოსწავლეთა არსებული ცოდნის ინდენტიფიცირებას და შესაბამისი ცვლილებების განხორიცელებას არსებულ კურიკულუმში.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

სკოლას განხორციელებული პროექტის დამადასტურებელი დოკუმეტაცია არ აქვს წარმოდგენილი, არ აქვს აგრეთვე წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სავალდებულო პროექტების იდეები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, თუმცა ინტევიუს დროს მასწავლებლები მსჯელობდნენ, რომ იგივე პროექტის დაგეგმვისას გაითვალისწინებენ მოსწავლეების მიერ იმ ათვსებულ ცოდნასა და გამომუშავებულ უნარებს, რომლებიც მათ დაეხმარებათ სათანადო პროექტებს განხორციელებაში. **ახალი ცოდნის კონსტრუირება საშუალო საფეხურზე ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და ინდიკატორთან შესაბამისობა დასტურდება.**

- ✓ სპორტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საგნობრივ ჩარჩოებში განხილული თემები და შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები (მაგ: პრეზენტაცია, პროექტი, სასკოლო ფესტივალი), აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებასაგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემების/საკითხების ჩამონათვალი და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია მაძლევს საშუალებას ვთქვა, რომ ახალი ცოდნის დამუშავება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ ჩარჩოში მოცემული თემატური საკითხები ლოგიკურადაა დალაგებული. ყოველი მომდევნო საკითხი/თემა ითვალისწინებს/მოითხოვს წინა თემის/საკითხის დამუშავებას.

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

- ✓ სახელმწიფო ენა

ქართულ ენასა და ლიტერატურაში წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები, რაც საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება, ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიებთან. ეროვნული სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული კოგნიტური ოპერაციები არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში, რაც ამ უნარებზე გამჭოლად მუშაობისას საგნის ათვისების განუყოფელი ნაწილია. პედაგოგები საუბრობდნენ მასზე, რომ კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ასევე კომპლექსური ბუნების დავალებების დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების წარმოდგენა – გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახით. წარმოდგენილი მასალები ასახავენ მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებსა და აქტივობებს, შეფასების მექანიზმებს, იქნება ეს თანატოლთა შეფასება თუ თვითშეფასების რუბრიკები.

- ✓ მათემატიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლებმა წარმოადგინეს ისეთი დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეების მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, დავალებაში დასმული კითხვები ეხმარება მოსწავლეებს გაანალიზონ დავალების შესრულებისას რა გამოუვიდათ კარგად, რა გაუჭირდათ, რა უნდა შეცვალონ თავიდან, რომ იწყებდნენ მუშაობას, ეძლევათ საშუალება მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროცესს (სწავლის სწავლა). ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ამ უნარების გამომუშავებაზე მუდმივად ხდება შრომა. ყოველი დავალების ბოლოს დასმული შეკითხვები იძლება საშუალებას მასწავლებელმა გააკეთოს ანალიზი რამდენად მოახერხა მაკროცნებების ამუშავება მოსწავლეში. წარმოდგენილი პედაგოგები გაკვეთილზე , სტემპროექტებზე და სასკოლო პროექტებზეც ცდილობენ ამ მიმართულებით იმუშაონ მომავალში

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილი კურიკულუმებისა მატრიცების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი სწავლის სწავლაზეა აქცენტირებული. ყურადღება გამახვილებულია მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიაზე. ეს პროცესი კარგად იკვეთება მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებაშიც.

- ✓ უცხოური ენები

გაანალიზებული აქვს რა სკოლას კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რასაც მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები გვეუბნება და ასევე მოვახდინეთ რა გასაუბრება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით,შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა სრულად იცავს/ამართლებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ძირითად კონცეფციას და მუშაობის პროცესი ისე მიჰყავთ, რომ მოსწავლეებს აფიქრებენ სწავლის სწავლაზე და შესაბამისად ეხმარებიან მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

სკოლას განხორციელებული პროექტის დამადასტურებელი დოკუმეტაცია ძალიან ზოგადად აქვს აღწერილი , ასევე არ აქვს წარმოდგენილი მოსწავლეების მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტი, ასევე არ აქვს წაროდგენილი2023-2024 სასწავლო წლის სავალდებულო პროექტების იდეები. თუმცა, ამ პროექტების შესახებ და მათი განხორციელების სტრატეგიებზე მასწავლებლებმა ისაუბრეს ინტერვიუს დროს. აქედან გამომდინარე სკოლა ინდიკატორტან მიმართებით არის შესაბამისაობაში.

- ✓ სპორტი

საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემების/საკითხების ჩამონათვალი და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია მაძლევს საშუალებას ვთქვა, რომ ახალი ცოდნის დამუშავება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ ჩარჩოში მოცემული თემატური საკითხები ლოგიკურადაა დალაგებული. ყოველი მომდევნო საკითხი/თემა ითვალისწინებს/მოითხოვს წინა თემის/საკითხის დამუშავებას.

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

- ✓ სახელმწიფო ენა

სკოლა ეროვნულ სასაწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. ქართულის საგნობრივი კურიკულუმები და მასწავლებლის პორთფოლიოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური აქტივობები ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა ამოიცნობა. სადაც ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც მაგალითად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

იუთუბბმულებიდან, (დეკლარატიული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. ეროვნული სასწავლო გეგმიდან ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად სკოლას წარმოდგენილი აქვს პროექტული სწავლებები, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება. მაგალითად, ასეთებია: „აქტიური მკითხველი“, „ვრცელი ტექსტები და ჰაგიოგრაფია“ და სხვა, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მაგალითისთვის მოსწავლეთა მიერ შექმნილი რსურსები: „ფოტომოთხრობა“, „მოსწავლეთა მიერ შექმნილი იგავ–არაკების კრებული“ და სხვა, რომლებიც ელექტრონულ ფორმატშია წარმდგენილი და მოსწავლის მიერ მოძიებულ, გადამუშავებულ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გზის დემონსტრირებაა.

- ✓ მათემატიკა

ცოდნის სამივე კატეგორიის გასავითარებლად სკოლა მიზანმიმართულად მუშაობს, კომპლექსური და კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები შემუშავებულია იმ პრინციპით, რომ მოსწავლემ პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: რა ვიცი? როგორ განვახორციელო? როდის რა კონტექსტში უნდა გამოვიყენო?
ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბუნებისმეტყველო კათედრაზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა თუ არაფორმალურ აქტივობებში. ეს მეტყველებს სასწავლოპროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობას. სასწავლო პროცესში მოსწავლე ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმიდან. აწარმოებს დაკვირვებას და ატარებს ცდებს სკოლაში არსებული რესურსებით, რომლებიც განთავსებულია ლაბორატორიაში და სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. ფიზიკის ლაბორატორიაში დამონტაჟებული არის სველი წერტილი და კედელზე გაკრულია უსაფრთხოების წესებიც. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებლობა არის პლაკატისა და საჭირო ხელსაწყოს გატანა საკლასო ოთახშიც. ქიმია-ბიოლოგიის მასალები და ხელსაწყოებ დაცულადაა სპეციალურ ოთახში, რეაქტივები განთავსებულია სპეციალურ კარადებში . აქაც კედელზე უსაფრთხოების წესები გაკრულია. ძირითადად ხდება გაკვეთილზე საკლასო ოთახში გატანა საჭირო რესურსისა. მასწავლებელმა აღნიშნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რომ სხვა სკოლის მასწავლებლებთანაც თანამშრომლობს და იყენებს საჭირო რესურსებს. ეს ყველაფერი უწობთ ხელს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობაში.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილი პროექტები მკაფიო დადასტურებაა იმისა, რომ სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეს საგნობრივი სასკითხების სირღმისეულად გააზრებაში, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. პროექტების განხორციელების დროს მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა.

- ✓ უცხოური ენები

წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთანა მჭიდრო კორელაციაში მყოფი მოსწავლისთვის მარტივად გასაგებად ფორმულირებული შუალედური მიზნები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება მაგ. “ პრეზენტაცია - მოგზაურობა მე-16 საუკუნის ინგლისში “ამგავრი დავალებები უდაოდ განაპირობებს მოსწავლეს , რომ მოახდინონ როგორც დეკლარატიული, ასე პროცედურული და პირობისეული ცოდნის რეალიზება.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორიენტირებას ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული), თუმცა სკოლას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტები და ყოველივე ეს ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციიდან დასტურდება. **საშუალო საფეხურის მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და ინდიკატორთან შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ სპორტი

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია თემები/საკითხები, მრავალფეროვანი რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის დეკლარაციული ცოდნის მიცემას, კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებას. აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა ცხადყო ცოდნის სამივე კატეგორიაზე სასწავლო პროცესისი ორიენტირება.

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

- ✓ სახელმწიფო ენა

სკოლის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ქართულის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს კონტექსტმაგალითებსა და მოსწავლის ცოდნას, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში, რაც ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს.მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება სკოლის მიერ ამოიკითხება არაფორმალურ, წრეობრივ, კლუბურ, პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებში. ასევე ქართულის მასწავლებლის პორთფოლიოში წარმოდგენილ სადამრიგებლო საათისათვის შემუშავებული სადამრიგებლო პროგრამის, საათების სხვადასხვა თემატიკის, სადამრიგებლო საათების ჩატარების ოქმებისა თუ მშობელთა წინაშე არსებულ ანგარიშებში.

- ✓ მათემატიკა

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და სკოლის მიერ წარმოდგენილ დავალებებში გამოჩნდა, რომ კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლის საშუალებას. ამ მიმართულებით სკოლას აქვს კარგი გამოცდილება. ინტენსიურად ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები და მომავალშიც იგეგმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, სკოლა მონაწილეობდა მასწავლებლის სახლის მიერ შემოთავაზებულ STEM პროექტებში, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშრებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

შეიძლება ითქვას, რომ საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. გამოკვეთილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები. გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ წარდგენილი დავალება მოსწავლისთვის უცხო არ არის. ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე და არა ახალი მასალის დასწავლაზე. კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა საშუალებას, რომ სხვადასხვა მოსწავლეს შეიძლება სხვა მოსაზრება და არგუმენტიც კი ჰქონდეთ. ეს კი წინაპირობაა ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნისა.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

კომპლექსური დავალებებით სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების სირღმისეულ გააზრებას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ვინაიდან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. ის ყოველივე კი თავითავად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას.

- ✓ უცხოური ენები

იმ თემებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებები, მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე (ინტერვიუირებისასაც დაადასტურეს ეს პედაგოგებმა) და შესაბამისად ეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„უკუსვლით დაგეგმვის“ მიდგომაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. რაც შეეხება ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებას, ვისურვებდი უფორ მეტი სიცხადისთვის წარმოდგენილი ჰქონოდათ ინტეგრირებული კომპლექსური დავალების ნიმუში,თუმცა, ინტერვიუმ მაჩვენა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირებისა (ინგლისური, ისტი და სამოქალაქო განათლების საგნებს შორის, რუსულისა და ქიმიის საგნის ინტეგრირება „ ღვინის დამზადების ტექნოლოგია რუსულ ენაზე“ისტორიის ინტეგრირება ინგლისურთან“ თბილისის მრავალფეროვანი ისტორია ინგლისურ ენაზე“ ხელოვნებისა და ინგლისური ენის ინტეგრირება „დიდებული მხატვრები“ და ა.შ)

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

საშუალო საფეხურის პროექტით სწავლების ფარგლებში სკოლამ განახორციელა პროექტი მუსიკაში. მასწავლებლებთან ინტერვიუდან საუბრისას ირკვევა რომ პროექტის განხორციელებისას განისაზღვრა სასწავლო მიზნები, თემები, საკითხები, სწავლების სტრატეგიები, რომელიც დაფუძნებულია ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრების, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებასთან. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ,რომ საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა**

- ✓ სპორტი

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის დეკლარაციული მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა წარმოაჩნა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფა. პედაგოგების თქმით ყოველთვის ხაზი ესმება ამა თუ იმ საკითხის კავშირს მათ პირად გამოცდილებასთან. პედაგოგების თქმით ისინი ყოველთვის იყენებენ ისეთი ტიპის კითხვებს, როგორიცაა: სად, რომელ საგანში/თემის შესწავლისას შეგხვდათ მსგავსი საკითხი და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- მასწავლებლის პორტფოლიო;
- სასკოლო პროექტი ,,დიალოგი კულტურულ მემკვიდრეობასთან - გზა მომავლისკენ'';
- ,,რობოტიქსის კლუბის ,,სირიუსის'' სამოქმედო გეგმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

✓ სახელმწიფო ენა

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი ქართულში ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, **ერთი მხრივ,** იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ სავალდებული თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, კონტექსტმაგალითები, საკვანძო შეკითხვები. მაგალითისთვის, სკოლის ხედვის შესაბამისად, თუ მოსწავლე მუშაობს თემა, ტექსტები/ჟანრი, ის ქმნის პროდუქტს, რაც სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლის პორთფოლიოში განთავსებულ თავადვე შექმნილ თემატურ მატრიცაში. **მეორე მხრივ,** სასწავლო პროცესის სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისების საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით უზრუნველყოფა შესაძლებელია რეალიზებული კომპლექსური დავალებებზე რეფლექსიაში, რაც ხორციელდება როგორც მოსწავალეთა უკუკავშირისა და ანალიზის საშუალებით, ასევე მშობელისა და სკოლის ამდმინისტრაციის ჩართულობი. დასტურად სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა და მასწავლებლის პორთფოლიო.

✓ მათემატიკა

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები (მათემატიკა) ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კარგად ჩანს, გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის, ამასთან მასწავლებლებმა, გასაუბრებისას, წარმოადგინეს რეალიზებული კომპლექსური დავალება ნარატივის სახით და რეფლექსია მასზე. (ინდიკატორი დაკმაყოფილდა)

✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კურიკულუმის ჩარჩოში ნათლადაა კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს ასევე კომპლექსური დავალებების მატრიცები, პრობლემების შეხვედრის დროს მასწავლებლებმა აღწერეს. წარმოადგინეს მოსწავლეთა მიერ შესულებული დავალებები, რომლებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განთავსებულია სტემ -კაბინეტში, პოსტერები გამოკრულია დერეფანში და ბიბლიოთეკაში. ასევე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი მიმართულია გრძელვადიანი მიზნების მიღწევის ძირითად ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლაში მოქმედი სასკოლო კურიკულუმი შექმნილია იმგვარად, რომ მოსწავლეს მეხსიერებაში ხანგრძლივად, მკვიდრი წარმოდგენებს სახით დარჩეს ის ნასწავლი ინფორმაცია, რომელზეც მან სიღრმისეულად იმუშავა. მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის

- ✓ უცხოური ენები

წარმოდგენილია რა მესამე თაობის ე.ს.გ.-ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნები უცხოურ ენებისთვის, შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) პროექტული სწავლება მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლქსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ✓ სპორტი

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ მასწავლებელმა სასწავლო პროცესი, საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, გაიაზროს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების კონტექსტში და შესაბამისად განახორციელოს სასწავლო პროცესში ამას ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუები.

კურიკულუმების ჩარჩოებში ნათლად ჩანს ყველა თემის კავშირი სამიზნე ცნებასთან.

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

- ✓ სახელმწიფო ენა

თვითშეფასების დოკუმენტზე, მტკიცებულებათა და პედაგოგებთან გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ სკოლას გააზრებული აქვს შემდეგი: მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს მოსწავლის უნარს დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. სკოლას საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს ისეთი აქტივობები. მაგ.: ჯგუფური სამუშაო, დისკუსია, წყვილებში მუშაობა, რომლებიც ხელს შუწყობს მოსწავლეებს განუვითაროს თანამშრომლობითი უნარები, აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთი გადაწყვეტილებების შედეგებზე საკუთარი თავისა და სხვების მიმართ. სასკოლო კურიკულუმი ითვალისწინებს **არაფორმალური განთლების** მიმართულებით სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას, როგორებიცაა მოსწავლეთა ინიციატივით პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, საკლუბო მუშაობა, (მაგალითად,კლუბ „სმარტის ინიციატივები“), რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობებს, განივითარონ პიროვნული თვისებები. ასევე, პედაგოგის პორთფოლიოში წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლის ფსიქო-სოციალური განვითარების შესაბამის აქტივობებს. როგორებიცაა კონფლიქტების მართვა, დამოუკიდებლად მუშაობა, წარმატებისა და წარუმატებლობის მიმღებლობა, ემპათია და სხვა.

- ➢ მათემატიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კათედრამ აღნიშნა, რომ რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და კურიკულუმის განხორციელებისას ეს გათვალისწინებული იქნება. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია ისეთი აქტივობები. მაგ.: ჯგუფური სამუშაო, დისკუსია, წყვილებში მუშაობა, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებს განუვითაროს თანამშრომლობითი უნარები, აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთი გადაწყვეტილებების შედეგებზე საკუთარი თავისა და სხვების მიმართ ეს კი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილი დოკუმენტები (კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალება, სსსიმ მოსწავლისათვის შექმნილი დავალებები, პროექტები, სტემაქტივობები) საშუალებას იძლევა დავადასტურო, რომ კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. მასწავლებლებთან გასაუბრებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ყველაფერი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

პროექტებით სწავლებისას მოსწავლეთათვის დავალების შექმნის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის განწყობა და მზაობა თემის მიმართ. რაც საშუალებას აძლევს მას დააფიქროს საკუთარ აზრებზე, ინტერესებსა და გრძნობებზე, ემოციების გამოხატვისას გაითვალისწინოს საზოგადოებისთვის მისაღები ფორმები, შეძლოს თანამშრომლობა, სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებთან გამკლავება, პრობლემის ეფექტურად გადაჭრა.

- უცხოური ენები

ესთეტიკურორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი უხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ე.ს.გ. უცხოური ენების სტანდარტით გათვალისწინებული თემატური ბლოკებში შემოთავაზებული თემები, რომელთა მცირე ნაწილი (სემესტრში ერთი) მუშავდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური შინაარსის დავალებებში, აღნიშნული დავალებები კი ცალსახად შეუწყობს ხელს შეუწყობს ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

- ესთეტიკური აღზრდა

საშუალო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) პროექტული სწავლება, რომელიც სკოლას ჰქონდა მუსიკაში მეათე კლასში დოკუმენტის სახით სკოლას არ წარმოუდგენია, თუმცა მასწავლებლებთან ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გათვალისწინებული ჰქონდათ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. განხორციელებული პროექტი მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მომსენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა. ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, ინდიკატორთან - საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას - შესაბამისობა.

- სპორტი

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი, და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. იგივეს ადასტურებს მასწავლებლებთან განხორცილებული ინტერვიუების ანალიზი. კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემული თემები/საკითხები და განსახორციელებელი კომპლექსური დავალების იდეები მაგ: სასკოლო ფესტივალი, პროექტი, პრეზენტაცია მოიაზრებს იმდაგვარი ტიპის სამუშაო პროცესს, რაც ხელს უწყობს ისეთი ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას მაგალითად როგორიცაა: კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, მოქალაქეობა და სხვა.

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

- სახელმწიფო ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა აცნობიერებს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას პედაგოგებს გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. ამისათვის წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მეთოდოლოგია თუ რუბრიკები. შერჩეული და მტკიცებულებად წარმოდგენილი განმავითარებელ შეფასებათა ინსტრუმენტები ხელს უწყობს მოსწავლის წინსვლას და ორიენტირებულია მის მხარდაჭერაზე, რაც უქმნის მოსწავლეს სწავლის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას და ზრდის მოტივაციას. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა დააკვირდეს თავის სწავლის პროცესს, რომელიც ეხმარება კოგნიტური უნარების განვითარებაში. საგნობრივ კათედრაზე შემუშავებული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები (ზეპირი და წერილობითი კომენტარები, შეფასების რუბრიკები, გასასვლელი ბარათები, რეფლექსია) მოსწავლის ჰოლისტურ შეფასებაზე არის ორიენტირებული, რადგან ფასდება როგორც მოსწავლის ცოდნა, ასევე ხდება მისი სოციალურ-ემოციური მხარდაჭერა. კათედრას სასუალო საფეხურზე ასევე აქვს განსაზღვრული, შეიმუშაოს შეფასების მრავალფეროვანი ფორმა, რომელიც მისცემს შესაძლებლობას დაინახოს მოსწავლე პიროვნული, ფსიქო-სოციალური და აკადემიური უნარების ჭრილში, რაც საშუალებაა სწორად დაიგეგმოს მხარდამჭერი მექანიზმები. ამისთვის ყველაზე ეფექტურ საშუალებად მოსწავლის პორტფოლიოს შექმნას მიიჩნევს და გეგმავს. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას გააჩნია განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის გამოყენების პრაქტიკა, რაც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზებას საშუალებას.

- მათემატიკა

შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე. მოსწავლის ჰოლისტური განვითარება გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. წარმოდგენილია დანართები, სადაც ჩანს რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბუნებისმეტყველო კათედრის 7-9 კლასის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას არჩეული აქვს სამკომპონენტიანი გამსაზღვრელი შეფასება. გამზადებული და წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. გაგვიზიარეს აზრი, რომ მომავალი წლისთვის გეგმავენ რუბრიკების შექმნასა და დახვეწას . როგორც აღნიშნეს ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს ხშირად იყენებენ განმავითარებელი შეფასებას. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ზეპირ ფორმას იყენებდნენ დღემდე, თუმცა საჭიერო დროს გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც. ძირითადად მასწავლებელი აძლევს უკუკავშის, თუმცა გამოიყენება თვითშეფასებაც . აღნიშნეს, რომ შეფასების საშუალებით უნდა მოვახერხოთ მოსწავლის პიროვნული განვითარება.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

მოქმედი სასკოლო კურიკულუმით სკოლის შეფასების სისტება ეფუძნება ეროვნულ სასაწვლო გეგმას.შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესის; ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, რაც გულისხმობს შეფასების ორიენტაციას მოსწვალის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე; შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, რითაც ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. არსებული შეფასება წარმოადგენს მოსწავლის პროფილის დიფერენცირებულ ანალიზის, რომელიც ავლენს მათ ძლეირ და სუსტ მხარეებს და აძლევს მოსწავლს კონსტრუქციულ უკუკაშირს იმასთან მიმართებაში თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და როგორ შეიძლება იმუშავოს არსებულ გამოწვევებზე

- უცხოური ენები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასკოლო კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ვალიდურია სანიმუშოდ წარმიდგენილი კომპლექსური დავალებისა და ახდენ მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით,ამგვარ რუბრიკაზე დაფუძნებული უკუკავშირი კი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას, როგორც საგნის ასევე პიროვნულ ჭრილში.

- ესთეტიკური აღზრდა

მეათე კლასის პროექტული სწავლების დროს, რომელიც 2022-2023 წელს განხორციელდა მუსიკაში, მოსწავლეები შეფასდნენ განმავითარებელი შეფასებით, სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტი, სადაც ასახულია მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს რომ პროექტული სწავლება შეაფასეს განმავითარებელი შეფასებით.
შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- სპორტი

მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცეში გამოიკვეთა, რომ სკოლა მუშაობს შეფასების რუბრიკების შემუშავებაზე, რომელიც გაიწერება სამიზნე ცნებების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს მის კავშირს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებასთან.
წარმოდგენილი მრავალფეროვანი რუბრიკებში მოცემულია სკოლაში არსებული ყველა სპორტის სახეობის შეფასების ასპექტები, რომელიც მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას უზრუნველყოფს.

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

- სახელმწიფო ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დადასტურებად იგი მოიაზრებს საგანში შეფასების სისტემის შემუშავებულ მეთოდოლოგიას. კერძოდ, ხაზგასმულია მასწავლებლების მიერ შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, რაც უნდა შეათანხმონ და დაამტკიცონ მომდევნო სასწავლო წელს. კათედრა სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელშემწყობ ფაქტორად მოიაზრებს სასწავლო პროცესში გამოყენებულ თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას, რაც დაგეგმილია, რო მოსწავლეებისა და მშობლებისთვის წინასწარ გახდება ცნობილი.

- მათემატიკა

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მიერ შექმნილი შეფასების სისტემა ძირითადად არის ვალიდური, რადგან სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. საშუალო საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილდა

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკაში ასახულია რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. აქედან ჩანს, რომ მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. გასაუბრებიდან ნათელია, რომ მოსწავლეებს აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მათ უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. გეგმავენ შექმნან დახვეწილი, მკაფიო და არაორაზროვანი შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით. კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენდეს რეფლექსიას მათი სწვალის პროცესზე.რუბრიკებს შეიმუშავებენ მასწავლებლები, თანხმდება და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. სკოლას აქვს შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გამოცდილება. ასევე, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელს უწყობს სასწავლო პროცესში გამოყენებული თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. მოსწავლეებისა და მშობლებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების სისტემა

- უცხოური ენები

სკოლას წარმოდგენილი აქვს სანიმუშო განსმაზღვრელი შეფასები რუბრიკები სმაივე უცხოური ენის ყველა კლასისთვის, რომელებიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე მხოლოდ დოკუმენტაციის ბაზაზე ნაკლებად ხერხდება.თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას.

- ესთეტიკური აღზრდა

არ არის წარმოდგენილი პროექტული სწავლების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. თუმცა, ინტერვიუს დროს მასწავლებლების მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს აცნობენ , უმარტავენ შეფასების რუბრიკებს, გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სპორტი

წარმოდგენილი მასალა საშუალებას იძლევა რომ შეფასების სისტემა შეფასდეს როგორც ვალიდური, გამჭვირვალე და სანდო

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლამ წარმოადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის #45 საჯარო სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი. წარმოდგენილი წესის მიხედვით შეფასების ვერიფიკაცია განხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. აღნიშნული დოკუმენტის ანალიზი და სკოლის არსებული პრაქტიკა (შემაჯამებელი დავალებების შედეგების ანალიზის გამოცდილება) გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის ფუნქციონირებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლის საქმისწარმოების წესის 27-ე მუხლის (მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი) მე-4 პუნქტი ითვალისწინებს მოსწავლის შეფასების ამსახველი ყველა დოკუმენტის შენახვას სკოლაში 3 წლის ვადით

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-205 მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- სკოლის საქმისწარმობის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- კლუბ „სმარტის ინიციატივები";
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- მასწავლებლის პორტფოლიო;
- შეფასების რუბრიკები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და მხარდამჭერი სასწავლო პროცესის მაჩვენებელია. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, წრეები და კლუბები მოსწავლეთა საჭიროებებიდან და მოთხოვნილებიდან გამომდინარე იქმნება, სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ისგ ჯგუფის მიერ პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. ამრიგად სკოლა სასწავლო პროცესში ქმნის მოსწავლისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მიმანიშნებელია იმისა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაკვირვება აწარმოოს მოსწავლის პროგრესზე და მის საჭიროებაზე მორგებულად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, უზრუნველყოს პროდუქტის, დავალების, აქტივობის დიფერენცირება, გაზარდოს ან შეამციროს დავალებაზე მუშაობისათვის საჭირო დრო, მოამზადოს თვალსაჩინო მასალა და სხვა. დამატებითი არაფორმალური აქტივობების თემების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სკოლის პრაქტიკა ადასტურებს კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრის და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობის გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლისთვის მახასიათებელი თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლას აქცევს მოსწვალეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მიმღებ დაწესებულებად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

დაწესებულება გამოირჩევა ძლიერი თანამშრომლობით კავშირებით სასკოლო საზოგადოებას შორის. სკოლაში, როგორც ძირითად ისევე ადმინისტრაციულ და დამხმარე პროცესებში, დომინანტია გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებული პოლიტიკა, ნაცვლად დასჯა/წახალისების მექანიზმისა. სასკოლო საზოგადოებას აქვს პროცესებში ჩართვის მაღალი შესაძლებლობები. სკოლის ფსიქოლოგი ზრუნავს პოზიტიური კლიმატის ხელშეწყობაზე კლასისა და სკოლის დონეზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების ინსტრუმენტები და რუბრიკები;
- კათედრებს დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში კურიკულუმის განვითარება თავისთავად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოადგენს ციკლურ პროცესს. ციკლური პროცესი კი მოიცავს მონიტორინგსა და შეფასებას. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზთან.

სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრებზე სემესტრულად ჯამდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარებაში, სასწავლო ჯგუფებში მუშაობაში და ტრენინგებსა და ვებინარებში მონაწილეობაში გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე, მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის რემედიაციის პროგრამა და დიფერენცირებული სწავლება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

როგორც სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის, ასევე სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება ერთის მხრივ როგორც პრობლემი გადაჭრის და მეორეს მხრივ როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად. სკოლას განსაზღვრული ჰყავს მონიტორინგის განმახორციელებელი პირები. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელს ესწრება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ადგენს მათ საჭიროებას, აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასწავლო ჯგუფების ანგარიშები;
- კათედრების ოქმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლა მოსწავლის შესაფასებლად იყენებს მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება, მოსწავლეთა ემოციურ განვითარებას აფასებს სკოლის ფსიქოლოგი, ხოლო მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ არასასკოლო აქტივობებში ჩართულობაზე ინფორმაციას აგროვებს დამრიგებელი, სკოლის მიერ დაგეგმილ არაფორმალურ აქტივობებსა და პროექტებში მონაწილეობაზე მოსწავლესთან დაკავშირებული ინფორმაცია თავს იყრის შესაბამის აქტივობების/პროექტების ხელმძღვანელთან რაც ერთობლივად წარმოადგენს მოსწავლის ჰოლისტურ დახასიათებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდიოს მოსწავლის პროდუქტულობაზე. სკოლისთვის მნიშვნელოვანია განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება/აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. დამრიგებლები მოსწავლეებისა და მშობლებისგან აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლის ინტერესებსა და მოსწავლის თავისუფალი დროის მართვაზე. მოსწავლის ქცევას სკოლაში, საკლასო ოთახსა და სკოლის ეზოში, ბიბლიოთეკაში აკვირდება შესაბამისად დამრიგებელი და ბიბლიოთეკარი.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება როგორც დაკვირვება, ასევე შეფასების რუბრიკების (განმავითარებელი) ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შევსებული თვითშეფასების კითხვარები, მოსწავლეთა სასწავლო შედეგების დინამიკა ,მეორადი მონაცემების ანალიზი.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში.
ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზუსაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების;
- შეფასების რუბრიკები;
- სადამრიგებლო გეგმები და დამრიგებლის პორთფოლიოები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი მტკიცდება ყოველ ახალ სასწავლო წელს. კურიკულუმის დამტკიცებას, წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შედეგად შემუშვებული სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ეფუძნება **სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის, მოსწავლეთა შედეგების, მშობელთა ჩართულობის, კათედრებისა და დირექციის მუშაობის შეფასების შედეგებს.**

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება, რომელსაც წინ უძღვის კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის თანამდევია და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.
მთოდოლოგია კათედრის ხელმძღვანელს ავალდებულებს სასკოლო კურიკულუმის ამსახველი მასალები, დროულად გაუზავნოს დირექტორს, მის მოადგილეებს და სამეურვეო საბჭოს წევრებს/მათთან ერთად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. კოზასაძეები
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- .კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი

01.08.2023 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---